www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 21 ნოემბერი, 2003 წელი. №303 (515)

ფასი 50 თეთრი

# საპროტესტო მარში







### პოლიტიკა

## ერთადერთი გამოსავალი შევარდნაძის გადადგომაა

პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქვეყანაში დღეს არსებული სიტუაცია ჩიხში მოაქცია, "მიიყვანა სრულ კონფრონტაციამდე საზოგადოება და ხელისუფლება, საიდანაც ერთადერთი გამოსავალი სწორედ შევარდნაძის გადადგომაა".

A2

### ეკონომიკა

## „კმარა ჩვენზე ნადირობა", - აცხადებენ ბიზნესმენები

ქართველ ბიზნესმენთა ერთი ნაწილი შიშობს, რომ მალე ხელისუფლება მათზე ისეთივე ძალით გაილაშქრებს, როგორც ეს ამ რამდენიმე თვის წინათ მეზობელ რუსეთში მოხდა. ყოფილი პარლამენტარი ნიკო ლეკიშვილი კი დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში ამის ნიშნები დღეს უკვე აშკარად შეინიშნება.

A4

### უცხოეთი

## საქართველოს გზაჯვარედინი

ახლა, საქართველოს პრეზიდენტის რანგში, შევარდნაძე კიდევ ერთხელ დგას ისტორიული გადაწყვეტილების წინაშე, გადაწყვეტილებისა, რომელმაც უნდა განსაზღვროს, დაისადგურებს თუ არა საქართველოში სტაბილურობა და როგორ შევა ისტორიაში პრეზიდენტი შევარდნაძე, - წერს "ვაშინგტონ პოსტი".

A5

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | ☁ |
| ქუთაისი | 12 | 🌧 |
| ბათუმი | 9 | 🌧 |
| სოხუმი | 8 | 🌧 |
| ფოთი | 9 | 🌧 |
| თელავი | 4 | ☁ |
| ზუგდიდი | 12 | 🌧 |
| გორი | 4 | 🌧 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2049 |
| ევრო | 2.6271 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7450 |
| რუბლი | 0.0740 |

## არაკორუმპირებული შევარდნაძის შესახებ

# ბოლო მითიც დაიმსხვრა


A5

თერთმეტმილიონიანი ვილა ბადენ-ბადენში

## "პრეზიდენტი შევარდნაძე გარდაიქმნა დიქტატორ შევარდნაძედ"

**"2 ნოემბრის არჩევნების შედეგები პრეზიდენტ შევარდნაძის კაბინეტში წყდებოდა და მათ არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის ნებასთან... ეს არის ხელისუფლების უზურპაცია, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დიქტატორ შევარდნაძის მხრიდან. მე ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, პრეზიდენტი შევარდნაძე გარდაიქმნა დიქტატორ შევარდნაძედ,"** – "ნაციონალების" ლიდერი ცესკო-ს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებას გუშინ არ დაელოდა და დილიდანვე არჩევნების შედეგები "არალეგიტიმურად" გამოაცხადა.

ამის შემდეგ სააკაშვილი იმ ნიშნებს მიმოიხილავს, რითაც დიქტატორი უნდა ვიცნოთ: **"რეპრესიები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, აღვირახსნილი კორუფცია, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ძალის გამოყენებისთვის მზადყოფნა, გაყალბებული არჩევნები და ა.შ."**

თუ აქამდე გაერთიანებული ოპოზიციის არც ერთი წარმომადგენელი "ახალ მემარჯვენეებს" მწვავედ არ უტევდა, გუშინ ეს ნახევრად დუმილი დაირღვა. სააკაშვილმა ჟურნალისტებს წარუდგინა ოქმი, სადაც "ახლების" მონაცემები საწერი კალმითაა გადასწორებული – 0,64 გადასწორებულია 264-ად. **"ხომ ხედავთ, ყველგან "ახალ მემარჯვენეებს" მიმატებული აქვს 200-500 ხმა. ეს არის სწორედ ის საიდუმლო, რის გამოც "ახლები" დუმან, ეს არის სწორედ ის საიდუმლო, რატომ არ უპირისპირდებიან ისინი პრეზიდენტს და არ დგანან ხალხის გვერდით... აი, ასე იყიდება საქართველოში პოლიტიკური პარტიები,"** – აცხადებს სააკაშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გაფრთხილება ყველა ხელისუფლებას

# ჩაუშესკუ




საპროტესტო გამოსვლები ბუქარესტში.


A8

ჩაუშესკუ

## პოლიტიკური ფარსი ცესკო-ში

*სახელისუფლებო ბლოკი - 21,32 პროცენტი, 38 მანდატი.*
*"აღორძინების კავშირი" - 18,89 პროცენტი, 33 მანდატი,*
*"ნაციონალური მოძრაობა" - 18,8 პროცენტი, 32 მანდატი,*
*"ლეიბორისტული პარტია" - 12,04 პროცენტი, 20 მანდატი,*
*"ბურჯანაძე-დემოკრატები" - 8,79 პროცენტი, 15 მანდატი,*
*"ახალი მემარჯვენეები" - 7,35 პროცენტი, 12 მანდატი.*
*ასეთია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები.*

თამარ მჭედლიშვილი

მაშ ასე: ხელისუფლებისადმი მორჩილმა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნაწილმა, ფაქტობრივად, არაფრად ჩააგდო ცესკო-სა და სასამართლოებში შეტანილი ასობით საჩივარი, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი აურაცხელი დარღვევები და წინასწარი დასკვნები, უგულებელყო ათასობით ამომრჩევლის არჩევანი და სწორედ ის შედეგები დაამტკიცა, რომელიც დღეს აგრერიგად სჭირდება პრეზიდენტ შევარდნაძეს. ცესკო-მ თვალი დახუჭა იმ აშკარა სიყალბეზეც, რაც საზღვარგარეთის ქვეყნებში გახსნილ საარჩევნო უბნებზე ხდებოდა.

ხელისუფლების დაკვეთა შესრულებულია – ტოტალური გაყალბების მიუხედავად, არჩევნები დამტკიცებულად ცხადდება.

ოპოზიცია ამ გამოწვევას იღებს.

### ფარსი

გუშინ ცესკო-ს "ნაციონალმა", "დემოკრატმა" და "ლეიბორისტმა" წევრებმა სხდომა დემონსტრაციულად დატოვეს და შემაჯამებელ ოქმს ხელი არ მოაწერეს.

**"ის, რაც ორ ნოემბერს მოხდა, არ იყო არჩევნები. ეს იყო დეპუტატების დანიშვნები,"** – აცხადებდნენ ოპოზიციონერები.

ოქმს ბოიკოტი გამოუცხადეს "მრევწელებმაც", თუმცა ეს სულ სხვა მიზეზით იყო განპირობებული და ამაზე ოდნავ ქვემოთ.

**"მთელი ღამე აქ გავათენეთ. ვამოწმებდით ქუთაისიდან ჩამოსულ ოქმებს. პირადად მე მოვითხოვ სამართალდამცავი ორგანოებისგან, შეისწავლონ საბოტაჟის ის მცდელობები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქუთაისსა და რუსთავში... ისე, არც ერთი პოლიტიკური პარტია არ ღირს ჩვენს უძილობად... არც**

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ისტორიის გაკვეთილები

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მონადირე | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# წუხელ საპროტესტო მარში დაიწყო დასავლეთ საქართველოში

ბექა სისაური
ქუთაისიდან

გუშინ იმერეთში მთელი დღის განმავლობაში დაძაბული პოლიტიკური ვითარება სუფევდა. საპროტესტო აქციები პერიოდულად სხვადასხვა რაიონებში იფეთქებდა ხოლმე. წინააღმდეგობის მოძრაობამ კი კულმინაციას ღამის საათებში ქუთაისში მიაღწია, როდესაც დასავლეთ საქართველოდან მომავალმა ოპოზიციის მხარდამჭერებმა მერიის წინ გაერთიანებული მიტინგი ჩაატარეს.

თავდაპირველად კი ვითარება ხარაგაულში დაიძაბა. სადაც გამგეობის შენობაში განთავსებულმა მოშიმშილეებმა, რაიონის გამგებელი შენობაში არ შეუშვეს. საპროტესტო აქციას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გოჩა ჩახვაძის მხარდამჭერები მართავდნენ. ისინი ცესკო-ს მანიპულაციებში სდებდნენ ბრალს და ჩახვაძის გამარჯვების უპირობო აღიარებას მოითხოვდნენ. ცნობისათვის: გოჩა ჩახვაძემ სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატს 1000 ხმით აჯობა, რის შემდეგაც სახელისუფლებო ბლოკის მხრიდან, აღნიშნული მაჩვენებლის შეცვლის არაერთი მცდელობა დაფიქსირდა.

უკვე რამდენიმე დღეა დაახლოებით იგივე ვითარებაა ზესტაფონშიც. ზესტაფონის გამგეობის შენობაში "ნაციონალური მოძრაობის" წევრები შიმშილობენ და გამგებელ კვეტენაძეს გამგეობის შენობაში შესვლის საშუალებას არ აძლევენ. აღნიშნულ ვითარებაში კი რწმუნებულის ჩარევამ მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. მან, პოლიციელების თანხლებით, მოშიმშილეთა კორდონი ძალით გაარღვია და გამგებელი საკუთარ კაბინეტში შეიყვანა. დაახლოებით, თხუთმეტ წუთში გამგეობის შენობაში სააკაშვილი მიდის. მასა და რწმუნებულს შორის კი არცთუ თბილი დიალოგი გაიმართა. **"თქვენ ხართ სრული არარაობა და არაკაცი და როცა შევარდნაძე დაემხობა, ეს ნაძირლებიც მას უკან მიჰყვებიან,"** - მიმართა შაშიაშვილს სააკაშვილმა. **"სააკაშვილზე ნაძირალა კაცს საქართველოში ვერ ვხედავ და სააკაშვილი ამის გამო პასუხს აგებს,"** - მიაძახა უკან გაბრუნებულ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს რწმუნებულმა. აღნიშნულმა სიტყვებმა შაშიაშვილსა და სააკაშვილის მხარდამჭერებს შორის შეხლა-შემოხლა გამოიწვია. სააკაშვილის მომხრეები, რწმუნებულს უხეში ტონით სთხოვდნენ გადაგომას. ასე რომ სააკაშვილს პირიქით მოუწია საკუთარი მომხრეების დაშოშმინება. ზესტაფონიდან სააკაშვილი ზუგდიდის მიმართულებით გაემგზავრა.

ქუთაისის მერიის წინ მიმდინარე ოპოზიციის მიტინგი კი "ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერებსა და სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ მხარდამჭერებს დღის მეორე ნახევრიდან თავსხმა წვიმაში ელოდა. მიკროავტობუსების პირველი კოლონა ქუთაისში, დაახლოებით, ღამის ათის ნახევრისთვის გამოჩნდა და მან ქალაქში აბაშის, სამტრედიის, წალენჯიხის, ხონის, ვანის და ბაღდათის მოსახლეობა ჩამოიყვანა. ისინი მიტინგს "საქართველო! საქართველოს" შეძახილებითა და დროშების ფრიალით შეუერთდნენ. ნახევარ საათში კი მიტინგზე ნინო ბურჯანაძეც მივიდა. **"ჩემი მიზანია, მოსახლეობას შევხვდე, მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის და, ამავე დროს, გავამხნევო. ვუთხრა, რომ არ ვაპირებ არც ერთი ნაბიჯით უკან დახევას,"** - განაცხადა მიტინგზე მისვლისას ბურჯანაძემ. მას საპროტესტო აქციის მონაწილეები "ნინოს" ძახილით შეეგებნენ.

**"მე მინდა, ულრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. მათ არც ერთი ნაბიჯით არ დაიხიეს უკან და საქართველოს ხელისუფლებას აჩვენეს, რომ შეუძლიათ უშუქობის, უხელფასობის, უპენსიობის მოთმენა, მაგრამ არ მოითმენენ საკუთარი ღირსების შელახვას... ხელისუფლებამ ძალიან დიდი დანაშაული ჩაიდინა. ის შეეცადა, რომ ხალხსა და ხელისუფლებას შორის არსებული დაპირისპირება სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაეყვანა. ხელისუფლებამ, ასევე, დანაშაული ჩაიდინა, როცა შეეცადა, რომ თითოეული ჩვენგანისთვის აჭარის მოსახლეობა დაეპირისპირებინა. დღეს კი პრეზიდენტმა ბოლო შანსი გაუშვა ხელიდან, როდესაც ცესკო-ს გადაწყვეტილება არ შეაჩერა და თავისი ხალხის ნება არ შეისმინა,"** - განაცხადა მიტინგზე გამოსვლისას ნინო ბურჯანაძემ.

ამავე პერიოდში მიტინგზე სააკაშვილიც გამოჩნდა, მას თან ზუგდიდელი მხრდამჭერები ჩამოჰყვნენ. აქციის მონაწილეები სააკაშვილსაც შეძახილებით შეხვდნენ. "ნაციონალების" ლიდერმა მიტინგზე გამოსვლისას გზაზე განხორციელებულ თავდასხმის მცდელობაზეც ისაუბრა. **"მე ესენი ვერ შემაშინებენ. სამეგრელოდან და დანარჩენი საქართველოდან ჩამოვა ხალხი და მივა სახელმწიფო კანცელარიასთან... დღეს ჩვენ ქუთაისში დავბანაკდებით, ხვალ ვიქნებით გორში, საბოლოოდ კი მთელი საქართველო თბილისში მოიყრის თავს. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენ სახლებში დამარცხებულნი არ წახვიდეთ,"** - მიმართა სააკაშვილმა მოსახლეობას.

გუშინ ქუთაისის ცენტრში რამდენიმე ათეულმა მიკროავტობუსმა და იკარუსის მარკის ავტობუსმა მოიყარა თავი.

# ხელისუფლება ოპოზიციას პანკისელი რამაზაშვილის პირით ემუქრება

ზვიად რუაძე
კახეთიდან

კახეთში ხელისუფლება დაკარგული დიდების აღდგენას საბიუჯეტო ორგანიზაციების და პანკისელი ავტორიტეტების ხარჯზე ცდილობს. იმის გამო, რომ გუშინ თელავში საპროტესტო აქციები ოპოზიციას არ გაუმართავს, ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ შანსი ხელიდან არ გაუშვა და რაიონის აკადემიურ თეატრში სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლებთან უკვე მეორედ მოაწყო შეხვედრა. თუმცა, თავდაპირველად კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია მიტინგის გამართვას, თელავის გამგეობასთან ერთად, თეატრის შენობის წინ გეგმავდა, მაგრამ "კმარას" რამდენიმე წევრის გამოჩენამ მათ გადაწყვეტილება შეაცვლევინა. აქციის ორგანიზატორები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ "ნიავმა დაუბერა". რეალურად კი, როგორც "ნაციონალები" და "კმარელები" აცხადებდნენ, მედეა მეზვრიშვილს მათი შეეშინდა. ბოლოს კი აქციამ ღონისძიების სახე მიიღო. მიწვეული სტუმრები, რომელთა უმრავლესობა ახმეტის, ყვარლის და თელავის რაიონის გამგეობის თანამშრომლები იყვნენ, ერთმანეთს მშვიდობიანი საქართველოსთვის ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ. ის პროფესორ-მასწავლებლები კი, რომლებიც თელაველმა სტუდენტობამ ქრთამის აღებაში არაერთხელ ამხილა, ოპოზიციის აქციებს აკრიტიკებდნენ: **"ოპოზიცია იმად არ ღირს, რომ ჩვენი შვილების სისხლი დაიღვაროს,"** - [illegible]

ხელისუფლების რისხვას თელავში არც "კმარელები" გადაურჩნენ. "სოციალისტი" ვალერი კიკნაძე ახალგაზრდების გამოსვლებს ქუჩებში უარყოფითად აფასებს და მათ უსაქმურებს უწოდებს. "ნაციონალების" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" წამოწყებულ დაუმორჩილებლობის აქციებს კი კახეთში პრეზიდენტის რწმუნებული ბიძინა სონღულაშვილი დამოუკიდებლობის დანგრევად ნათლავს და მას მხარს პანკისელი ავტორიტეტი ლუკა რამაზაშვილიც უბამს. რამაზაშვილის სცენაზე გამოჩენამ საზოგადოების გაოცება გამოიწვია და სწორედ ამ დროს დარბაზიდან ხალხმა სახლისკენ სვლა იწყო. თავად პანკისელი ავტორიტეტი კი ასეთ განცხადებებს აკეთებდა: **"ოპოზიციას მოვუწოდებ, რომ ამ დაბეჩავებულ ხალხს ნუ აიყოლიებს."** რამაზაშვილი სააკაშვილს საკუთარ "გმირობებს" უხსენებს. **"არ დაგავიწყდეთ, მე ვინა ვარ. მთელი იარაღი, რაც კი პანკისშია, ჩემია",** - ასე დაემუქრა რამაზაშვილი ოპოზიციას.

"ღონისძიების" წამყვანობა კი თელავის ყოფილ დეპუტატს გივი ბეჩიაშვილს უწევდა. რაც შეეხება მედეა მეზვრიშვილს, მან დარბაზი უსიტყვოდ დატოვა.

თელავის თეატრში მიმდინარე შეკრების პარალელურად გუშინ მიტინგი სახელისუფლებო ბლოკის წევრებმა გურჯაანის გამგეობის შენობის წინ გამართეს. ისინი ოპოზიციის და ხალხის მიერ წამოწყებულ აქციებს აპროტესტებდნენ. ტრანსფარანტები - "ბიძინა სონღულაშვილი ჩვენი სიამაყეა" - [illegible]

# "პრეზიდენტი შევარდნაძე გარდაიქმნა დიქტატორ შევარდნაძედ"

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, დღეს "ნაციონალური მოძრაობა" პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხს კი არ განიხილავს, არამედ "საერთოდ ამ პარლამენტის შეშვებას და დაშვებას" არ აპირებს.

გუშინდელი ბრიფინგიდან სააკაშვილი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა, სადაც მხარდამჭერებთან შეხვედრას გეგმავს.

**"ძალიან მალე მთელი საქართველოს მოსახლეობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან, მათ შორის - აჭარიდან, თავს მოიყრის თბილისის ცენტრში და კიდევ ერთხელ ეტყვის შევარდნაძეს, რომ ქართველები არ დაემორჩილებიან შევარდნაძის დიქტატურას. ჩვენ არ ვაპირებთ, ვინმეს ფიზიკურად გავუსწორდეთ. შევარდნაძის გადადგომის პირობებშიც კი მისი ფიზიკური უსაფრთხოება დაცული იქნება. თუმცა, ერთი რამ იცოდეს ყველამ – ქართველი ერის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა არავის ეპატიება,"** – აცხადებს სააკაშვილი.

თუ როდის გაიმართება გაერთიანებული ოპოზიციის აქცია და სად, ამის შესახებ ინფორმაციას



სააკაშვილი ჟურნალისტებს იმ ოქმებს უჩვენებს, რომლებიც "ახლების" სასარგებლოდაა გაყალბებული.

მოსახლეობა წინასწარ შეიტყობს.

**"არავის არ ვურჩევ, ჩვენ წინ აღგვიდგეს. ჩვენ გამოვარღვევთ ნებისმიერ ბლოკადას, რკალს, საკონტროლო პუნქტს. მარტო "აღორძინების" დაქირავებულ გორილებს კი არა აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება,"** – აღნიშნავს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი.

*24 საათი*

# ერთადერთი გამოსავალი შევარდნაძის გადადგომაა

სოფო ბუკია

*"ძალიან მალე დადგება ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ქართველი ხალხის ნებას, მის არჩევანს სრული იგნორირება გაუკეთა," – ცესკო-ს მიერ ქართული პარლამენტარიზმისა და დემოკრატიისთვის გამოტანილი "განაჩენის" შემდეგ "ბურჯანაძე-დემოკრატები" კიდევ უფრო მწვავედ და უფრო მშვიდობიანად აპირებენ არსებულ ვითარებასთან დაპირისპირებას. "ჩვენ ერთი ნაბიჯითაც არ დავიხევთ უკან," – აცხადებენ ისინი.*

**"ამ წუთებში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელისუფლების უზურპაციის მცდელობა მიმდინარეობს. ცესკო-ს დღევანდელი სხდომა შეეცდება, საბოლოოდ დაასამაროს საქართველოში დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის პრინციპები,"** – ნინო ბურჯანაძე საგანგებო ბრიფინგს იწვევს და აღნიშნულ განცხადებას სწორედ მაშინ აკეთებს, როცა ცესკო-ში 2 ნოემბრის არჩევნების საბოლოო შედეგებს აცხადებენ.

"ბურჯანაძე-დემოკრატები" მიიჩნევენ, რომ ამით ხელისუფლებამ დაკარგა უკანასკნელი შანსი, ყურად იღოს ხალხის ნება და უარი თქვას დანიშნულ პარლამენტზე. პარლამენტის თავმჯდომარის ბლოკი პარლამენტში შესვლას არ აპირებს და სხვა პარტიებსაც ამისკენ მოუწოდებს. "ბურჯანაძე-დემოკრატები" კიდევ უფრო ფართომასშტაბიანს გახდიან მშვიდობიან საპროტესტო აქციებს და მშვიდობიანი მარშითა და დემონსტრაციებით დაუპირისპი-



"ბურჯანაძე დემოკრატები" მიმართავენ პოლიტიკურ პარტიებს: "გესმოდეთ საკუთარი პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე".

რდებიან "ხელისუფლების უზურპაციას". როგორც ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, დიდი სურვილის მიუხედავად, ხელისუფლება ვერ მიიღებს საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირებას. მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელსაც გაერთიანებული ოპოზიცია 2 ნოემბრის საპარლამენტო შედეგებით შეურაცხყოფილ მოსახლეობასთან ერთად გამართავს, ახლოსაც არ გაეკარება "აღორძინების" მიერ ორგანიზებულ აქციას, რომელიც პარლამენტის შენობასთან მიმდინარეობს. **"ჩვენ კარგად ვიცით, რატომ დააყენეს იქ ის ხალხი, რომელთაც, მე გულწრფელად მჯერა, სულ არ უნდათ იქ დგომა. ვფიქრობ, ჩვენ მოვახერხებთ თავიდან ავიცილოთ სამოქალაქო დაპირისპირება, რომლის საფრთხე ხელოვნურადაა შექმნილი. შევარდნაძემ დაუშვა და არ მოერიდა იმის წარმოჩინებას, რომ აჭარა და დანარჩენი საქართველო სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ - ეს უკვე ისეთი დანაშაულია, რომლის პატიებაც ძალიან ძნელი იქნება,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე. მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოება სრულ მხარდაჭერას უცხადებს ოპოზიციას და აღშფოთებულია საქართველოში ჩატარებული არჩევნებითა და მიმდინარე მოვლენებით.

ზურაბ ჟვანია მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქვეყანაში დღეს არსებული სიტუაცია ჩიხში მოაქცია, **"მიიყვანა სრულ კონფრონტაციამდე საზოგადოება და ხელისუფლება, საიდანაც ერთადერთი გამოსავალი სწორედ შევარდნაძის გადადგომაა".**

**"დღეს ჩვენ ვქმნით ჩვენი ქვეყნის ისტორიას,"** – აცხადებს ჟვანია და მოსახლეობის სრული მხარდაჭერის იმედი აქვს. იგი, ასევე, პოლიტიკურ პარტიებსაც მიმართავს და შეახსენებს: **"გესმოდეთ საკუთარი პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე".**

აკაკი ასათიანის განცხადებით, დღეს საქმე გვაქვს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან. **"სახელმწიფო გადატრიალება ყოველთვის თოფით და ზარბაზნით როდი ხდება,"** - ამბობს იგი და ყველა პოლიტიკურ პარტიას მოუწოდებს: **"თუ ჩვენთან და ხალხთან არ დადგებით, იმათ მაინც გაერიდეთ."**

# რუსთაველის გამზირზე აბაშიძისა და შევარდნაძის "დღეები" გრძელდება

*რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის მონაწილენი ცესკო-ს მიერ 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებას დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ. სახელისუფლებო ბლოკისა და "აღორძინების" ლიდერები გუშინ ერთად ზეიმობდნენ "გამარჯვებას". მიკროფონთან მისვლას არ აცდიდნენ ერთმანეთს ჯემალ გოგიტიძე და ლევან მამალაძე, ცოტნე ბაკურია და გია ზურაბაშვილი... ურთიერთმილოცვების მიუხედავად, "ხალხის რჩეულნი" მაინც შეფიქრიანებულები ჩანდნენ - "დღესასწაული" ოდნავ გააფერმკრთალა იმან, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ახალ პარლამენტს ბოიკოტს უცხადებს და ამით "ქვეყანასა და კონსტიტუციას ღალატობს".*

გიორგი ასანიშვილი

"ღალატის" საპასუხოდ, სახელისუფლებო ბლოკი და "აღორძინება" "გმირულ ნაბიჯს" დგამენ. **"ჩვენ აუცილებლად შევალთ პარლამენტში,"** - ჰპირდებიან მათი ლიდერები მომიტინგეებს.

შევარდნაძე-აბაშიძის ბლოკის წევრები ვინმემ კარიერისტულ მისწრაფებებში რომ არ დაადანაშაულოს, ისინი სასწრაფოდ იძლევიან განმარტებებს. **"ჩვენ სკამები კი არ** [illegible] **შედეგები ობიექტურად შეაჯამა."**

ცესკო-ს მიერ არჩევნების შედეგების ცნობისთანავე, "აღორძინების" დეპუტატები კანონით გათვალისწინებული პროცედურის - ნარკოლოგიური შემოწმების - გავლას შეუდგნენ. ჯემალ გოგიტიძის სურვილია, ნარკოლოგიურთან ერთად, დეპუტატები ფსიქოლოგიურადაც შემოწმდნენ. ამის აუცილებლობა რომ ნამდვილად არსებობს, დასტურად გუშინდელ მიტინგზე ცოტნე ბაკურიას გამოსვლაც საკმარისია. **"დღის მიშა სააკაშვილი** [illegible] **ად ადევნებდა თვალს, როგორ განხორციელდებოდა ეს შემზარავი აქტი,"** - როდესაც ადამიანს ასეთი შიზოიდური ფანტაზიები აქვს, მოდი და ნუ დაეთანხმები გოგიტიძის განცხადებას პარლამენტარების ფსიქიატრიული შემოწმების მიზანშეწონილობის შესახებ.

ისე, მხოლოდ ცოტნე ბაკურიას როდი "უნათდება" გონება. "შთაგონება", ზოგჯერ, რიგით გამომსვლელებსაც ეწვევათ ხოლმე. მაგალითად, ერთი მათგანი გუშინ სრულიად სერიოზულად ამტკიცებდა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ძალის (გასაგებია - რომლის) წარმომადგენლები აპირებენ პარლამენტში კანონპროექტის შეტანას, რომელიც მამაკაცზე მამაკაცის ქორწინების ნებართვას ითვალისწინებს...

აჭარიდან ჩამოყვანილ ხალხს ამგვარი სიცრუით, სიბინძურითა და სისულელეებით რომ უჭედავენ ტვინს, აქციის ორგანიზატორები, პარალელურად, თბილისე- [illegible] **ან სასიკეთო ცვლილებებია. ბატონმა ასლანმა აჭარა მთელ მსოფლიოს გააცნო..."** - მძლავრი დინამიკებიდან რუსთაველის გამზირზე მთელი დღეების განმავლობაში გაისმის "პრეზიდენტ" ასლან აბაშიძის სადიდებელი.

მომიტინგეებს, დროგამოშვებით, ასეც ამხნევებენ: **"ჩვენს ღონისძიებას შემოუერთდა 500 კაცი სამტრედიიდან... აქციაზე ჩამოვიდა 100 ადამიანი ადიგენიდან... პარლამენტის წინ მოვიდნენ ლტოლვილები..."** ეს განცხადებები ოდნავადაც რომ იყოს სიმართლესთან ახლოს, მაშინ, წესით, რუსთაველის გამზირი ხალხს ველარ უნდა იტევდეს, სინამდვილეში კი მომიტინგეთა რაოდენობა არა თუ იზრდება, არამედ თანდათან მცირდება.

შეწუხებულ, გადაღლილ და სახლსმონატრებულ აჭარლებს ჯემალ გოგიტიძე გამძლეობისკენ მოუწოდებს. **"ცოტაც, კიდევ რამდენიმე დღეც მოითმინეთ და..."** - აზრს [illegible]

მიმართვა

## აშშ-ს ადმინისტრაციას, გაერო-სა და ეუთო-ს

ჩვენ, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები გამოვხატავთ უკიდურეს შეშფოთებას ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო. როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობამ არ შეასრულა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი მიცემული დაპირება - ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩაეტარებინა საპარლამენტო არჩევნები. 2 ნოემბრის არჩევნების დაუფარავმა გაყალბებამ (რაც საერთაშორისო დამკვირვებლებმაც დააფიქსირეს), ხელყო ქართველი ხალხის უფლება, გაეკეთებინა თავისუფალი არჩევანი, რითიც აიძულა ქუჩაში გამოსულიყო საკუთარი უფლებისა და ღირსების დასაცავად.

მხარს ვუჭერთ რა თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციას, ჩვენ მივმართავთ აშშ-ს ადმინისტრაციას, გაერო-სა და ეუთო-ს, რათა ყველა ზომა იქნეს მიღებული ძალადობის თავიდან ასაცილებლად და საქართველოში შექმნილი კრიზისის მშვიდობიანად მოსაწესრიგებლად. მოვითხოვთ, პრეზიდენტმა და მთავრობამ შეისმინონ ქართველი ხალხის ნება და სისხლით მოსულნი, მშვიდობიანად წავიდნენ.

საქართველო იმსახურებს უკეთეს მომავალს ევროატლანტიკური დემოკრატიების თანამეგობრობაში, ისევე როგორც საქართველოს ხალხი იმსახურებს უფლებას, დემოკრატიული და მიუკერძოებელი არჩევნების საშუალებით აირჩიოს საკუთარი პარლამენტი. პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ვალდებულია, გამოიჩინოს სიმამაცე და გადადგეს ქვეყნის დემოკრატიული და მშვიდობიანი განვითარების სასიკეთოდ, მით უმეტეს, რომ მან, უკვე მერამდენედ ვერ შეძლო საქართველოს ხალხის ლეგიტიმური მოლოდინის დაკმაყოფილება.

იმედი გვაქვს, აშშ და მსოფლიოს სხვა მოწინავე სახელმწიფოები, ვისთვისაც ღირებულია ადამიანის უფლებები და სამართლიანობა, მხარს დაუჭერენ ქართველი ხალხის მისწრაფებას, კანონიერი გზით დაადგინენ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საარჩევნო ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", რომელმაც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში 7 პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა, აცხადებს, რომ ხელისუფლებისა და "ნაცმოძრაობის" ალიანსმა არჩევნები გააყალბა". როგორც პრაიმ-ნიუსს "მრეწველების" ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან პირველმა განუცხადა, "დიდმა პარტიებმა პატარა პარტიებს, მათ შორის "მრეწველებს", ხმები მოპარეს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკის "ბურჯანაძე-დემოკრატები" ერთ-ერთი ლიდერის, მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ახალი მოწვევის პარლამენტის შაბათს დანიშნული პირველი სხდომა ვერ გაიხსნება.

როგორც ჟურნალისტებს მაჭავარიანმა განუცხადა, პირველ სხდომას არ დაესწრებიან თავად "ბურჯანაძე-დემოკრატები", "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" და "ლეიბორისტული (შრომის) პარტია".

"პირველი სხდომის გასახსნელად საჭიროა 157 დეპუტატის დასწრება, რასაც სახელისუფლებო ძალები ვერ შეძლებენ", - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხუთშაბათს დაამტკიცა პარლამენტართა რიცხოვნობის შემცირების შესახებ 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის შემაჯამებელი ოქმი, რომლის მიხედვითაც მილიონ 590 ათას 309 პირმა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 184 ათას 209 წინააღმდეგ გამოვიდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა ხუთშაბათს გამართულ ცესკო-ს სხდომაზე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა, ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისას რუსთავში მომხდარი დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა კახა იმნაძემ ხუთშაბათს კატეგორიულად უარყო გერმანული პრესით გავრცელებული ინფორმაცია, რომლითაც ედუარდ შევარდნაძემ ამ ქვეყანაში ვილა იყიდა.

"ეს სისულელეა", - განუცხადა კახა იმნაძემ პრაიმ-ნიუსს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ დაისჯებიან პოლიტიკოსები, რომლებიც ანტისომხური განცხადებებით გამოდიან.

როგორც საინფორმაციო სააგენტო მედიამაქსი იტყობინება, ამის შესახებ სააკაშვილმა ორშაბათს, თბილისში ერევნის გაზეთ "აზგ"-ის კორესპონდენტს განუცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაეროს გენერალური [illegible]

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი [illegible]

# პოლიტიკური ფარსი ცესკო-ში

პირველი გვერდიდან

**ერთმა პოლიტიკურმა ძალამ არ უნდა მოიტყუოს თავი, თითქოს საპარლამენტო არჩევნები საშინელი გაყალბებით ჩატარდა. მართალია, იყო დარღვევები, მაგრამ 1999 წლის ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შემდეგ, საქართველო უცბად დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების ოაზისში ვერ აღმოჩნდებოდა. ცესკო-მ მაქსიმალური გააკეთა, რათა არჩევნები მშვიდ და ნორმალურ ვითარებაში ჩატარებულიყო, მაგრამ არჩევნების დარღვევებით გამართვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი ის იყო, რომ საქართველოს პარლამენტმა დაგვიანებით მიიღო ახალი საარჩევნო კოდექსი. ფაქტობრივად, ცესკო-ს წევრებს, მის აპარატს, საოლქო და საუბნო კომისიების წევრებს ორი თვის განმავლობაში უნდა შეესწავლათ ყველაზე რთული - საარჩევნო კოდექსი. საქართველოს პარლამენტმა სასწრაფოდ უნდა იფიქროს ახალ კოდექსში შესატან ცვლილებებზე, რათა მომავალი არჩევნებისთვის კოდექსის დახვეწა კვლავ ცაიტნოტში არ მოხდეს,"** – ეს ის არგუმენტებია, რომლითაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი ცდილობს, ახსნას ცესკო-ს საბოლოო გადაწყვეტილება.

ხელისუფლებისადმი მორჩილ ცესკო-ს წევრებში აგრესიას ოპოზიციონერთა ბრალდებები იწვევს. მეტიც: **"თქვენ ის ადამიანები ხართ, რომლებიც მარცხენა ხელს ჩვენს გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს უწევდით, მარჯვენა ხელით კი საჩივრებს წერდით. თქვენ თვითონ უნდა გრცხვენოდეთ"**, – ეს მათი პასუხია ოპოზიციონერთა ბრალდებებზე.

ასეთი აგრესიის მიუხედავად, ფაქტი ფაქტად რჩება – უამრავი გადასწორებული, გაყალბებული და შეცვლილი ოქმი, საარჩევნო სიებში, ერთი მხრივ, შეყვანილი ათასობით გარდაცვლილი და, მეორე მხრივ, გამქრალი ცოცხალი ამომრჩეველი, აშკარა განსხვავება უბნებზე მისულ ამომრჩეველთა რაოდენობასა და საარჩევნო ყუთებში ჩაყრილ ბიულეტენებს შორის…

ეს ყველაფერი კი მხოლოდ ერთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს – არჩევნები გაყალბდა. ამას არა მხოლოდ ოპოზიციური პარტიები, არამედ ის არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომლებიც არჩევნებში დამკვირვებლების სტატუსით მონაწილეობდნენ. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ არასამთავრობო სექტორმა უარი განაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან თანამშრომლობაზე.

არჩევნები გაყალბდა ყველა ოლქში, ყველა უბანზე. თუმცა, ბუნებრივია, მისი მასშტაბები განსხვავებული იყო. დამკვირვებლებმა განსაკუთრებით თვალშისაცემი დარღვევები აღმოაჩინეს სამგორის, ხაშურის, ბოლნისის, საგარეჯოს, გურჯაანის, ოზურგეთის, აჭარის ყველა რაიონში.



სად იყურება ნანა დევდარიანი?

### პროტესტი

არასამთავრობო სექტორმა, რომლის წარმომადგენლებმა არაერთი სასამართლო პროცესი მოიგეს, პირდაპირ დაადანაშაულა საარჩევნო ადმინისტრაციები პოლიტიკური დაკვეთის შესრულებაში.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ავრცელებს განცხადებას, სადაც ბოლნისში შექმნილ ვითარებაზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, რომელიც ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიას ავალდებულებდა არჩევნების შედეგების ხელახალ დაჯამებას, კომისიამ, პრაქტიკულად, უარი თქვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე. ამიტომაც, ასოციაციამ კვლავ მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს.

**"20 ნოემბერს სასამართლო განხილვის დროს დადასტურდა ბოლნისის საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან სასამართლოს მიერ თერთმეტ ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ფაქტი. რამდენიმესაათიანი პროცესის დროს გამოაშკარავდა უბნების ოქმების აბსოლუტური უმრავლესობისა და ოლქის ოქმების გაყალბების ფაქტები. ამის გამო, თბილისის საოლქო სასამართლომ, თერთმეტი ნოემბრისაგან განსხვავებით, ოქმები და განკარგულება განსახილველად საოლქო კომისიას აღარ დაუბრუნა და თავად მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება – გააუქმა როგორც საოლქო პროპორციული, ისე მაჟორიტარული არჩევნების შემაჯამებელი ოქმები.**

**როგორც ჩანს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრებისათვის, ბოლნისის საოლქო კომისიის მსგავსად, სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ ფარატინა ფურცელია – ცესკო-მ უგულებელყო თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ბათილად გამოცხადებული ბოლნისის 23-ე ოლქი საერთო შედეგებში ავტომატურად შეიტანა.**

**"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მიიჩნევს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება უკანონოა და მის მიერ მიღებულ შემაჯამებელ ოქმებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს,"** - ასეთია ახალგაზრდა იურისტთა გადაწყვეტილება.

გუშინ მორიგი, საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანმა არჩევნებმა" და საზოგადოებას პირდაპირ აუწყა, რომ არჩევნების ოფიციალური შედეგები არ გამოხატავს სქართველოს მოქალაქეების მიერ გამოხატულ ნებას.

გთავაზობთ ამ განცხადებას:

**"საქართველოს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლები, დაახლოებით, 2450 საარჩევნო უბანზე აკვირდებოდნენ.**

**4 ნოემბერს ჩვენ განვაცხადეთ: "სამართლიანი არჩევნები" მოუწოდებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, აჩვენოს კეთილი ნება და თავიდან აიცილოს არჩევნების შედეგების გაყალბება, რაც ნიშნავს იმას, რომ ცესკო-მ უარი უნდა თქვას გაყალბებული შედეგების დადასტურებასა და ცნობაზე". სამწუხაროდ, არჩევნების მომდევნო 18 დღის განმავლობაში ცესკო და საოლქო კომისიები თავად მოგვევლინნენ არჩევნების შედეგების გაყალბების ორგანიზატორებად და საარჩევნო უბნებზე უკვე გაყალბებულ შედეგების დამატებით გაყალბებაში თავად არანაკლები წვლილი შეიტანეს.**

**ამ 18 დღის განმავლობაში ჩვენ ვაგრძელებდით იმ შედეგებისათვის ბრძოლას, რომლებიც ამომრჩევლის ნებას ასახავენ. 18 ნოემბერს ცესკო-ს 1088 გვერდიანი დოკუმენტი წარვუდგინეთ, სადაც ნაჩვენები იყო ხმების დათვლის პროცესში მომხდარი დარღვევები. იმავდროულად, მივმართეთ სასამართლო ხელისუფლებას, რათა არჩევნების დღეს დაფიქსირებულ დარღვევებზე მომხდარიყო ადეკვატური რეაგირება.**

**დღეს ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ მხედველობაში მიიღო "სამართლიანი არჩევნების" 2500-კაციანი სადამკვირვებლო მისიის რამდენიმეთვიანი დაუღალავი შრომის ნაყოფი. თუმცა ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია მხედველობაში არ იღებს თავად ქართველი ამომრჩევლის ნებას და იმისგან განსხვავებულ შედეგებამდე მიდის, რაც ხმების პარალელურმა დათვლამ გამოავლინა.**

**ოფიციალურ შედეგებად გამოცხადებულ რიცხვებში ხმების პარალელური დათვლის შედეგებისგან განსხვავებული ყოველი პროცენტი იმ ტოტალური გაყალბების ნაყოფია, რასაც ადგილი ჰქონდა 2 ნოემბერს კენჭისყრისა და უბნებზე ხმების დათვლის, ხოლო 2 ნოემბრის შემდეგ - საუბნო მონაცემების შეჯამების პროცესში.**

**არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესის გაჭიანურებით საარჩევნო ადმინისტრაციამ შედეგებს საზოგადოების მხრიდან ნდობის ის მინიმალური ხარისხიც კი დაუკარგა, რაც 2 ნოემბრამდე არსებობდა საზოგადოებაში. იმის მიუხედავად, რას აცხადებს ცესკო, "სამართლიანი არჩევნების" ხელთ არსებული მასალა სრულ საფუძველს იძლევა, განვაცხადოთ:**

**2 ნოემბრის არჩევნები გაყალბდა; არჩევნების შედეგები არ ასახავს საქართველოს მოქალაქეთა ნებას."**

### ვაჭრობა დასრულდა

ამის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტი უკვე ოფიციალურად ნიშნავს საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის თარიღს - 22 ნოემბრის 16 საათს. მისი ერთგული დეპუტატები კი უკვე ნარკოლოგიურ შემოწმებებს გადიან.

თუმცა, მათი სიხარული, შესაძლოა, ნაადრევი იყოს – დღეს უკვე უზენაეს სასამართლოში, არჩევნების საბოლოო შემაჯამებელი ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით, "ნაციონალების", "დემოკრატების","ლეიბორისტების", ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა სარჩელები შევა.

ამასობაში, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს "ახალი მემარჯვენეების" შედეგებიც – გუშინ, გვიან საღამოს, საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა "ლეიბორისტული პარტიის" სარჩელი და მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიას ხმების ხელახალი დათვლა დაავალა. ამან კი, შესაძლოა, "მრეწველებთან" ერთად, "ახლებიც" დააზარალოს.

რაც შეეხება "მრეწველებს". პრეზიდენტისადმი გამოცხადებული უპირობო ერთგულების მიუხედავად, ისინი ბარიერს მიღმა დარჩნენ. გუშინ მათ ცესკო-ს სხდომაზე კიდევ ერთხელ სცადეს საბოლოო სურათის შეცვლა. განსაკუთრებით აქტიურობდა ნოდარ ჭყონია, რომელიც სთხოვდა ცესკო-ს წევრებს, შედეგების დამტკიცებამდე გამართულიყო დამატებითი კონსულტაციები და შემაჯამებელი ოქმიდან გამორიცხულიყო იმ საარჩევნო ოლქების შედეგები, სადაც, მათი მტკიცებით, ხმების დათვლა სერიოზული დარღვევებით მოხდა.

ჭყონიას ინფორმაციით, ცესკო-ს მიერ არჩევნების შემაჯამებელ ოქმში ბევრი ისეთი უბნის შედეგები გაითვალისწინეს, რომლებსაც არც ცესკო-ს წევრის ხელმოწერა და არც ბეჭედი არ ახლდა.

"მრეწველების" წევრის თხოვნა ცესკო-მ არ დააკმაყოფილა, რადგან პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო.

**"მე ნამდვილად გული მწყდება, რომ "მრეწველები" პარლამენტს მიღმა აღმოჩნდნენ, მაგრამ ახლა უკვე ვერაფერს ვიზამთ,"** – განაცხადა ნანა დევდარიანმა, ამან კი მოთმინებიდან გამოიყვანა "მრეწველთა" ერთ-ერთი სახე – ლევან პირველი, რომელმაც პირდაპირ, ტელეკამერების წინაშე განუცხადა ცესკო-ს ხელმძღვანელობას, რომ შესანიშნავად იცის, **"როგორ ითვლიან ისინი ხმებს და როგორ აყალბებენ შედეგებს."**

არჩევნების დამტკიცებიდან რამდენიმე საათის შემდეგ კი, სახელმწიფო კანცელარიაში, პრეზიდენტთან აუდიენციის იმედით, უკვე პარტიის ლიდერი გოგი თოფაძე გამოჩნდა. თუმცა, საეჭვოა, პრეზიდენტს მისთვის რაიმე დამამშვიდებელი ეთქვა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მან დაიგვიანა.

ვაჭრობა დასრულდა.

# მღელვარება ხელისუფლებაში

*სახელმწიფო კანცელარია, უკვე რამდენიმე თვეა, სახელისუფლებო-პოლიტიკური ვნებათაღელვის ეპიცენტრად იქცა. სწორედ აქ, ამ დღეებში საგანგებოდ დაცულ შენობაში ახმაურებენ, ძირითადად, სახელისუფლებო ძალის ლიდერები მთავარ პოლიტიკურ მესიჯებს და აქ, დახურულ კარს მიღმა იმართება შეხვედრები, რომელთა არათუ შინაარსი, არამედ თავად შედგომის ფაქტიც უკვე საკმაოდ მეტყველია.*

თამარ ხორბალაძე

### რუსეთის ელჩი მოსალოდნელ გართულებებს წინასწარმეტყველებს

საერთოდ, რუსეთის ელჩმა ბოლო დღეებში ისევე მოუხშირა სახელმწიფო კანცელარიაში ვიზიტებს, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა - სატელეფონო ზარებს. ვლადიმერ ჩხიკვიშვილი გუშინ, ოფიციალური ვერსიით, კანცელარიის აპარატის უფროსთან, პეტრე მამრაძესთან ორი საათის განმავლობაში სტუმრობდა.

ელჩის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი გარკვეულ ძალადობაშიც გადაიზარდოს. ელჩმა ჩხიკვიშვილმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მას არ აქვს ზუსტი ინფორმაცია, თუმცა არსებული ვითარების ანალიზი იმ ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება.

მანვე განაცხადა იმის თაობაზეც, რომ ქვეყანაში არსებული რთული მდგომარეობის გამო, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასაც გარკვეული პრობლემები შეექმნა. ელჩის ინფორმაციით, 5 დეკემბრისთვის დაგეგმილი იყო საქართველოში გაერო-ს სპეციალური წარმომადგენლების ჩამოსვლა, რომლებსაც აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით გარკვეული საკითხები უნდა განეხილათ, თუმცა, ქვეყანაში "გაურკვეველი" პოლიტიკური სიტუაციის გამო, შესაძლოა, ვიზიტი გადაიდოს. ამ განცხადებით ელჩმა, ფაქტობრივად, გააგრძელა ედუარდ შევარდნაძის მიერ ოთხშაბათს დაწყებული საინფორმაციო კამპანია, რომელიც აფხაზეთის უკვე მყარად გაყინული კონფლიქტის მოუგვარებლობასაც ოპოზიციურ მიტინგებს "მიაწერს".

მოსალოდნელი გართულებები - ეს საკითხი გუშინ კანცელარიაში საკმაოდ აქტუალური გახლდათ. ყველა ოფიციალური პირი თავს ვალდებულად თვლიდა, "მოსალოდნელი გართულებების" შესახებ გაეკეთებინა კომენტარი. შს მინისტრი კი ისევ საუბრობდა იმის თაობაზე, რომ **"გზებს არ კეტავს, უბრალოდ, ტრანსპორტს ამოწმებს"**. ნარჩემაშვილის თქმით, შს სამინისტროს აქვს ინფორმაცია, რომ უახლოეს პერიოდში გარკვეული ჯგუფების მიერ დესტაბილიზაციის მცდელობებს ექნება ადგილი. თუმცა, რა ჯგუფებია და რა დესტაბილიზაციაზეა საუბარი, ნარჩემაშვილს არაფერს ამბობს.

სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრიდან გამოსულმა გია ყარყარაშვილმა კი განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციისა და ხელისუფლების მოქმედება გასცილდება კონსტიტუციურ ჩარჩოებს, პირადად ის და "ქართული ლიგა", რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, შესაბამის ზომებს მიიღებენ. რა ზომებს, ყარყარაშვილი არ აკონკრეტებს, თუმცა ამბობს, რომ იგი იარაღს არავითარ შემთხვევაში არ მოჰკიდებს ხელს.

### ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებებზე ალაპარაკდნენ

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების მეორე დღეს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობაში არავითარი (!) ცვლილების განხორციელებას არ გეგმავდა, არჩევნებიდან თითქმის სამი კვირის შემდეგ, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსალოდნელ ცვლილებებზე საუბარი ისევ ხელისუფლებამ დაიწყო - შესაძლო "კოალიციურ მთავრობაზე" მინიშნებები სახელისუფლებო ბლოკიდან პირველმა ვაჟა ლორთქიფანიძემ გააკეთა. კოალიციური მთავრობის იდეა კანცელარიაში დიდი წარმატებით ვერ სარგებლობს, თუმცა, გარკვეულ საკადრო ცვლილებებზე საუბარი მაინც აქტუალურია.

საკადრო ცვლილებების შესაძლებლობას და მიზანშეწონილობას გუშინ ხაზი გაუსვა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ: იგი მიესალმა გენერალური პროკურორის მოადგილის



თოფაძე და ტყემალაძე პრეზიდენტთან შეხვედრიდან კარგ ხასიათზე გამოვიდნენ.

ბადრი ბიწაძის თანამდებობიდან გადადგომას. მისი თქმით, დროთა განმავლობაში საზოგადოება მიეჩვევა, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში არ იმუშავებენ.

ამ საკითხს გამოეხმაურა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ ხელისუფლებაში ცვლილებების დრო დადგა და პრეზიდენტი ამ ცვლილებებს პარლამენტს წარუდგენს.

იგივე განაცხადა პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ.

რჩეულიშვილის აზრით კი, ბიწაძის და სახელმწიფო ტელერადიო კორპორაციის ხელმძღვანელის ზაზა შენგელიას მსგავსად, არჩევანის გაკეთება ხვალ ხელისუფლებაში მყოფ კიდევ ბევრ მინისტრს მოუწევს.

"სოციალისტური პარტიის" და სახელისუფლებო ბლოკის ლიდერის აზრით, აუცილებლად უნდა დაიწყოს ახალი პარლამენტის ფუნქციონირება და მის წინააღმდეგ, ვინც მისი მუშაობის შეფერხებას შეეცდება, შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას.

სხვათა შორის, გუშინ მთელი დღის განმავლობაში კანცელარიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტთან მინისტრების შეხვედრა უნდა გამართულიყო, თუმცა პრეზიდენტს გუშინ შეხვდა მხოლოდ კობა ნარჩემაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ცვლილებები მას არ შეეხება; სესილი გოგიბერიძეს კი, საათნახევრიანი "თბილი" საუბრის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა გადადგომის შესახებ განცხადება დაუკმაყოფილა.

### "მრეწველები" სამართალს კანცელარიაში ეძებენ?!

მას შემდეგ, რაც ცესკო-მ ოფიციალურად დაადასტურა, რომ "მრეწველები" ხელისუფლებამ ისევე "გადააგდო", როგორც თავის დროზე - ედპ, "მრეწველობის გადამრჩენი" პარტიის ლიდერები ჯერ არჩევნების არშედგომაზე ალაპარაკდნენ, მერე - სასამართლოში ჩივილით დაიმუქრნენ, მერე - სახელმწიფო კანცელარიაში გაბრაზებულები მივიდნენ და პრეზიდენტთან შესვლის წინ კომენტარებზე უარიც განაცხადეს.

შეხვედრიდან გამოსული გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე, პარლამენტის მიღმა დარჩენილების პირობაზე, მეტისმეტად მხიარულად გამოიყურებოდნენ. მართალია, ბოლო დღეების ტრადიცია "მრეწველებმა" არ დაარღვიეს და "რუსთავი 2"-ს ინტერვიუ არ მისცეს, თუმცა, ჟურნალისტებთან საუბარში ძალიან მხიარულად უარყვეს ხელისუფლებასთან გარიგების საკითხთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ვერსია.

რაც შეეხება თავად ვერსიებს - ვახტანგ რჩეულიშვილმა გუშინ ჩვეულ "ხუმრობა-ხუმრობაში", თუმცა - საკმაოდ სერიოზულად განაცხადა, რომ ხელისუფლებამ "მრეწველები" საკრებულოში უნდა მოიყვანოს. სხვა ვერსიის თანახმად, "მრეწველებს" აღმასრულებელ ხელისუფლებაში ისეთი "სამეურნეო" პოსტები შესთავაზეს, რომლებზე უარის თქმა პარლამენტში მოხვედრილი პარტიისთვისაც აშკარად ფუფუნება იქნებოდა. არსებობს ვერსია იმის თაობაზეც, რომ "მრეწველებს" გუშინ კანცელარიაში სასამართლოს მომავალი გადაწყვეტილების კონტურებიც მოუხაზეს, თუმცა ყველა ეს ვერსია, ჯერჯერობით, დაუდასტურებელი გახლავთ.

და ბოლოს, ედუარდ შევარდნაძის განკარგულების თანახმად, საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა, ქვეყნის კონსტიტუციის 51-ე მუხლის საფუძველზე, 2003 წლის 22 ნოემბერს 16.00 საათზე გაიმართება.

# „ლეიბორისტები": ჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს

*იმ შემთხვევაში, თუ ცესკო "სამართლიან გადაწყვეტილებას" არ მიიღებს, "ლეიბორისტები" იმუქრებიან, რომ ახალი პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებენ და დაუმორჩილებლობის აქციას დაიწყებენ.*

გიორგი ასანიშვილი

2 ნოემბრის შემდეგ ძალიან შეთხელებია "მრევლი" შალვა ნათელაშვილს. პარტიულ მოწოდებას, თავიანთი საარჩევნო ხმების დასაცავად გამოსულიყვნენ და ცესკო-ს შენობასთან პროტესტი გამოეხატათ, გუშინ მხოლოდ რამდენიმე ასეული მხარდამჭერი გამოეხმაურა. თუმცა, "ლეიბორისტები" იხტიბარს არ იტეხენ და აცხადებენ, რომ ეს მხოლოდ გამაფრთხილებელი აქცია იყო და, საჭიროების შემთხვევაში, ქუჩაში ათეულობით ათასი კაცის გამოყვანა შეუძლიათ. **"ნურავის შეექმნება ილუზია, რომ ამის ძალა არ შეგვწევს. თუ არჩევნების საბოლოო შედეგები გაყალბდება, ხელისუფლების ყველა შტოს გადაყენების** (?!) **მოთხოვნით მასობრივად გამოვალთ,"** - იმუქრებიან აქციის ორგანიზატორები.

აქამდე გამოჩენილ პასიურობას "ლეიბორისტები" იმით ხსნიან, რომ არ უნდოდათ, **"ერთი კაცის** (პრეზიდენტის) **ინტერესებს ხალხის სიცოცხლე შესწირვოდა."** იყო ასეთი განმარტებაც: **"ლეიბორისტები" არასდროს გამოიყვანენ ქუჩაში ხალხს იმისთვის, რომ პარლამენტში რამდენიმე მანდატით მეტი შეხვდეთ."**

თუმცა, გუშინდელ აქციაზე ზემოთ აღნიშნულის საპირისპირო და გამომრიცხავი განცხადებებიც გაკეთდა. **"საჭიროების შემთხვევაში, ყველანი გამოვალთ, რათა კუდით ქვა ვასროლინოთ იმათ, ვინც კანცელარიაშია მოკალათებული. თუ ხელისუფლება გონს არ მოეგება და ცესკო ობიექტურ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, რადიკალურ ზომებს მივმართავთ და ვაიძულებთ შევარდნაძეს, რომ წავიდეს,"** - იმუქრება თბილისის საკრებულოს წევრი, "ლეიბორისტი" სოსო შატბერაშვილი.

"ცესკო, არ დაემორჩილო დამნაშავე პრეზიდენტს!", "შევარდნაძე, შეწყვიტე ცესკო-ზე ზეწოლა!" - მიტინგზე ასეთი ლოზუნგებით მისულ ხალხს ცეცხლზე ნავთი დაასხა ჯონდი ბაღათურიამ, რომლის თქმითაც, **"ცესკო-ში ტომრებით არის ფული მიტანილი და კომისიის წევრებს ვერ გადაუწყვეტიათ, რას გაუწიონ ანგარიში - ამ ტომრებს თუ სამართლიანობას."**

გუშინდელი აქცია საკმაოდ მალე დაიშალა. "ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენლებმა ეს ნაბიჯი იმით ახსნეს, რომ "იმელის" შენობის წინ გამართული თავყრილობა, შეიძლებოდა, ცესკო-ზე ზეწოლად ჩათვლილიყო და ამით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არაობიექტური გადაწყვეტილების მიღება გამართლებულიყო.

# ახალი მოწვევის პარლამენტმა ნარკოტიკებზე ტესტირებით დაიწყო

ახალი მოწვევის პარლამენტის, დაახლოებით, ოთხმოცმა დეპუტატმა ხუთშაბათს საღამოს, ცესკო-ს მიერ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ, ნარკოტიკების გამოყენებაზე შემოწმება გაიარა.

ამ ტესტის გავლის შესახებ გადაწყვეტილება წინა მოწვევის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო.

როგორც ჟურნალისტებს "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წევრმა, დეპუტატმა რევაზ მიშველაძემ უთხრა, "ყველა პარლამენტარმა შემოწმება ფსიქიატრთანაც აუცილებლად უნდა გაიაროს."

რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხუთშაბათს განაცხადეს, რომ არ აღიარებენ პრეზიდენტ "ედუარდ შევარდნაძის მიერ დანიშნულ პარლამენტს" და "მისი მუშაობის დაწყებას არ დაუშვებენ". **პრაიმ-ნიუსი**

# „კმარა ჩვენზე ნადირობა", - აცხადებენ ბიზნესმენები

ეთერ მამულაშვილი

*ქართველ ბიზნესმენთა ერთ ნაწილი შიშობს, რომ მალე ხელისუფლება მათზე ისეთივე ძალით გაილაშქრებს, როგორც ეს ამ რამდენიმე თვის წინათ მეზობელ რუსეთში მოხდა. ყოფილი პარლამენტარი ნიკო ლეკიშვილი კი დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში ამის ნიშნები დღეს უკვე აშკარად შეინიშნება. გუშინ, გადამხდელთა კავშირში შეკრებილი, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები ყველა პოლიტიკური ძალისგან მათზე დაწყებული "ნადირობის" დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ.*



*ბიზნესმენები შეშფოთებულნი არიან.*

მართალია, გუშინ ბიზნესმენებმა უფრო მეტი დაკონკრეტებისგან თავი შეიკავეს, თუმცა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას გულისხმობდნენ ისინი პროტესტის უკიდურეს ფორმაში. სულ ცოტა, ბიუჯეტში გადასახადების არგადახდა და მათი საქმიანობის დროებით შეწყვეტა, რაც, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ათასობით ადამიანის უმუშევრად დატოვებას ნიშნავს. გუშინდელ შეხვედრაზე ამის შესახებ ბიზნესმენებმა მხოლოდ გადაკვრით ისაუბრეს. "მიუხედავად ჩვენზე განხორციელებული არაერთი თავდასხმისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში თითოეული ჩვენგანი ყველა გადასახადს პატიოსნად იხდიდა, რადგან არ გვსურდა, რომ ჩვენი წინააღმდეგობით უბრალო მოქალაქეები დაგვეზიანებინა. მაგრამ, თუკი პოლიტიკოსები ჩვენზე თუნდაც სიტყვიერ თავდასხმებს არ შეწყვეტენ, პროტესტის უკიდურეს ფორმას მივმართავთ", - ასე დაემუქრნენ ბიზნესმენები ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, ვინც ღიად თუ ფარულად მათზე ნადირობა წამოიწყო.

"აღორძინების" წევრის ჯემალ გოგიტიძის მიერ ორი დღის წინათ სპორტის სასახლეში გაკეთებული განცხადება, რომელიც ცნობილ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს ეხებოდა, როგორც ჩანს, ბიზნესმენებისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა. დღემდე ისინი მათზე განხორციელებულ არც ერთ "შეტევას" არ გამოხმაურებიან, მით უმეტეს, მათივე განცხადებით, დღემდე ბიზნესმენებზე თავდასხმის არაერთი ფაქტი დაფიქსირებულა. "ჯერ იყო და, "ჯი-ვი-ესის" კომპანია ამოიღეს მიზანში, მერე იყო "ალდაგი" და "კოკა-კოლა", ბოლოს თავდასხმის ობიექტი პატარკაციშვილი გახდა. ყოველივე ამან ძალზე სახიფათო სახე მიიღო", - აღნიშნა ნიკო ლეკიშვილმა.

პატარკაციშვილსა და მის "პატიოსან ბიზნესს" მალე "კოკა-კოლას" შეფი თემურ ჭყონია გამოექომაგა. "უკვე მეორე დღეა, ძალიან ცუდი განცხადებები ისმის პატარკაციშვილის მისამართით. გარკვეული პოლიტიკური ძალები ამ ბიზნესმენის დაკავებას და რუსეთის მხარისთვის გადაცემას მოითხოვენ, მაგრამ არავინ ფიქრობს იმაზე, თუ ამით ჩვენი ქვეყანა რას მოიგებს? პრესტიჟს, იმიჯს თუ სხვა რამეს? სამწუხაროდ, ყოველთვის ასე იყო, ბიზნესმენების ამაგი არასდროს ფასდება ამ ქვეყანაში. ჩვენ მხოლოდ იმ დროს ვახსენდებით ხოლმე, როცა ბიუჯეტის შევსებაზე იწყებენ ფიქრს", - დაიწუწუნა ჭყონიამ.

გადამხდელთა კავშირში შეკრებილი ბიზნესმენები ქვეყანაში უკანასკნელ დღეებში განვითარებულ მოვლენებსაც გამოეხმაურნენ. მათი უმრავლესობა მთელ პასუხისმგებლობას პრეზიდენტს აკისრებს, რადგან "ნებისმიერ სახელმწიფოში სტაბილურობის მთავარი გარანტი, ქვეყნის პირველი პირი უნდა იყოს", - განაცხადა "კოკა-კოლას" პრეზიდენტმა და დასძინა: "ის, რაც დღეს ხდება, ამაში მხოლოდ ოპოზიციის დადანაშაულება არ იქნება მართებული. იმპორტი მცირდება, ლარის კურსი ეცემა. ხშირად გვესმის ამ ბოლო დროს ასეთი გამოსვლები. თუკი ასეთი დარტყმა მართლაც არის მოსალოდნელი, ამაზე პასუხისმგებელი პრეზიდენტი უნდა გახდეს. შეწყვიტონ ამით ჩვენი შეშინება. ჩვენთან ერთად, ეს მათაც მძიმე ტვირთად დააწვება".

გუშინვე ბიზნესმენებმა საზოგადოებისადმი სპეციალური ორგვერდიანი მიმართვაც მიიღეს, სადაც ცალსახად არის ნათქვამი: "უაპელაციო თავდასხმები ქართული საქმიანი სამყაროს წარმომადგენლებზე და მათი საქმიანობის განქიქება დასტურია იმისა, რომ ბევრი პოლიტიკოსი და პოლიტიკური ძალა ვერ აცნობიერებს საქმიანი სამყაროს ადგილსა და როლს ქვეყანაში, ვერ საზღვრავს, რა შეიძლება და რა არ შეიძლება პოლიტიკაში... კატეგორიულად ვგმობთ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და მოვითხოვთ ამ პოლიტიკურ ესკალაციაში მონაწილე ყველა სუბიექტისგან, შეწყვიტონ ბიზნესმენებზე გამოცხადებული ნადირობა, საინვესტიციო გარემოს სრული მოშლის ცდები. საშუალება მისცენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, საქმიან სამყაროს კი – იღვაწოს ქვეყნის საკეთილდღეოდ".

# ხაზინა ცარიელია

მაია ურუშაძე

გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა მთავრობის პოზიცია გაახმოვანა: ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების კლება იწინასწარმეტყველა და ეს საბაჟო თუ საგადასახადო დეპატრამენტების შემოსავლების სიმცირით ახსნა. **"ეს ქვეყანაში არსებულ არასტაბილურ ვითარებას უკავშირდება,"** – დაასკვნა გიგოლაშვილმა და შემდეგი შინაარსის პროგნოზიც "გამოაცხო": **"თუ ქვეყანაში არსებული სიტუაცია დროულად არ მოგვარდება, ნოემბრისა და დეკემბრის დაცული მუხლები დაუფინანსებელი დარჩება."**

სხვათა შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების კლებაზე დიდი ხანია, რაც საგადასახადო უწყების თავკაცი იასე ზაუტაშვილი და საბაჟოს ხელმძღვანელი დავით თარხან-მოურავი საუბრობენ. თუმცა, პირველი საგადასახადო დეპარტამენტის უსუსურობას პოლიტიკურ ვითარებას უკავშირებს, მეორე ჩინოვნიკი კი – არა.

მეტიც, გუშინ საბაჟოს ხელმძღვანელმა ოფიციალური განცხადებაც კი გამოაქვეყნა, სადაც ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა, რომ საბაჟოს შემოსავლების კლების მიზეზად პოლიტიკურ ვითარებას არ მიიჩნევს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის მოსალოდნელი გარღვევის თაობაზე მთავრობას უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც მიუთითებდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები. "24 საათი" მათ პროგნოზებსა და მონაცემებს დღემდე სტაბილურად აქვეყნებს.

ამ ფონზე ცარიელი ხაზინის გამო მთავრობის რეაქცია, სამწუხაროდ, დაგვიანებულია და ის გარდაუვალი აუცილებლობითაა ნაკარნახევი. მოვლენების განვითარება ცხადყოფს, რომ შეუსრულებელი ბიუჯეტისა და დროზე ადრე დაცარიელებული ხაზინის გამო პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება. ჩასაძირად გამზადებულ გემში აღმოჩენილი ჩინოვნიკებისთვის კი ახლა ისაა მთავარი, დამნაშავე სადმე სხვაგან, რაც შეიძლება შორს იპოვონ.

# IFC საქართველოს ბიზნესისათვის ლიზინგის აუცილებლობაზე საუბრობს

*საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ლიზინგს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დღეს ბიზნესში სახსრების მოზიდვა მხოლოდ საბანკო სესხების მეშვეობით ხდება, სადაც განსაზღვრული პროცენტები და პირობები მოქმედებს. სალიზინგო კომპანიების მომსახურება კი მეწარმეებსა და ბიზნესმენებს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი გირაოს ჩადების გარეშე, იჯარით აიღოს მისთვის საჭირო სხვადასხვა ტექნიკური საშუალება, ხოლო მისი ღირებულება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადაიხადოს. სალიზინგო კომპანიების მომსახურებით სარგებლობის საშუალება საქართველოში დღეისათვის უკვე არსებობს. ქვეყანაში სამი სალიზინგო კომპანია მუშაობს, რომლების სხვადასხვა სფეროებს ემსახურებიან. უახლოეს დღეებში დაგეგმილია მეოთხე ასეთი კომპანიის გახსნა, რომელიც სოფლის მეურნეობის სექტორს დაეხმარება. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) კი საქართველოს ბიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში აფინანსებს ქვეყანაში სალიზინგო მომსახურების დანერგვას.*

ნინო ნარჩემაშვილი

**"ჩვენი ერთ-ერთი მიზანი საქართველოში არსებული სალიზინგო კანონის გადახედვა და ხელისუფლებისათვის სალიზინგო საქმიანობის მნიშვნელობის დემონსტრირება გახლავთ".** განაცხადა მსოფლიო ბანკში გამართულ პრესკონფერენციაზე საქარველოში ბიზნესის განვითარების პროექტის ხელმძღვანელმა ფრენკ ლევერიმ. საქართველოში ლიზინგის სექტორის განვითარების, მისი გამოყენების დეტალების განხილვის მიზნით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ბიზნესისა და სახელმწიფო სტრუქტურების, ქართული სალიზინგო კომპანიების წარმომადგენლებისათვის უკვე მეორე ტრენინგს ატარებს. ფრენკ ლევერის ინფორმაციით, მსგავსი ტრენინგების ჩატარებას IFC ლიზინგის ინსტრუმენტის პოტენციური მომხმარებლებისათვისაც, ანუ იმ კომპანიების წარმომადგენლებისათვის გეგმავს, რომლებიც ლიზინგის მეშვეობით მანქანადანადგარების შესყიდვით არიან დაინტერესებულნი. მისივე თქმით, ლიზინგი მთელ მსოფლიოში საშუალო ვადიანი დაფინანსების ყველაზე ხელსაყრელ ფორმად არის აღიარებული, რადგან საჭიროებს მცირე საავანსო გადასახადს და წარმოადგენს თითქმის ურისკო ოპერაციას ლიზინგის გამცემისთვის, რაც მიმღებისთვის იაფი მომსახურების წინაპირობაა. ფრენკ ლევერის განცხადებით, ლიზინგი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორად და საბანკო კრედიტის კონკურენტულ საშუალებად მიიჩნევა. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში მის დანერგვას, პროექტის ხელმძღვანელის თქმით, სალიზინგო მომსახურებით უკვე რამდენიმე ქართული კომპანია სარგებლობს. საერთოდ კი, ქართული ბაზარი არ არის ძალიან დიდი არც საბანკო და არც სალიზინგო საქმიანობისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია სალიზინგო საქმიანობისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზის და საგადასახადო სფეროს კონკრეტული ფორმულირება.

# სავალუტო ფონდი გამოუტანს თუ არა საქართველოს განაჩენს?

ნიკა მარიამიძე

მომავალ კვირას თბილისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები ეწვევიან. მათი ვიზიტი, სავარაუდოდ, ფონდის საბოლოო განაჩენი იქნება დემოკრატიის გზას აცდენილი საქართველოსთვის. ჯერ კიდევ 17 ოქტომბერს საქართველოსთან სავალუტო ფონდმა მიმდინარე წლის კონსულტაციები დაასრულა. ფონდის დასკვნა მკაცრი და უარყოფითი იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო და ენერგეტიკულ სექტორებში მიმდინარე რეფორმის ტემპები დაუწუნა.

მისიის ვიზიტისას უნდა გაირკვეს, აღადგენს თუ არა სავალუტო ფონდი თავის დახმარების პროგრამას საქართველოში. ფონდის მისია ერთგვარი დეტექტორის როლში გამოდის და მის გადაწყვეტილებაზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის სხვა დონორების საქციელიც. თუ ფონდი საქართველოსთან ურთიერთობას არ აღადგენს, ქვეყანასთან ურთიერთობისგან სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიც შეიკავებენ თავს. მსოფლიო ბანკმა უკვე განაცხადა, რომ საქართველოსკენ თავისი თანხების მომართვას საგრძნობლად შეამცირებს. მსგავსი განცხადება გააკეთა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომაც. მან შეაჩერა რიგი ენერგეტიკული პროექტები და შეამცირა სოციალურად დაუცველი ფენებისათვის ზამთრის გათბობის პროგრამით გათვალისწინებული თანხების მოცულობა.

გრანტებისა და კრედიტების ნაკლებობა მომავალ წელს საქართველოს კარგს არაფერს უქადის. მთავრობის მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რჩევების მუდმივი იგნორირებით საქართველოს ეს მომავალი თითქმის გარანტირებული აქვს.

თუმცა, ფინანსთა სამინისტროში იმედს, როგორც წესი, ბოლომდე არ კარგავენ. **"ფონდი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ამ მოვლენებიდან გამომდინარე ფისკალურ შედეგებს აკვირდება და არ არის გამორიცხული, მან მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში შემოსავლების გეგმის გაზრდის ნაცვლად, მისი შემცირება მოითხოვოს. ის დასკვნებს მიმდინარე წლის ნოემბრისა და დეკემბრის მაჩვენებლების გაცნობის შემდეგ გააკეთებს,"** – განაცხადეს ფინანსთა სამინისტროში.

# "რაო ეეს როსიი" უკრაინის ენერგოსისტემის პრივატიზებას აპირებს

"რაო ეეს როსიის" განზრახული აქვს უკრაინის ენერგოსექტორის პრივატიზებაში მონაწილეობა. ამის თაობაზე გუშინ ყაზანში მყოფმა "რაოს" თავკაცმა ანატოლი ჩუბაისმა განაცხადა. "უკრაინის ენერგეტიკის მინისტრისა და ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, უკრაინის ელექტროენერგეტიკაში ჩვენ ჩვენ წილს მივიღებთ," – ასე "დაამედა" რუსეთის პრეზიდენტობის ამბიციით აღსავსე ჩუბაისმა ყაზანელები, უფრო კი – თავისი მომავალი რუსი ამომრჩევლები.

სხვათა შორის, უკრაინის ენერგეტიკის მინისტრმა ამასწინათ განაცხადა, რომ "რაოს" მონაწილეობა უკრაინის ენერგოობიექტების პრივატიზაციაში მიზანშეწონილი არ არის. "თუ "რაოს" ჩვენთან რაიმეს ყიდვა სურს, ეს რუსეთის მხრიდან უკრაინის ენერგოსისტემის ნაციონალიზაციაზე საუბარი იქნება. თუ "რაო" თავად იქნება პრივატიზებული, მაშინ, კი ბატონო," – ასე ჟღერდა უკრაინის ენერგეტიკის კურატორის პოზიცია.

ცნობისათვის, რუსეთ-უკრაინის ელექტროენერგეტიკული თანამშრომლობა "უკრაინის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და "რაო ეეს როსიის" შორის ელექტროენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობის" მემორანდუმის თანახმად ვითარდება. 2001 წლის 12 ნოემბერს დნეპროპეტროვსკში ხელმოწერილი ამ დოკუმენტს თანახმად, ახლა რუსეთისა და უკრაინის ენერგოსისტემები პარალელურ რეჟიმში მუშაობენ.

ენერგოსექტორის პრივატიზაციის საკითხებზე მოსალაპარაკებლად ჩუბაისის ვიზიტი უკრაინის პრეზიდენტ კუჩმასთან 18 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა კუჩმას ავადმყოფობის გამო გადაიდო.

*24 საათი*

# აქვს დოლარს პრობლემები?

გუშინ ამერიკული დოლარის კურსი მსოფლიო სავალუტო ბაზარზე რეკორდული მაჩვენებლით დაეცა. აზიურ ბაზრებზე გუშინდელი ვაჭრობის დროს ერთი ევრო 1.1975 დოლარად იყიდებოდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, უხლოეს დღეებში დოლარის კურსი კიდევ რამდენიმე ნიშნულით დაბლა დაეცეს. ანალიტიკოსების აზრით, ამ სიტუაციის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პირველი მიზეზი, რის გამოც დოლარის კურსმა ასე საგრძნობლად დაიწია, ქვეყანაში იმპორტის მკვეთრი ზრდა და მასზე დაწესებული გაზრდილი ტარიფებია. უკანასკნელი რამდენიმე წელია ამერიკის შეერთებულ შტატებში იმპორტმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ექსპორტს. ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, განსაკუთრებით გაიზრდება ტარიფები ჩინეთიდან შემოტანილ პროდუქციაზე. ამის გამო ჩინეთის მთავრობამ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დოლარის გაიაფების პოლიტიკით ბუში ექსპორტის წახალისებას ცდილობს. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც დოლარის კურსი დღითი დღე ვარდება, მსოფლიოს ცნობილი ბანკირების აზრით, გლობალური ტერორიზმია. ექსპერტთა პროგნოზით, უახლოეს წლებში დოლარის კურსი კიდევ 10-20 პროცენტით დაეცემა.

INTERNATIONAL IDEA
INSTITUTE FOR DEMOCRACY AND ELECTORAL ASSISTANCE

## გამოიცა ნაშრომი "დემოკრატია ადგილობრივ დონეზე: სახელმძღვანელო სამხრეთ კავკასიისთვის"

საერთაშორისო IDEA-ს სამხრეთ კავკასიის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი

დემოკრატიის ჯვარედინ-შედარებითი ანალიზის მეთოდიკა

სტოკჰოლმში დაფუძნებული სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტის (IDEA) სამხრეთ კავკასიის პროგრამამ 2003 წლის ნოემბერში გამოსცა ნაშრომი "დემოკრატია ადგილობრივ დონეზე: სახელმძღვანელო სამხრეთ კავკასიისთვის", რომელიც ეხება სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამი ქვეყნის: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ადგილობრივი დემოკრატიის პერსპექტივებს და პრობლემებს. ნაშრომი ეცნობის იმ უმთავრეს ელემენტებს, რომლებიც ქმნიან სრულყოფილი თვითმმართველობის სისტემას და ამ სამი ქვეყნის გამოცდილებას სამი ძირითადი თემის მიხედვით: ადგილობრივი არჩევნები, პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო მონაწილეობა. რეგიონის წარმომადგენელი დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ეს თემები განხილულია სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის ახალი სისტემების ანალიზთან ერთად.

საერთაშორისო IDEA დიდი სიამოვნებით მიიღებს თქვენს კომენტარებს და წინადადებებს, ასევე შემოთავაზებებს თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც წამოჭრილია ნაშრომში "დემოკრატია ადგილობრივ დონეზე: სახელმძღვანელო სამხრეთ კავკასიისთვის"

**არმინე არაკელიანი**
წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და პროგრამის ხელმძღვანელი
საერთაშორისო IDEA

### საკონტაქტო ინფორმაცია

სათავო ოფისი შვედეთში:
სტრომსბორგი
103 34 სტოკჰოლმი
ტელ: (468) 6983700
ფაქსი: (468) 202422
ელფოსტა: info@idea.int
ვებგვერდი: www.idea.int

პროგრამის ოფისი სომხეთში:
ტერიანის ქუჩა 83, ბინა 24
375009 ერევანი
ტელ: (3741) 565484/ 581489
ფაქსი: (3741) 565484
ელფოსტა: idea@arminco.com

პროექტის ადგილობრივი ჯგუფი საქართველოში:
გ. ტაბიძის ქუჩა 20
თბილისი 0105
ტელ: (995 32) 997261
მობილური: (995 93) 362838
ელფოსტა: idea@cipdd.org

### საერთაშორისო IDEA
### სამხრეთ კავკასიაში: მდგრადი დემოკრატიის წინაშე არსებული სირთულეები

1995 წელს სტოკჰოლმში დაფუძნებული დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი (IDEA) საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, რომელშიც წარმოდგენილია ყველა კონტინენტის ქვეყნები. IDEA ილტვის მსოფლიოს მასშტაბით მდგრადი დემოკრატიის მხარდაჭერისთვის სამთავრობო, სამეცნიერო და საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციების თანამშრომლობის გზით. IDEA თანამშრომლობს როგორც ახალგაზრდა, ისე დიდი ხნის სიმყარის დემოკრატიებთან, ეხმარება რა მათ ქვეყანაში ინსტიტუტებისა და დემოკრატიული კულტურის განვითარებაში.

იდეა გადამწყვეტ როლს თამაშობს შიდა და მონაწილეობაზე დამყარებული დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერასა და განვითარებაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში. IDEA-მ დაამტკიცა თავისი მიუკერძოებლობა და შეძლო მოეყარა ერთად სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონის რეფორმაზე ორიენტირებული სპეციალისტი და ინტელექტუალთა ფართო ქსელი დიალოგის პროცესში, რომელიც რეგიონში არსებულ სირთულეებს ეხება. დემოკრატიის წინაშე არსებული სირთულეების მონაწილეობაზე და პროცესზე ორიენტირებული შეფასება საშუალებას აძლევს ადგილობრივ მოქმედ პირებს დღის წესრიგში დააყენონ პრობლემატური საკითხები და მოითხოვონ პოლიტიკური ცვლილება.

პირველი ეტაპის წარმატებულად დასრულების საფუძველზე, განსაკუთრებით ადგილობრივი მმართველობის სფეროში, IDEA მომავალში განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ისევე როგორც სხვა რეგიონებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან.

პროგრამაზე და მის მიმდინარეობაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ
ქნ არმინე არაკელიანს
წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში და პროგრამის ხელმძღვანელს (a.arakelian@idea.int), ჩვენი პროგრამის ოფისს (idea@cipd.org ან idea@arminco.com). ასევე მიმართეთ პროგრამის ვებ გვერდს, რომელიც გთავაზობთ ზოგად და უახლეს ინფორმაციას პროგრამის შესახებ, ასევე დაკავშირებული დოკუმენტებისა და რესურსების ბმულების ჩამონათვალს: www.idea.int/southcaucasus/.




### ამ ნაშრომის ასლი შეგიძლიათ მიიღოთ უფასოდ შემდეგ მისამართებზე:

პროგრამის ოფისი სომხეთში:
ტერიანის ქუჩა 83, ბინა 24
375009 ერევანი
ტელ: (3741) 565484/ 581489
ფაქსი: (3741) 565484
ელფოსტა: idea@arminco.com

პროექტის ადგილობრივი ჯგუფი საქართველოში:
გ. ტაბიძის ქუჩა 20
თბილისი 0105
ტელ: (995 32) 997261
მობილური: (995 93) 362838
ელფოსტა: idea@cipdd.org

საკონტაქტო პირი აზერბაიჯანში:
რუფატ გარაგეზლი
ბაქო
ტელ: (994 12) 9944637
ელფოსტა: adam@azeri.com

ან ჩამოტვირთოთ IDEA-ს ვებ გვერდიდან: **www.idea.int/ southcaucasus/papers.htm**

## მოკლედ

### "მავერიკის" აწყობა ვერ ესწრება

თბილისელი ავიამშენებლების მიერ აწყობილი „მავერიკის" ტიპის თვითმფრინავის საცდელი ფრენა, რომელიც ოქტომბრისთვის იყო დაგეგმილი, ჯერჯერობით, არ ჩატარდება. პირველი თვითმფრინავის აგების დასრულება ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ხერხდება. ამერიკელი პარტნიორის მიერ მიწოდებული ძრავი გაუმართავი აღმოჩნდა, რაც "მავერიკის" ექსპერტმაც დაადასტურეს. "თბილავიამშენი" ამჟამად ახალ ძრავს ელოდება. შედეგად, დუბაის გამოფენაზე, რომელიც დეკემბერში ჩატარდება, "მავერიკის" წაღება ვერ მოხერხდება. ამ თვითმფრინავის მაკეტს თბილისელი ავიამშენებლები სარეკლამოდ ლონდონის ერთ-ერთი მაღაზიის სალონში, იანვარში გამოფენენ. შეგახსენებთ, რომ "თბილავიამშენს" ამერიკული ფირმა "მავერიკისგან" შეძენილი აქვს "მავერიკის" ტიპის თვითმფრინავების წარმოების უფლება და წელიწადში 100-მდე თვითმფრინავის აგებას გეგმავს. **მედია-ნიუსი**

### ლარის კურსი დიდ ცვალებადობას არ განიცდის

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართული დღევანდელი ვაჭრობის შედეგად ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში შემდეგნაირად დაბალანსდა: 1 დოლარი – 2.205 ლარი. ვაჭრობაში ოთხი კომერციული ბანკი მონაწილეობდა. მათ შორის დადებული ორი საბირჟო გარიგების საერთო მოცულობამ 162.000 დოლარი შეადგინა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით 1 დოლარი – 2.205 ლარი. 21 ნოემბრიდან ძალაშია ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 დოლარი – 2.205 ლარი. ამავე პერიოდისათვის შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 1 დოლარს 2.190 ლარად ყიდულობდნენ და 2.210 ლარად ყიდდნენ. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "თბილისში მიწისძვრით დაზარალებულები კუთვნილ 2 მილიონ ლარს წლის ბოლომდე მიიღებენ, ფინანსთა სამინისტრო იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება ფედერალურ ბიუჯეტში შემოსავლები, მიწისძვრით დაზარალებულთათვის გათვალისწინებულ 2 მილიონ ლარს დედაქალაქის ბიუჯეტს წლის ბოლომდე გადაურიცხავს," – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირაში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდმა დეპეშა გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრსა და ფინანსთა მინისტრს კატეგორიული მოთხოვნით – სასწრაფოდ გადაერიცხოს დედაქალაქის ბიუჯეტს მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად გათვალისწინებული 2 მილიონი ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (ფაო) საქართველოში ახალ პროგრამას იწყებს. პროგრამა საქართველოში სანერგე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობისთვის არის გამიზნული. შეირჩევა სამი რაიონი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, სადაც თხილისა და კაკლის სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობები მოეწყობა. გათვალისწინებულია სათბურების მშენებლობა და საუკეთესო ჯიშების ნერგების შეძენა. ფაოს ახალი პროგრამა 18 თვეს გაგრძელდება. მისი ბიუჯეტი 283 ათასი დოლარია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს "თბილგაზი" ურჩ გადამხდელთა დასჯას აპირებს. დაისჯებიან ის აბონენტები, რომლებსაც ბუნებრივი აირი სახლებში არალეგალურად აქვთ შეყვანილი ან აირს მრიცხველების გარეშე მოიხმარენ. "თბილგაზი" აფრთხილებს მომხმარებლებს, რომ მრიცხველების გარეშე აირის მოხმარება კანონდარღვევაა და ის აუცილებლად დაისჯება. დაისჯებიან ისინიც, ვინც ბუნებრივი აირის საფასურს რამდენიმე თვეა არ იხდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის გაზგამანაწილებელ სისტემაში არსებული აირის დაბალ წნევას "თბილგაზში" ობიექტური მიზეზებით ხსნიან. კომპანიაში განაცხადეს, რომ აირის დაბალი წნევა ქალაქში მოწოდებული გაზის სიმცირეს არ უკავშირდება, თუმცა იქვე აღნიშნეს, რომ წნევასთან არსებული პრობლემები, სავარაუდოდ, ქალაქის ზამთრის რეჟიმზე გადასვლის შემდეგ მოგვარდება. **ინტერ-პრესი**

# ტრაგედია სტამბოლში: 27 დაღუპული და 450 დაჭრილი

ლონდონის პოლიციამ ბუშის ვიზიტის წინ ქალაქი საგანგებოდ გაამაგრა. ამ მიზნით, ათასობით პოლიციელი და მილიონობით გირვანქა გამოიყო. უსაფრთხოების საგანგებო ზომების მიუხედავად, ტერაქტი ბრიტანეთის საკონსულოსა და ბრიტანული ბანკის წინააღმდეგ მაინც განხორციელდა. ოღონდ, არა ლონდონში, არამედ - სტამბოლში.

27 ადამიანი დაიღუპა და 500-მდე დაიჭრა გუშინ სტამბოლში მომხდარი ხუთი აფეთქების შედეგად. მათ შორის იყო ბრიტანეთის გენერალური კონსული სტამბოლში, როჯერ შორტი. საქართველოს საელჩოს განცხადებით, წინასწარი ინფორმაციით, დაზარალებულებს შორის ქართველები არ არიან.

აფეთქებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, საინფორმაციო სააგენტო ანატოლიას დაურეკა უცნობმა და განუცხადა, რომ ტერაქტები "ალ ქაიდასა" და მასთან დაახლოებული თურქული რადიკალური ორგანიზაციის წევრები არიან. ეს იგივე დაჯგუფებებია, რომლებმაც გასულ შაბათს სტამბოლში ორი სინაგოგა ააფეთქეს, რამაც 26 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ განაცხადა, რომ ყველა ნიშნით, თავდასხმა სწორედ "ალ ქაიდას" მიერ არის მოწყობილი.

"ჩვენი ვარაუდით, თავდასხმები კამიკაძე-ტერორისტებმა განახორციელეს," – განაცხადა თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა აბდულქადირ აქსუმ.


მორიგი ტერაქტი სტამბოლში.

გუშინვე, ამ ტერაქტთან დაკავშირებით, ბუშმა და ბლერმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ბლერის თქმით, ეს თავდასხმა იმის მაჩვენებელია, რომ ტერორიზმი გადამწყვეტ ომს აწარმოებს დემოკრატიის წინააღმდეგ. ბუშმა კი დასძინა, რომ ტერორისტებს თავისუფალი ქვეყნების დაშინება და დემორალიზაცია სურთ, რასაც ისინი ვერასოდეს მიაღწევენ.

ვაშინგტონი დიდი ხნის მანძილზე აცხადებს, რომ თურქეთი, როგორც ერთადერთი ისლამური დემოკრატია, რეგიონის სხვა სახელმწიფოებისათვის მოდელს წარმოადგენს.

"მე დიდი აფეთქების ხმა გავიგონე. თავიდან მიწისძვრა მეგონა. ფანჯრიდან როცა გადავიხედე, საშინელი სურათი დავინახე - საკონსულოს შენობა, კარიბჭე, ირგვლივ მდებარე შენობები დანგრეული იყო. ჩემი მეგობრების ძებნა დავიწყე. ოთხი მკვდარი თანამშრომელი ვიპოვე, მათგან ორი - ცოლ-ქმარი," - ჰყვება ბრიტანეთის საკონსულოს წარმომადგენელი.

თვითმხილველის განცხადებით, მწვანე მიკროავტობუსი საკონსულოს ჭიშკარში შევარდა და აფეთქდა. იგივე მეთოდით განხორციელდა 6 დღის წინ სინაგოგების აფეთქება.

რადიკალური ისლამური დაჯგუფებები თურქეთში დიდი ხანია მოქმედებენ, მაგრამ ბოლო დრომდე მათი მოქმედებები მცირე შეტევებსა და ცალკეული ადამიანების მკვლელობებს არ სცილდებოდა.

პირველი აფეთქება ბანკ "HSBC"-ის ოფისთან განხორციელდა. ამავე შენობაში პოპულარული სავაჭრო ცენტრიც მდებარეობს. მას ათი ადამიანი შეეწირა. მეორე აფეთქება ხუთი წუთის შემდეგ, ქალაქის ძველ ნაწილში, ბრიტანეთის საკონსულოს წინ მოხდა და მას 17 ადამიანი შეეწირა.

ტერაქტს მომენტალური რეაქცია მოჰყვა მსოფლიოს საფონდო ბირჟებზე. მაშინვე გაიაფდა ევროპული კომპანიების აქციები და გაძვირდა ოქრო - მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად სარისკო საქონელი. ვარაუდობენ, რომ ტერაქტების სერია უარყოფით გავლენას იქონიებს თურქეთის ეკონომიკაზე, რომელიც კრიზისიდან გამოსვლას ცდილობს.

*როიტერი*

# ბუშის ვიზიტი ლონდონში დემონსტრაციების ფონზე გრძელდება

დიდ ბრიტანეთში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სახელმწიფო ვიზიტი გრძელდება. გუშინ ლონდონის ქუჩებში ათი-ათასობით ადამიანი გამოვიდა და ბუშის და ერაყში ომის წინააღმდეგ თავისი პროტესტი გამოხატა.

დემონსტრაციის ორგანიზატორთა განცხადებით, ბრიტანეთის დედაქალაქის ცენტრში, ტრაფალგარის მოედანზე ასორმოცდაათი ათასი ადამიანი შეიკრიბა. პოლიციის განცხადებით კი, დემონსტრაციაში დაახლოებით 30 ათასმა პიროვნებამ მიიღო მონაწილეობა.

როგორც მრავალჯერ ითქვა, ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით, ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, უპრეცედენტო ზომებია მიღებული. გუშინდელი დემონსტრაციის დროს კი ქალაქში 5 ათასზე მეტი პოლიციელი პატრულირებდა. მანამდე წინასწარი ზომები იქნა მიღებული და ლონდონში 50-მდე აქტივისტი დააპატიმრეს. დემონსტრაციის მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად და მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის გუშინ ქალაქის ყველა ცენტრალური ქუჩა საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი. დემონსტრაცია დღესაც გაგრძელდება. ხელისუფლებას აქვს ინფორმაცია, რომ ლონდონში ათასზე მეტი უცხოელი ანტიგლობალისტი უნდა ჩავიდეს.



ბუშის ექვსმეტრიანი ფიტული რაკეტით ხელში.

ორგანიზატორები საპროტესტო მარშისა, რომლის კულმინაციაც რაკეტით ხელში ბუშის ექვსმეტრიანი ფიტულის გამოტანა იყო, აცხადებენ, რომ დღევანდელი დემონსტრაცია დიდი ბრიტანეთის ისტორიაში უდიდესი იქნება.

თუმცა, პრეზიდენტი ბუში საპროტესტო გამოსვლებს ყურადღებას არ აქცევს და თავის ვიზიტს გეგმის თანახმად აგრძელებს. მან გუშინ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან, ტონი ბლერთან გამართა მოლაპარაკება. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას, პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომი უნდა გაჩაღდეს.

# არაკორუმპირებული შევარდნაძის შესახებ ბოლო მითიც დაიმსხვრა

*თუკი ოდესმე დაინტერესდებით, რას იუწყება ჩვენი სამშობლოსა და თანამემამულეების შესახებ გერმანული პრესა, შეგიძლიათ ინტერნეტ-გვერდს მიმართოთ: www.paperball.fireball.de. აქ ყოველი წყაროს (ჟურნალისა თუ გაზეთის) მითითებით ათასგვარ საინტერესო ამბავს ამოიკითხავთ: რომ ჩრდილოეთ გერმანიის რომელიღაც სოფელში ქართული კულტურის კვირეული გაიმართა, რომ ქართველმა სპორტსმენებმა სასტიკად წააგეს. Georgier, ძირითადად, კრიმინალურ ქრონიკაში ჩნდებიან ხოლმე – ხან ფეხსაცმელებს იპარავენ, ხან ვიეტნამელ ლტოლვილებს სცემენ სიგარეტის წართმევის მიზნით. მართალია, ზოგჯერ თავსაც ვისახელებთ ხოლმე - ან კინოფესტივალებში ვიმარჯვებთ, ან კარგ კონცერტებს ვმართავთ, მაგრამ ეს ისე, კანტი-კუნტად.*

გუშინდელი გერმანულენოვანი პრესა ევროპელთათვის სახალისო, საქართველოს მოქალაქეთათვის კი დამაბნეველმა ამბავმა შეძრა: **"საქართველოს პრეზიდენტი ბადენ-ბადენში გრუნდიგის ვილას ყიდულობს!**

**19.11.2003**

**2003 Bild.T-Online.de**

თავის სტატიის დასაწყისში ბერნდ შტრელაუ მიამიტ კითხვას სვამს: **რატომ გაურბის არეულობას საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თავისი სამშობლოდან შვარცვალდში?**

**"გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ხმა დაირხა, რომ ყოფილი კანცლერის, ჰელმუტ კოლის და საგარეო საქმეთა ექს-მინისტრის, ჰანს-დიტრიხ გენშერის ძმაკაცი ბადენ-ბადენში აპირებს ბინის დადებას.**

**ამაზე შემდეგი ამბავი მიუთითებს: შევარდნაძის პირადმა რეფერენტმა ქალმა რადიოს პიონერის, მაქს გრუნდიგის (გარდაიცვალა 81 წლისა, 1989 წელს) ქვრივის ვილა, სავარაუდოდ, 11 მილიონ ევროდ იყიდა. საიდან უნდა ჰქონდეს რეფერენტს ამდენი ფული? ის, უბრალოდ, შევარდნაძისთვის მყიდველადაა მოვლენილი.**

**იქნება თუ არა ანაბერგული ვილა დევნილი შევარდნაძის რეზიდენცია?**

**შანტალ გრუნდიგმა ეს დიდებული სამყოფელი თავისთვის და თავისი მეორე ქმრისთვის, პროფესორ გიუნტერ დიცესთვის (67) ააშენებინა. ათი წლის შემდეგ, როცა განქორწინდნენ, მილიარდერი ქალი სამხრეთ საფრანგეთში დაბრუნდა."**

**ყველაზე გაუთვითცნობიერებელი მკითხველისათვის ბატონი შტრელაუ თავის სტატიას განმარტებით წერილს ურთავს: ვინ არის ედუარდ შევარდნაძე? ის ჰყვება, რომ: "ედუარდ შევარდნაძე (75 წლისა, მეტსახელი: "თეთრი მელა") 1993 წლიდან საქართველოს, თავისი სამშობლოს პრეზიდენტია. ის ქვეყანას არჩევნების გაყალბებითა და საიდუმლო პოლიციის ტერორით მართავს. ხალხის ძარცვაში მისი კლანიც იღებს მონაწილეობას. უწინ გორბის (გორბაჩოვის) საგარეო საქმეთა მინისტრი იყო (1985-91) და წამყვან როლს ასრულებდა გერმანიის გაერთიანებისთვის მოლაპარაკებებში.**

**იმხანად ჰანს-დიტრიხ გენშერთან მეგობრობდა. გორბისთან კონტაქტი აღარ აქვს – ყოფილ შეფს იმედები გაუცრუა."**

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი "ბილდი" ყვითელი პრესის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლავთ. მისი ჟურნალისტები ძალიან ყოჩაღად მუშაობენ, მაგრამ "ნამდვილი" პრესა გაზეთს მაინც ერთობ იქედნურად უყურებს და "ბილდში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას არასანდოდ თვლის. შესაბამისად, სერიოზულ "შპიგელსა" და "ფოკუსს" მისი ციტირება დიდ ძალისხმევად დაუჯდებოდათ, მით უმეტეს, რომ ასეთ სენსაციას პირველმა "ბილდმა" მიაგნო... მაგრამ რა გაეწყობა, ფაქტებს ვერსად გაექცევი და Spiegel online წერს:

**"საქართველო**

**შევარდნაძე თავშესაფარს გერმანიაში ეძებს?**

***საგაზეთო ცნობის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სამხრეთ გერმანიაში დიდებული ვილა იყიდა. შესაძლოა, განდევნის შემთხვევაში ის გერმანიისკენ იმზადებს გზას.***

**ჰამბურგი. გაზეთ "ბილდის" თანახმად, შევარდნაძემ თავისი რეფერენტი ქალის მეშვეობით ბადენ-ბადენში მეწარმის ქვრივის, შანტალ გრუნდიგის ვილა შეიძინა. ექსპერტების ვარაუდით, შენაძენის ფასი თერთმეტ მილიონ ევროს შეადგენს.**

**2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს ოპოზიცია არჩევნების გაყალბების გამო შევარდნაძის გადადგომას მოითხოვს. ყოველდღიურად ათასობით ქართველი დედაქალაქ თბილისში პრეზიდენტის წინააღმდეგ აწყობს დემონსტრაციებს..."**

გასაოცარი არაფერია: ბადენ-ბადენი ხომ ასწლეულების განმავლობაში შეძლებული და ხანშიშესული ადამიანების საოცნებო მხარე გახლავთ. თუ საშუალება გაქვს, რატომაც არა? მით უმეტეს, რომ მის უშუალო სიახლოვეს მდებარე ანაბერგი ნამდვილი სამოთხის კარია – ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის, მაქს გრუნდიგის ქვრივმა, მილიარდერმა ქალბატონმა შანტალმა ნამდვილად იცის, სად რა უნდა ააშენოს.

ეს ამბავი "შპიგელის" კვალდაკვალ რუბრიკაში "პოლიტიკა" მეორე, არანაკლებ კომპეტენტურმა "ფოკუსმაც" შეატყობინა თავის მკითხველს:

**"შევარდნაძე გერმანულ ვილას ყიდულობს**

**როგორც ჩანს, შინ, თბილისში, ის კონტროლს კარგავს**

**როგორც ჩანს, ყოველდღიური დემონსტრაციების გავლენით, საქართველოს პრეზიდენტი გერმანიაში გასაქცევს იმზადებს. ხუთშაბათს, ინფორმირებულ წრეებზე დაყრდნობით, გაზეთი "ბილდი" იუწყებოდა, რომ ედუარდ შევარდნაძემ თავისი პირადი რეფერენტი ქალის მეშვეობით ბადენ-ბადენში, მეწარმის ქვრივის, შანტალ გრუნდიგის ვილა შეიძინა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შენაძენის ფასი თერთმეტი მილიონი ევროა.**

**...2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს ოპოზიცია, არჩევნების გაყალბების გამო, შევარდნაძის გადადგომას მოითხოვს. ყოველდღიურად ათასობით ქართველი დედაქალაქ თბილისში პრეზიდენტის წინააღმდეგ დემონსტრაციებს აწყობს. ოპოზიციის ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა თავის მომხრეებს პრეზიდენტის რეზიდენციისკენ "მშვიდობიანი მსვლელობისკენ" მოუწოდა...**

**შევარდნაძის წარმომადგენელი ამ ცნობას უარყოფს. "სრული აბსურდია ან დაგეგმილი პროვოკაცია," - განუცხადა მისმა წარმომადგენელმა dpa (გერმანული პრესის სააგენტო) საინფორმაციო სააგენტოს თბილისში. შიდაპოლიტიკური თვალსაზრისით, პრესის ქვეშ მყოფი შევარდნაძე ქვეყნიდან წასვლას არ გეგმავს...**

**20.11.03, 12:01"**

ამ უკანასკნელ ცნობას გერმანული პრესა, რომელიც ნამდვილად არც სამთავრობო ბლოკის მომხრეა და არც თავდადებული ოპოზიციონერი, სხვა წყაროებშიც იმეორებს, როგორიცაა WAZ (Westdeutsche Allgemeine Zeitung) თუ Tiroler Tageszeitung. და, ცხადია, იქვე იმასაც დაუზარლად ჰყვება, თუ რას უარყოფს პრეზიდენტის წარმომადგენელი. ამბის თავიდან თხრობით თავს აღარ შეგაწყენთ, თუ მაინცდამაინც გადაკითხვა მოგინდათ, შეგიძლიათ უახლოეს ინტერნეტ-კაფეში მიბრძანდეთ, ზემოთაღნიშნული გვერდი გახსნათ, ჩვენი სამშობლოს სახელი აკრიფოთ და უბრძანოთ: Los!

*24 საათი*

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ათი ქვეყანა
ერთი საბანკო ჯგუფი

პროკრედიტ ბანკი ეკუთვნის იმ ბანკების ჯგუფს, რომლებიც წარმატებით ეწევიან თავიანთ საქმიანობას სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და რომლებიც ერთად ემსახურებიან 250,000 კლიენტს. ჯგუფის საერთო აქტივების ღირებულება შეადგენს 800 მილიონ აშშ დოლარს. ეს ბანკები ახორციელებენ საკრედიტო საქმიანობას 113 მილიონი მოსახლეობისაგან შემდგარ გაერთიანებულ ბაზარზე.

ყველა პროკრედიტ ბანკი იმყოფება ერთი ჯგუფის შემადგენლობაში და მასში შემავალ აქციონერებს წარმოადგენენ ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, კომერცბანკი, გერმანული სახელმწიფო განვითარების კომპანია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და საერთაშორისო მიკრო ინვესტიციების კომპანია.




150 ფილიალზე მეტი
250 000 კლიენტი
800 მილიონი დოლარის აქტივები

www.procreditbank.ge

# საქართველოს გზაჯვარედინი

შევარდნაძის სახელს ჯერ კიდევ ბოლომდე არ გასვლია ყავლი. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის სიმამაცემ ხელი შეუწყო ცივი ომის მშვიდობიანად დასრულებას. ახლა, საქართველოს პრეზიდენტის რანგში, შევარდნაძე კიდევ ერთხელ დგას ისტორიული გადაწყვეტილების წინაშე, გადაწყვეტილებისა, რომელმაც უნდა განსაზღვროს, დაისადგურებს თუ არა საქართველოში სტაბილურობა და როგორ შევა ისტორიაში პრეზიდენტი შევარდნაძე.

ამ თვის დასაწყისში საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. საერთაშორისო დახმარებით ჩატარებულმა ეგზიტ-პოლებმა და ხმების პარალელურმა დათვლამ აჩვენა, რომ ოპოზიციურმა, პროდასავლურმა პარტიამ დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია. მაგრამ, მასობრივი და თავხედური გაყალბების შედეგად, ოფიციალური შედეგები წინასწარს არ დაემთხვა, გაყალბებაში უდიდესი როლი შეასრულა ერთ-ერთი პროვინციის ავტორიტარულმა ლიდერმა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთთან. შევარდნაძეს ამჟამად ასეთი არჩევანი აქვს: მას შეუძლია გაყალბების დაკანონება და რეგიონულ ბოსთან ერთად პარლამენტზე კონტროლის დამყარება, ან შეუძლია დაჰყვეს დასავლეთის რჩევას, უარი თქვას გაყალბებულ შედეგებზე და ოპოზიციის გამარჯვება აღიაროს.

ორივე არჩევანმა შეიძლება არეულობა გამოიწვიოს ქვეყანაში, რომელსაც თავისი მდებარეობის გამო, დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. რუსეთსა და თურქეთს შორის მდებარე საქართველო უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო გზაა კასპიის ზღვის ირგვლივ მდებარე ნავთობისათვის. რუსეთს ბოლომდე არასოდეს უცვნია საქართველოს დამოუკიდებლობა და, საერთაშორისო ნორმების დარღვევით, ჯერ კიდევ ინარჩუნებს ამ ქვეყანაში რამდენიმე სამხედრო ბაზას. რუსეთის ზეწოლას შევარდნაძემ დასავლეთთან ალიანსით უპასუხა. აშშ საქართველოს უდიდეს დონორად იქცა. გარდა ამისა, ამერიკელებმა გაწვრთნეს ქართული ჯარის ნაწილები. ბუშის ადმინისტრაცია თავიდანვე მოუწოდებდა შევარდნაძეს სუფთა არჩევნების ჩატარებისაკენ. ახლა ვაშინგტონი აფრთხილებს შევარდნაძეს, რომ თუ იგი გაყალბებული არჩევნების შედეგებს აღიარებს, იგი დაკარგავს დასავლელ პარტნიორებს, მისი ქვეყანა კი – ნატო-ში გაწევრიანების შანსს. ოპოზიციის ლიდერები, რომლებიც დღეს ქუჩაში არიან, შევარდნაძის გადაყენებით იმუქრებიან.

შევარდნაძეზე ზეწოლას აჭარის ლიდერი, ასლან აბაშიძეც ახდენს. სწორედ მის რეგიონშია განთავსებული ერთ-ერთი რუსული სამხედრო ბაზა. აბაშიძის მიერ წარდგენილი შედეგებით, მისმა პარტიამ ნამდვილზე სამჯერ უფრო მეტი ხმა მიიღო. თავის საფეოდალოში მან უფრო მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ამომრჩეველია რეგისტრირებული. თუ მის შედეგებს არ მიიღებენ, იგი დამოუკიდებლობის გამოცხადებით იმუქრება. არჩევნების დასრულებისთანავე აბაშიძე ერევანში გაფრინდა, სადაც რუსეთის თავდაცვის მინისტრს შეხვდა. ამის შემდეგ იგი მოსკოვში შეხვდა რუსეთის მთავრობის ზოგიერთ სხვა წარმომადგენელს. თუ შევარდნაძე ამ ბანდიტის პირობებს მიიღებს, მაშინ იგი მას საპარლამენტო მხარდაჭერას ჰპირდება, მაგრამ ამ შემთხვევაში, შევარდნაძე, ალბათ, ველარ შეძლებს პუტინის შეკავებას, რომლის იმპერიული ამბიციებიც სულ უფრო აშკარაა.

შეერთებული შტატების შესაძლებლობი, ამ კრიზისის დასრულების თვალსაზრისით, უსაზღვრო არ არის. მას შეუძლია, მხოლოდ ზეწოლა მოახდინოს შევარდნაძეზე, რათა მან დემოკრატია და დასავლეთი აირჩიოს – და დაეხმაროს მას იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ არჩევანს გააკეთებს.

*ვაშინგტონ პოსტი*

# შევარდნაძის ბოლო ბრძოლა

შევარდნაძე უნდა წავიდეს – განუწყვეტელ მოწოდებად ისმოდა ორი კვირის მანძილზე თბილისში, პარლამენტის წინ შეკრებილ მომიტინგეებს შორის.

მომიტინგეები აცხადებენ, რომ შევარდნაძე დესპოტ და კორუმპირებულ მმართველად იქცა, ხოლო 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა. სანამ ხალხი არჩევნების შედეგებს აპროტესტებდა, აჭარის პრორუსულად განწყობილი ლიდერი აბაშიძე მოსკოვში ჩავიდა, სადაც კრემლის აპარატის ახალ უფროსს, მედვედევს შეხვდა.

შევარდნაძემ კავშირი შეკრა ყოფილ პოლიტიკურ მეტოქე აბაშიძესთან – ოპოზიცია შიშობს, რომ ეს ალიანსი საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებას ნიშნავს. ამ მოსაზრებას ხელი შეუწყო აბაშიძის მოსკოვში ვიზიტმაც. "ეს არის რუსეთის მცდელობა, აღიდგინოს საქართველოზე ბატონობა," – ამბობს "ბურჯანაძე-დემოკრატების" წარმომადგენელი დავით ტყეშელაშვილი.

75 წლის შევარდნაძისათვის ეს ყველაფერი სევდიან დასასრულს მოასწავებს. იგი იზოლირებულია, ვითარებაზე კონტროლი დაკარგული აქვს და კორუმპირებულ გარემოცვაშია მოქცეული. ქართველებს ყელში აქვთ ამოსული მასობრივი სიღატაკე, დაქცეული ინფრასტრუქტურა და დანგრეული ენერგეტიკა.

"საქართველო უკანალით უნდა შებრუნდეს დასავლეთისაკენ," – არც ისე დიდი ხნის წინ მოსთხოვა რუსმა მაღალჩინოსანმა თავის ქართველ კოლეგას. დასავლეთს ეს უნდა აღელვებდეს, რადგანაც საქართველო კასპიის ნავთობისა და გაზის კარიბჭეა.

მოლაპარაკებები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ჩაიშალა, მომიტინგეებსა და პრეზიდენტს შორის ომი დაიწყო. შევარდნაძეს კი ამასობაში სულ უფრო ნაკლები ალტერნატივა რჩება.

*ტაიმი*



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

# კოკა

ჩემი ძვირფასი ბიძაშვილის ამბავი, იმედია, მოგეხსენებათ. თითქოს ბოდბისხევში ცოტა საქმე ჰქონდეს, აუცილებლად ქალაქის საქმეებშიც უნდა ჩაეჩხიროს.

ეს ბოლო დღეები ნამეტანი დავიტვირთე თავი და ვიფიქრე, ერთი-ორი დღე გავივლი, აქეთ ნაცნობებს ვნახავ, იქით მიტინგს შევათვალიერებ – მოკლედ, ცოტა გავმხიარულდები-მეთქი.

გაგიგონია? წინაკასავით არის. უადგილო ადგილას რომ მოგხვდება და ერთ ადგილზე აღარ დაგაყენებს. გუშინ დილაადრიან დამირეკა. ეს რა ბიჭი გყოლიათო, კოკაზე მეუბნებოდა. საცა ამდენი ითმინა, ბარემ ბოლომდე დალოდებოდა ამ ჩვენი პრეზიდენტის დაგადგომასა თუ გადაგდებას და მერე ემღერა გალობანი სინანულისანიო. მაემზადენით, ეხლა ეგეთები მოგიმრავლდებიანო. რაც აქ ქიზიყელებმა ითმინეს, რაც აქ ლეიბორისტები მოგვიმრავლდა, სულ მაგისი და მაგისთანების დამსახურებააო.

ჩუმად ვუსმენდი. ან რა უნდა მეთქვა, მართალი იყო.

როგორც ვთქვი, დამსახურებული დასვენება მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ გუშინწინდელმა ამბებმა და ბიძაშვილის სატელეფონო ლექციამ – წიწაკაა, მა რა ჯანდაბაა – გეგმები შემაცვლევინა.

აქედანვე მინდა ვთქვა, ძალიან კარგია, რომ თვალების ახელის პროცესი დაიწყო. ხელისუფლებამ გუშინწინდელი ფაქტით ძალიან ბევრი დაკარგა. ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ დანაკარგები ოპოზიციას შეემატა, მაგრამ, "რუსთავი 2"-ზე გაშვებული მორბენალი ესემესების შინაარსის გათვალიწინებით, ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონი თურმე პოლიტიკაში დაახლოებით ასე აისახება: ის, რაც დაკარგა პრეზიდენტმა, შეიძინა კოკამ. გუშინწინვე, რამდენიმე ჭკვიანი კაცის გარდა, ენერგიის ეს გადადინება ბევრმა დაფნის გვირგვინად აქცია და ადრესატიც იქვე გამოუძებნა.

კოკა გუშინწინდელი საღამოს გმირად იქცა.

გუშინწინდელს აქეთ საქართველოში ზნეობრიობის ახალი კრიტერიუმები შემუშავდა. თურმე სამოქალაქო გმირობად შეირაცხება ის, რაც ნორმალური ადამიანის ყოველდღიური და ჩვეულებრივი ვალია. თურმე წლების მანძილზე სიმართლის მალვა და მისი ერთადერთხელ, ისიც მისხლით გასაზომი ოდენობით თქმა ვაჟკაცობა ყოფილა. გუშინწინ ზოგიერთებმა კოკას მეგობრობითაც დაიწყეს ტრაბახი.

ვიცი, რომ ეს ყველაფერი ძლიერ ემოციურ ფონზე მოხდა, მაგრამ ზუსტად ასეთივე ფონს არც გოგა ხაინდრავასთვის და არც გიგა ბოკერიასთვის ხელი არ შეუშლია, ეთქვათ ის, რაც სათქმელი იყო, ცხადია, გასაგები მიზეზების გამო, უფრო თავშეკავებულად, ვიდრე ახლა მე ვამბობ. მაგრამ მაინც ეთქვათ.

კი ბატონო, ვთქვათ და, კოკა გმირია, რაკიღა პრეზიდენტს ერთი-ორი საყვედური გაუბედა, მაგრამ ის, რაც ამ "საპროგრამო" სიტყვას ბოლოში მოაყოლა, არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ კოკა ისევ კოკაა და მეტი არაფერი.

კი ბატონო, შევამკოთ დაფნის გვირგვინით, მაგრამ დაეჯერება კი კაცს, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ერთთავად იტყუება, მომავალში კი ისევ პრეზიდენტის, იმ სახელმწიფოს სამსახურში აპირებს ყოფნას, რომელსაც ისევ და ისევ პრეზიდენტი განასახიერებს.

კი ბატონო, ვაჟკაცია კოკა, მაგრამ მაშინ რა სახელი უნდა ვუწოდოთ "რუსთავი 2"-ის გალეულ გოგოებს, ეს ბოლო წლები აღმა-დაღმა სირბილით, ვირგლა კაცებთან ხელჩართულ ჩხუბში რომ აგროვებდნენ სიმართლის ნამცეცებს. იყოს ვაჟკაცი, მაგრამ ზუსტად ამ დროს, საკმაოდ კომფორტულ გარემოში, თბილ და რბილ სავარძელში მოკალათებული, ეკრანიდან არ გვეუბნებოდა, ვიშ, რა კარგი პრეზიდენტი გვყავსო! და ახლაც ეფიცება ერთგულებას კაცს, – გვერდით დგომა ხომ სწორედ ამას ნიშნავს, – ვის ხუშტურებსაც ყოველ წამს შეიძლება უამრავი ხალხი ემსხვერპლოს.

იყოს გმირი და თუნდაც წამებული, მაგრამ მაგანაც ახლა ფრჩხილებქვეშ ნემსების შეყრასა და თავზე მარწუხების მოჭერას გაუძლო. წკიპურტიც არავის წამოურტყამს და, სხვათა შორის, არც უპირებენ. სამსახური? ეგეთებით მარტო მე ორი შრომის წიგნაკი მაქვს გავსებული. მაგარი გმირობაა, ღმერთმანი!

რა თქმა უნდა, წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი შურიძიების, წინააღმდეგი ვარ სამაგიეროს გადახდის. არც შურისმაძიებელი ვარ და არც სამაგიეროს მიმზღველი. ნამდვილად არა ვარ რობესპიერი, დემოკრატიასა და კაცთმოყვარეობას რომ ქადაგებდა და რევოლუციის სახელით 50 ათას თავს მოითხოვდა.

მაგრამ სასტიკი წინააღმდეგი ვარ ზნეობრიობის ნორმების დარღვევისა.

ინგა გრიგოლიას თურმე გუშინწინ გაუცრუვდა იმედები. საფიქრებელია, რომ ეს იმედები სწორედ პრეზიდენტთან იყო დაკავშირებული.

მორიდებით, მაგრამ მაინც უნდა ვუსაყვედურო სესილი გოგიბერიძეს. ქმრის გამო პოსტის დატოვებაში მოსარიდებელი და უხერხული არაფერია. სწორედაც რომ ამის გამო უნდა დაგეტოვებინა მინისტრობა. სწორედაც რომ ოჯახური სოლიდარობაა ყველაზე ნაღდი. სიკვდილამდე ერთად ჭირსა და ლხინში. კომუნისტებმა ეს სიტყვები ქარს გაატანეს, სანაცვლოდ კი დაამკვიდრეს ის, რაც ერთხელ მამაჩემმა მიამბო: კომკავშირში რომ მიღებდნენ, მკითხეს – კომკავშირმა რომ დავალებაზე გაგგზავნოს და ამ დროს შენი ძმის ქორწილი იყოს, სად წახვალო.

ჯერ არც ისე კარგად არის საქმე, რომ ეს ყველაფერი დავივიწყოთ და ყოველ მომდევნო კოკას გულგაშლილი შევხვდეთ. ჯერ კიდევ ცხვრებივით მიერეკებიან ადამიანებს მიტინგებზე.

მე ახლა სრულიად მარტივი რამ მინდა ვიკითხო: ორი თვის წინ პრეზიდენტის იდენტურ განცხადებაზე გაიმეორებდა თუ არა კოკა გუშინწინდელ საქციელს. როცა ამ შეკითხვას გავცემთ პასუხს, ნათელი გახდება ის, რისი თქმაც მინდა.

სანამ დაფნის გვირგვინებს დავკიდებთ, კოკაცა და ბევრი მისნაირიც ჯერ ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქედ უნდა იქცეს. ამდენი ხნის განმავლობაში ტყუილის მარცვლების თესვას ჯერ მონანიება სჭირდება, მერე სიკეთის თესვა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ასე თუ ისე ნორმალური ადგილის დაკავება საზოგადოებაში.

ჩვენ ქრისტიანები ვართ და ჩვენი ამ კულტურის მთავარი ნიშანი, მისი თუნდაც პროგრესულობის უტყუარი საბუთი ის არის, რომ ექსპერიმენტის, აქედან გამომდინარე კი, შეცდომებისა და მათი გამოსწორების, ცოდვებისა და მათი მონანიების საშუალებაც გვაქვს.

ცხოვრება რინგი არ არის, სადაც ერთი, თუნდაც ძლიერი და ზუსტი დარტყმა წყვეტს ყველაფერს. ზნეობის სასწორის ორთავ პინაზე ჩვენი ყველა ნამოქმედარი იდება – კარგიც და ცუდიც. სხვაგვარად დღევანდელი კოკასგან ხვალ ან პატარა გაპონი გამოდნება, ან კიდევ უფრო პატარა ყვარყვარე!

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
პროკრედიტ ბანკი იქირავებს ან შეისყიდის
ფართს
ახალი ფილიალისათვის ქალაქის ცენტრში
(300-400 კვადრატული მეტრი)
ტელეფონი: 20 22 22

# საგაფიცვო კომიტეტს სულ უფრო მეტი და მეტი სტუდენტი უერთდება

სტაბილიზაცია ფასეულობა არ არის, ფასეულობა თავისუფლება და ღირსებაა!

ნინო ცინცაძე
დალი კუპრავა

*დაუმორჩილებლობის კომიტეტის, გია ჭანტურიას ვერსიით, "არტ-კომიტეტის" წევრები - აჩიკო გულედანი, დავით გოგიბედაშვილი, გია ჭანტურია, ვახო ბაბუნაშვილი, ლაშა ბუღაძე, გოგა ხაინდრავა და სხვები ახალგაზრდებთან შეხვედრას გუშინაც აგრძელებდნენ. დილით ისინი ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შემდეგ კი ტექნიკურ უნივერსიტეტს ეწვივნენ. "სტაბილიზაცია ფასეულობა არ არის, ფასეულობა თავისუფლება და ღირსებაა!"- ასე მიმართავდა გუშინ აჩიკო გულედანი დარბაზში შეკრებილ სტუდენტებს.*



*ხელისუფლება საზოგადოების ჰაერგაუმტარ შეფუთვას ცდილობს.*

## "გვიჯიკეთ!"

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან განსხვავებით, ენისა და კულტურის უნივერსიტეტში შენობაში შეღწევის პრობლემა არ დამდგარა. პირიქით, ორივე კარი ფართოდ გააღეს. არც ლექტორებს ეტყობოდათ დაძაბულობა - ერთმანეთს ხალისით ელაპარაკებოდნენ და დარბაზში შესვლის არ ერიდებოდათ. ძალიან მალე სააქტო დარბაზი სტუდენტებითა და პედაგოგებით გადაიჭედა. დარბაზში რომ აღარ ეტეოდნენ, ბევრი სტუდენტი გამოსვლებს ღია კარიდან დერეფანში უსმენდა. შეკრებილებს ხელში შემდეგი შინაარსის პლაკატები ეჭირათ: **"ო, ღმერთო, ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღორსოს ჩვენ გაღვიძება"; "დავიცვათ ჩვენი ხმები"; "ჩვენ არ გვძინავს, ჩვენ ვიბრძვით საქართველოს თავისუფლებისათვის"**. ორატორები წინასწარ მომზადებული სიტყვებით არ გამოდიოდნენ, ამიტომ სცენასა და დარბაზს შორის ძალიან მალე ცოცხალი დიალოგი გაიმართა. თსუ-სგან განსხვავებით, დისკუსიაში პედაგოგებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

**გოგა ხაინდრავა, რეჟისორი**: საქართველოში ახალ ბიოლოგიურ პროცესთან გვაქვს საქმე – ქართველი პოლიტიკოსები სადაც სხდებიან, ფესვებსაც იქვე იდგამენ. დღეს განზე დგომა და ნეიტრალურ პოზიციაზე ყოფნა არ შეიძლება. ჩვენ არ მოვსულვართ, რათა მოგიწოდოთ, რომ არ ისწავლოთ. პირიქით, ჩვენი ხსნა განათლებული ახალგაზრდობაა. მაგრამ, თქვენი თანადგომა ძალიან გვჭირდება. სათავეში მოსვლას ის ხალხი ცდილობს, ვისთვისაც შინა პატიმრობის ინსტიტუტი უცხო არ არის. ეს ხალხი ჩვენ დამონებულ ძმებს პარლამენტის შენობისკენ ბრიგადებად მიერეკებოდა. როგორ შეიძლება, ჩვენი ხალხის წარმომადგენელი მსოფლიოს წინაშე ჯემალ გოგიტიძე იყოს!

**გია ჭანტურია, მსახიობი**: დღემდე მთავრობიდან მელაპარაკებოდნენ და მმართავდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ჩემზე ათჯერ ნაკლები განათლება ჰქონდათ. მე არ მინდა, ახლა მმართავდნენ ისინი, ვისაც ჩემზე ოცჯერ ნაკლები განათლება აქვს. როგორ შეიძლება ასლან აბაშიძეს აფხაზეთის დაბრუნება უნდოდეს, როდესაც მას შემდეგ გამდიდრდა, რაც აფხაზეთი დაიკარგა.

**ლაშა ბუღაძე, მწერალი:** ჩვენ ვეცადეთ, ხელისუფლება კანონიერი გზით შეგვეცვალა. სამი საათი ვიდექით რიგში, ჩვენი არჩევანი რომ დაგვეფიქსირებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხმა რეგრესისათვის მიგვიცია. ჩვენ მიტინგზე რომელიმე პარტიის გვერდით არ ვდგავართ. უბრალოდ, ამჟამად ეს პარტიები მორალურად და ემოციურად ჩვენ სულისკვეთებას ადეკვატურად გამოხატავენ. ზოგიერთ სტუდენტს აღიზიანებს "კმარასთან" ასოცირება. ასეთი სნობიზმი მეც მჭირდა. მაგრამ, მოდი, ვაღიაროთ - მათი საქმიანობა ჩვენთვის საამაყოა.

**გიგი თევზაძე, სოციოლოგი:** ჩვენ მოგიწოდებთ მხოლოდ ერთი რამისკენ - იდგეთ იქ, სადაც თქვენი სინდისი გიკარნახებთ. პოლიტიკაში ჩარევა არ ნიშნავს პარტიის წევრობას. პოლიტიკაში ჩარევა ნიშნავს, რომ თქვენ თავად გინდათ გადაწყვიტოთ თქვენი მომავალი.

**აჩიკო გულედანი, ჯგუფი "მწვანე ოთახი":** 16-17 წლის ასაკში ქუჩაში იმიტომ არ გავდიოდით, რომ რომელიმე პარტიული ლიდერი მოგვწონდა, ან ვინმე ჩვენი ბიძაშვილი იყო. ჩვენ კომუნისტები არ მოგვწონდა!

**მაია სახოკია, აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი:** მოვიშოროთ ნიჰილიზმი, თუ სერბმა ხალხმა შეძლო დიქტატორისგან გათავისუფლება, ჩვენ რა, ნაკლები ვართ?

**ვახო ბაბუნაშვილი, ჯგუფი "SOFT EJECT":** ჩვენი ერთობა უნდა იყოს მესიჯი მომავალი ხელისუფლებისათვის. მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ჩვენი მსახურები არიან.

**ლალი გვასალია, პედაგოგი:** მე არ მინდა, რომ სტუდენტებმა ამ ყველაფერს ინდიფერენტულად უყურონ. მე არ მიყვარს მორჩილი სტუდენტი! თუ ჩვენ დავუშვით, რომ ეს პარლამენტი შედგეს, მაშინ ადამიანები არ ვყოფილვართ!

**სოზარ სუბელიანი, ჟურნალისტი:** თუ ჩვენ დღეს გავჩუმდებით, მაშინ 2005 წელს იმ პრეზიდენტს დაგვინიშნავენ, რომელიც მათ უნდათ და ჩვენს ქვეყანას მომავალი აღარ ექნება!

მალე სცენაზე სტუდენტებიც ავიდნენ და განაცხადეს, რომ ორი დღის წინ ფილოსოფიისა და სოციოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაწყებულ გაფიცვას სტუდენტები მთლიანად უერთდებიან. ბოლოს სიტყვა ინგლისური ენის **პედაგოგმა თამარ მესხმა** მოითხოვა და სტუმრებს მიმართა: "ჩვენ მძინარე ერი ვართ. ამ წლების განმავლობაში სულ გვეძინა. არ ეძინა მხოლოდ მთავრობას და თავის შავ-ბნელ საქმეებს აკეთებდა. ამიტომ გთხოვთ, არ დაგვაძინოთ, ხანდახან *"გვიჯიკეთ!"*

## წადი! გადადგება!

ტექნიკურ უნივერსიტეტში "არტ-კომიტეტს" დათო მაღრაძე, კახა ლომაია და ნიკა რურუა დაემატნენ. ადმინისტრაციული კორპუსის წინ სტუდენტები თავისსავე მეგობრებს სააქტო დარბაზში შესასვლელად ეპატიჟებოდნენ. სტუდენტი გოგონები ერთმანეთს მობილურით ურეკავდნენ, - ჩქარა მოდით, აჩი გულედანი, დათო გოგიბედაშვილი და "სასტავია" მოსულიო. ლაშა ბუღაძეც გოგონების ჯგუფს ჰყავდა დატყვევებული და ავტოგრაფებს სთხოვდნენ.

სტუმრებსა და სტუდენტებს სააქტო დარბაზი სტუდ-კავშირის თავმჯდომარემ ლევან ჯაფარიძემ გაუღო და თქვა, რომ სხვა უმაღლესებისაგან განსხვავებით, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდ-კავშირი ხალხთან ერთად დადგება. ლაშა ბუღაძემ სტუდენტებს უთხრა: "აქ ცივა და თავს დიდხანს არ შეგაწყენთ, ჩვენ ახლა ჯანმრთელობა გვჭირდება, მალე ყველა ერთად უნდა დავდგეთ გარეთ". სოზარ სუბელიანი სტუდენტებს უყვებოდა, რომ მის სოფელში, ჭუბერში ექვსასი მაცხოვრებლიდან სახელისუფლებო ბლოკს ხმა მხოლოდ ოთხმა ადამიანმა მისცა. ოფიციალური შედეგებით კი პირველ ადგილზე სახელისუფლებო ბლოკი გავიდა.

**"მე შემიძლია ახლა წავიდე ჩემს სტუდიაში და ჩემი საყვარელი საქმე გავაკეთო, მაგრამ გული ვერ გამიძლებს. თქვენც არ უნდა გაგიძლოთ გულმა, უნდა გამოხვიდეთ გარეთ და იყვიროთ წადი! და წავლენ!"** – ასე მიმართავდა აჩიკო გულედანი აუდიტორიას. შეხვედრა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა დაასრულა: **"დაინგრა მითი, რომ შევარდნაძე მოუშორებელი ურჩხულია. ხელისუფლებამ გუშინ თავისი სახე ბოლომდე გამოაჩინა".**

## გაბრაზებულები და შეფუთულები

თავისუფლების მოედანზე სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა მოწყვლადი ურჩხულის საწინააღმდეგო აქცია ჩაატარეს – ცელოფანებში გახვეულები და "დასკოტჩილები" აუზს გარს შემოერტყნენ. "ეს არ არის პროტესტის ორიგინალური ფორმა - რუსეთსა და საფრანგეთში ანალოგიური ჩატარებულა, მაგრამ შემოქმედებითია და, ამდენად, ჩვენთვის მისაღები – ხელისუფლება, სწორედ ამგვარად, საზოგადოების ჰაერგაუმტარ ცელოფანში შეფუთვას ცდილობს," - ამბობდნენ სტუდენტები.

"აღორძინების" მართვის სტილისაგან განსხვავებით, აქციის მონაწილეებისთვის სასმენი, სასუნთქი და საინფორმაციო ღრუები არ დაუხშვიათ და აღორძინებულ მიტინგზე ცოტნე ბაკურიას პარანოიდული განცხადება, რომ სააკაშვილმა ახალგაზრდებს თავდადების დამტკიცება ცელოფანში თვითმკვლელობით მოსთხოვა, სიმართლეს არ შეესაბამება. სტუდენტებს აუზში გადაშვებაც კი არ მოსვლიათ აზრად.

ამაზეა ნათქვამი: ასლანს რაც ელანდებოდა, ცოტნეს ესიზმრებოდაო.

# პრეზიდენტის არც ფიცის გწამს და არც ბოლო გვაკვირვებს

*მისგან ვერც ესკულაპე გამოვიდა და ვერც შარლ დე გოლი: არავითარ შემთხვევაში არ დაუჯეროთ პრეზიდენტ შევარდნაძის ფიცს და გადაჯვარედინებულ შუა და საჩვენებელ თითებზე დახედეთ - "ნიჩურიტი". საქართველოს ექიმებმა საზოგადოებას შეახსენეს, რომ თავის მრავალჭირგამოვლილ ცხოვრებაში მას საქვეყნოდ დადებული არც ერთი ფიცი არ შეუსრულებია: ერთი პროფესიული - ჰიპოკრატესი და მეორეც – პრეზიდენტისა - ღვთისა და ერის წინაშე.*

დალი კუპრავა



*ექიმები პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ.*

გუშინ მწერლების, ხელოვნების წარმომადგენლებისა და მასწავლებლების შემდეგ კინოს სახლის სადემონსტრაციო დარბაზი ექიმებს მასპინძლობდა. მათ აქტიურად გამოხატეს დღევანდელ სიტუაციაში თავიანთი სამოქალაქო და პროფესიული პოზიცია: აცხადებენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას მხოლოდ იმ ფორმებით, რაც მათი პროფესიონალიზმის ფორმატში მოთავსდება, ანუ ავადმყოფებს არ მიატოვებენ. ფერშალი პრეზიდენტისა და ექიმი სახელმწიფო მინისტრისაგან განსხვავებით, შეკრებილები ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულები არიან.

"საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მისი მთავრობა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე დემოკრატიული პრინციპების იგნორირებით მართავს საქართველოს. კორუფციაში ჩართულია პრეზიდენტი შევარდნაძე და მისი ხელისუფლება. არ სრულდება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები საქართველოს მოსახლეობის მიმართ. არ მუშაობს არც ერთი სამედიცინო პროგრამა, არ რიგდება პენსიები და ხელფასები. ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი ნება და არჩევნებში ხმა არ მისცა კორუმპირებულ პრეზიდენტს და მის ბლოკს, მაგრამ საქართველოში კვლავ გაყალბდა არჩევნები. შედეგად მივიღეთ შევარდნაძის და აბაშიძის პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა, რაც ნიშნავს საქართველოში რუსული პოლიტიკის და რუსული იმპერიული გავლენის დამკვიდრებას," - ნათქვამია ექიმთა თავისუფალი პროფკავშირის "სოლიდარობის" მიმართვაში.

თბილისის საავადმყოფოების წარმომადგენელმა ექიმებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოაცხადონ და შეადგინეს მიმართვა პრეზიდენტისადმი, რომელშიც ისინი, შექმნილი ვითარების გამო, პრეზიდენტს აკისრებენ პასუხისმგებლობას და მის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვენ.

დღეს მიმართვა დაურიგდებათ საავადმყოფოებში და ხელმოწერებით გაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს; თუკი, რა თქმა უნდა, ამასობაში ექიმების თხოვნის გარეშეც არ გადადგა.

# ჩვენი ოცნების ბავშვობა

*ბავშვთა ძალადობა მსოფლიოში არსებულ ყველა პრობლემას შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საყურადღებოა. ეს პრობლემა ოჯახის, ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე უნდა წყდებოდეს. პრესაში და, საერთოდ, საზოგადოებაში ძალიან ხშირად ჩნდება შემაშფოთებელი ინფორმაცია ბავშვთა უფლებების დარღვევების შესახებ. ძალზე მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა აქტიური როლი ითამაშონ ამ პრობლემის დაძლევაში. პატარებს უნდა მივცეთ განათლება მათი უფლებების შესახებ, რათა შეძლონ ყოველდღიურ ცხოვრებაში წინ აღუდგნენ ძალადობას.*

ნათია ნინიძე

19 ნოემბერი 2000 წლიდან მსოფლიოს 150 ქვეყანაში აღინიშნება, როგორც ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის მსოფლიო დღე. ამ დღის მიზანია, კიდევ ერთხელ შეახსენოს საზოგადოებას, რომ ბავშვები უნდა იყონ დაცულნი და ის ორგანიზაციები, რომლებიც ებრძვიან ბავშვთა უფლებების დარღვევას, ხალხის მხარდაჭერას საჭიროებენ. ეს თარიღი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდ აღინიშნება: იმართება გამოფენები, კონცერტები, თეატრალური სანახაობები და სხვა კულტურული ღონისძიებები. ამ მეტად ჰუმანურ და მნიშვნელოვან დღეს უკვე საქართველოშიც ხვდებიან. ოთხშაბათს გალერეა "შარდენში" გაიხსნა ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა. ღონისძიების ორგანიზატორები არიან არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები: "ახალგაზრდული ქრისტიანული ასოციაცია" (YMCA) და "ახალი თაობა საქართველოსათვის". მათ მხარდაჭერა გაუწია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტურმა კავშირმა. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ბანგლადეშის, მაკედონიის, სომალის, სომხეთისა და აზერბაიჯანის პატარა მხატვრებმა. ყველა ნამუშევარს აერთიანებდა ერთი თემა - "ჩემი ოცნების ბავშვობა". უამრავი ფერადი ბუშტი, სადღესასწაულო ქუდები, ბედნიერი სახეები და ბავშვების ჟრიამული არაჩვეულებრივ ატმოსფეროს ქმნიდა დარბაზში. ნახატებზე გამოსახული მზე, ყვავილები, კეთილი ადამიანები, საყვარელი ცხოველები თუ სხვა პერსონაჟები საოცრად ნათელ და ხალისიან ფერებში იყო შესრულებული. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გამოფენის ყველაზე პატარა მონაწილის ორი წლის ლუკას "ავტოპორტრეტმა". გამოფენით კმაყოფილები დარჩნენ მონაწილეებიცა და მნახველებიც. ორგანიზატორები კი დაგვპირდნენ, რომ მსგავსი ზეიმები ყოველწლიურად გაიმართება.

***სტატიისათვის ინფორმაცია მოიპოვა და დაამუშავა "სამოქალაქო ინტერესთა დაცვის პროგრამის" პრეს-ჯგუფმა pg@csrdg.ge.***

## ორი სიტყვით

**გორი.** საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, ბოლო დღეებში შიდა ქართლში გამართულ აქციებს დღეს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც უნდა შეერთებოდნენ, თუმცა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ შენობის ყველა კარი დაკეტა და იმ სტუდენტებს, რომლებიც მშვიდობიანი საპროტესტო აქციის გამართვას აპირებდნენ, გარეთ გასვლის საშუალება არ მისცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც ნარკოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გელა ლეჟავამ განაცხადა, მიუხედავად პრეზიდენტის ბრძანებულებისა, ხაშხაშის თესლის დისტრიბუცია გრძელდება.

მისი განმარტებით, საკონდიტრო ნაწარმში გამოსაყენებელი ხაშხაშის თესლი ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმის ალკალოიდს შეიცავს, რის გამოც, ის ძალზე პოპულარულია მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდობაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თეთრიწყაროს რაიონის სოფლებს, რომლებიც ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტის გასწვრივ მდებარეობენ, სოფლის მეურნეობის განვითარებაში ბიომეურნეობათა ასოციაცია „ელკანა" ეხმარება.

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივი ინვესტიციების პროგრამით, რომელსაც ბაქო-ჯეიჰანის პროექტის პარტნიორები აფინანსებენ, ამ რაიონის სოფელ ხაიშის ფერმერებს დაურიგდათ 1.5 ტონა ხორბლის ელიტური ჯიშის თესლი, რომელიც 5 ჰექტარზე დაითესა, ხოლო გაისად შემოდგომაზე მიღებული მოსავალი ისევ თესლის სახით კომლებს შორის გადანაწილდება და დაითესება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოს სათათბიროს არჩევნებში, რომელიც 7 დეკემბრისთვის არის დანიშნული, მონაწილეობის მიღებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებიც აპირებენ.

თვითაღიარებული "რესპუბლიკის" დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოევის მითითებით, აღნიშნული მოქალაქეების სიების დაზუსტება ცხინვალის შესაბამისმა სტრუქტურებმა უკვე დაიწყეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ესპანეთში წელს, 20 ნოემბრისთვის აღრიცხული გრიპის შემთხვევათა რიცხვი უკვე 20-ჯერ აღემატება შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ესპანეთის ჯანდაცვის მინისტრის შეფასებით, ქვეყანაში გრიპის ეპიდემია დაიწყო, ავადობის მაჩვენებელი დღეისთვის ყოველ 100 ათას მოსახლეზე 189 ადამიანია, მაშინ როცა ეპიდემიური ზღვარის მაჩვენებელია 100 ათას ადამიანზე 100 ავადმყოფი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები გუშინდელ მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენილ შრომის კანონის პროექტს აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ კანონის ამ სახით მიღება ეწინააღმდეგება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა კონვენციას, რომლებსაც საქართველო შეუერთდა.

დღეს საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარემ ირაკლი ტუღუშმა სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა ამ საკითხს და განაცხადა, რომ გუშინ მთავრობის სხდომაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის მიერ წარდგენილი შრომის ახალი კოდექსის პროექტი იცავს მხოლოდ მეწარმეთა ინტერესებს და ხელ-ფეხს უხსნის მეწარმეს გამოიყენოს ადამიანი, როგორც შრომითი რესურსი.

ირაკლი ტუღუში საპროტესტო აქციების გამართვას აპირებს, რათა არ მიიღონ გუშინ მთავრობის სხდომაზე წარდგენილი შრომის კოდექსი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოპოზიციის მოწოდებას დაუმორჩილებლობის შესახებ ერთ-ერთი პირველები თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები გამოეხმაურნენ, რომლებმაც დაუმორჩილებლობა უნივერსიტეტის კიბეებზე ჯდომით გამოხატეს. თუმცა, გუშინდელი დღიდან სტუდენტებმა პროტესტის სხვა ფორმას მიმართეს.

უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსის წინ დაიდგა სპეციალური სტენდები, რომლებზეც ნებისმიერ მსურველს შეეძლება დაწეროს ის, რასაც საქართველოს პრეზიდენტზე ფიქრობს - დადებითი იქნება ეს, თუ - უარყოფითი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (ფაო) საქართველოში ახალ პროგრამას იწყებს. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ცნობით, ეს პროგრამა საქართველოში სანერგე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობისთვის არის გამიზნული. ფაო-ს დახმარებით შეირჩევა სამი რაიონი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, სადაც თხილისა და კაკლის სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობები მოეწყობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დამპროექტებლებმა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ცენტრების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მზადება დაიწყეს. როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი ხეჩინაშვილმა განაცხადა, სავარაუდოდ, გაზაფხულისთვის ამ ცენტრების შენობების განახლება დაიწყება. ამასთან, თბილისის პარალელურად, ტუბერკულოზის სამკურნალო დაწესებულებები ქუთაისში, გურჯაანში და აბასთუმანში განახლდება, რის შემდეგაც ქუთაისში - 40, გურჯაანში - 30, რუსთავში – 30, აბასთუმანში კი 100 დამატებითი საწოლის დადგმა გახდება შესაძლებელი. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ საქართველოში აღირიცხა 17 დანაშაული, გახსნილია — 14. ჯანმრთელობის დაზიანების სამი და ხულიგნობის ორივე შემთხვევა გახსნილია; ყაჩაღობის სამი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ქურდობის ოთხი შემთხვევიდან — სამი; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით დაფიქსირდა ხუთი შემთხვევა; დაკავებულია სამი ძებნილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ერთი დანაშაული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები მუშაობას გაძლიერებულ რეჟიმში აგრძელებენ. საპატიმრო ადგილების დაცვის გაძლიერების მიზნით, დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ სპეციალური ბრძანებულება გამოსცა. დეპარტამენტის პრესსამსახურის ცნობით, ბრძანების გაცემა ქვეყანაში გართულებული კრიმინოგენული და პოლიტიკური ვითარებით არის განპირობებული.

(არ არის გამორიცხული, გარკვეულმა დესტრუქციულმა ძალებმა პროვოკაციული მიზნებით მოახდინონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებზე შეიარაღებული თავდასხმა," - აღნიშნულია ბრძანების ტექსტში. როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობა მიზნად ისახავს სწორედ აღნიშნული ქმედებების თავიდან აცილებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს გენერალური ინსპექციის მოკვლევის წინასწარი შედეგებით, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე ხელისუფლებისა და "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" მხარდამჭერთა საპროტესტო აქციაზე თბილისის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლების - ვალერი დარჩიაშვილისა და ავთანდილ ბეშიძის მხრიდან გადაცდომა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არ იკვეთება.

შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის დავით ჯინჯოლავას ცნობით, ორივე მათგანი იმ დღეს არ მუშაობდა. ისინი აქციაზე ნათესავის სანახავად მივიდნენ, ხოლო მოგვიანებით მიტინგზე ნათესავთან ერთად არაფხიზელ მდგომარეობაში დაბრუნდნენ და აქციის სხვა მონაწილეებთან შელაპარაკება მოუვიდათ, რის შემდეგაც ისინი დააკავეს.

მათ სამსახურებრივ გადაცდომას წარმოადგენს ის, რომ არასამუშაო საათებში ტაბელურ იარაღს ატარებდნენ. დარჩიაშვილი და ბეშიძე ხელწერილით გაუშვეს და მომხდართან დაკავშირებით ახსნა-განმარტებაც ჩამოართვეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც ოთხშაბათს, იაღლუჯას სამხედრო პოლიგონზე ჩატარებული სამხედრო წვრთნებისას თვალის არეში დამწვრობა მიიღო, უბედური შემთხვევის გამო დაზარალდა. ასეთი დასკვნა გამოიტანა სამხედრო პროკურატურამ ინციდენტის შესწავლის შემდეგ.

ქვემო ქართლის რეგიონის სამხედრო პროკურორის მამუკა ცაავას განცხადებით, კაპრალი ზურაბ ძიმისტარაშვილი კაპრალმა ირაკლი თვაურმა შემთხვევით დაჭრა, ამ ფაქტს აშშ-ს ამერიკელი ინსტრუქტორებიც შეესწრნენ, რომლებიც ქვედანაყოფს ამზადებენ. ჯარისკაცი სამხედრო ჰოსპიტალში იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო კვირაში, იაღლუჯას პოლიგონზე, სამხედრო მოსამსახურის დაჭრის ორი შემთხვევა მოხდა. კაპრალ ზურაბ ძიმისტარაშვილის დაჭრის გარდა, რამდენიმე დღის წინ "კომანდოსის" ბატალიონის სამხედრო მოსამსახურე სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრეს. ისინი პოლიგონზე ობიექტის დაცვის მიზნით იმყოფებიან. სამხედრო პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც იარაღი გამოიყენა, დღემდე ძებნაშია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის საბჭოში დღეს პროკურორების საკვალიფიკაციო ტესტირებაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება დასრულდა. ტესტირებს გავლის სურვილი 1500-ზე მეტმა იურისტმა გამოთქვა. პროკურორთა ტესტირება 6 დეკემბერს დაიწყება და მასში მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო რამდენიმე ეტაპად ჩატარდება. ტესტი ას კითხვას მოიცავს. 75 სწორი პასუხი დადებით ქულად ჩაითვლება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული რამდენიმე პირი თავს დაესხა ფოთის საბაჟო დეპარტამენტში განთავსებულ საქართველოს კონტროლის პალატის რევიზორთა სამუშაო ოთახს და პალატის დოკუმენტაცია გაანადგურა. უცნობმა პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს შენობის დარაჯს და მხოლოდ ის დოკუმენტაცია გაანადგურეს, სადაც ფოთის საბაჟოში მიმდინარე შემოწმებისას აღმოჩენილი სერიოზული დარღვევები იყო ასახული. "საქართველოს კონტროლის პალატა გმობს ძალადობას და მიმართავს სამართალდამცველ ორგანოებს, რათა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დროულად განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება," - განაცხადეს კონტროლის პალატაში. **ინტერ-პრესი**

# ბადრი ბიწაძემ თანამდებობა პოლიტიკური ზეწოლის გამო დატოვა

თამარ კაციტაძე

**"პოლიტიკური ზეწოლისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან პირდაპირი შანტაჟის პირობებში შეუძლებლად მიმაჩნია, შევასრულო ჩემი სამსახურებრივი მოვალეობა, რის გამოც, გთხოვთ, გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან".** – აღნიშნულია ბადრი ბიწაძის განცხადებაში, რომლითაც მან გენერალურ პროკურორს მიმართა.

**"ბოლო დროს დაუშვებელი მასშტაბები მიიღო აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლამ სასამართლო ხელისუფლებაზე და მის ერთ ნაწილზე - გენერალურ პროკურატურაზე, რომელიც სრულიად დეპოლიტიზირებული ინსტიტუტი უნდა იყოს. გენერალურ პროკურატურაში ბევრი პატიოსანი პროფესიონალი მუშაობს, რომელთა სურვილი და რწმენა კანონის განუხრელი დაცვაა, მათი მუშაობის ბლოკირება არ უნდა ხდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა აწყობს დღეს მთავრობას – რომელ კანონდარღვევაზეა მიზანშეწონილი თვალის დახუჭვა და რომელი საქმეა გამოსაძიებელი,"** – წერს ბადრი ბიწაძე ქვეყნის პირველ სამართალდამცველს, რომელიც, ფაქტობრივად, დაეთანხმა პირველ მოადგილეს და განცხადება გადადგომის შესახებ დაუკმაყოფილა.

ბადრი ბიწაძის გადადგომა საზოგადოებაში, ძირითადად, ოპოზიციის მხრიდან დაწყებულ იმ პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება, რომელიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს და რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორიც მისი მეუღლე ნინო ბურჯანაძეა. თუმცა, ამ მოსაზრებას თავად ბიწაძე უარყოფს და გადადგმულ ნაბიჯს მხოლოდ პროფესიული ინტერესებით ხსნის.

**"ჩემი ოჯახის წევრების საჯარო პოლიტიკური პოზიციის მიუხედავად, მე არ ვარჩევდი, რომელ კანონდარღვევაზე მომეხდინა რეაგირება და რომელზე გავჩუმებულიყავი. ჩემი მხრიდან პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით კანონდარღვევათა გარჩევა პროკურატურის მუშაობაში არასოდეს მომხდარა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რომელიც პირდაპირ მითითებას იძლევა ოპოზიციის ლიდერთა და წევრთა წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ დევნაზე",** – ნათქვამია ბიწაძის განცხადებაში.



ვინ ახდენდა ზეწოლას პროკურატურაზე, ჯერჯერობით, უცნობია.

ვინ ახდენს ზეწოლას პროკურატურაზე, ანუ ვინ არის სისხლის სამართლის დამნაშავე და ვისი მიზეზით გადადგა ქვეყნის მეორე პროკურორი, ჯერჯერობით, უცნობია. კონკრეტული პიროვნებების დასახელებისგან ბადრი ბიწაძემ ჟურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზეც თავი შეიკავა.

**"ხელისუფლებას კორუფციასთან ბრძოლა არ უნდა. მთავრობა შეკვეთას იძლევა, კორუმპირებულები აღმოვაჩინოთ მხოლოდ ოპოზიციის რიგებში და არამც და არამც ხელისუფლებაში. ამისათვის კონტროლის პალატა პროკურატურაში მიზანმიმართულად აგზავნის მასალებს და კონკრეტული პირების პასუხისმგებლობას მოითხოვს, მაგრამ ეს იმდენად თითიდან გამოწოვილი მასალებია, რომ მასზე, ელემენტარულად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც არ შეიძლება. პოლიტიკური დაკვეთის გამო კი, მე უკანონობაზე ხელს არ მოვაწერდი. სწორედ ამის გამო მივდივარ თანამდებობიდან"**, – განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრისას გენერალური პროკურორის უკვე ყოფილმა პირველმა მოადგილემ.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პირველი პროკურორი ამ ეტაპზე თავს იკავებს იმ პიროვნებების დასახელებისგან, რომლებიც პროკურატურაზე ზეწოლას და შანტაჟს ახდენდნენ, განცხადებაში მან აშკარად მიუთითა დანაშაულზე. კანონმდებლობით ზეწოლაც და შანტაჟიც სისხლის სამართლის დანაშაულია და იგი რეაგირებას საჭიროებს. რა პოზიციას დაიკავებს ამ შემთხვევაში ნუგზარ გაბრიჩიძე, რომლის გენპროკურორად დანიშვნა სწორედ ბადრი ბიწაძის და ნინო ბურჯანაძის სახელს უკავშირდება? გააგრძელებს იგი პოლიტიკური შეკვეთების შესრულებას და თავად გახდება დანაშაულის მონაწილე, თუ იზრუნებს საკუთარი და პროკურატურის ღირსების დაცვაზე?

**- ბატონო ბადრი, დღეს თქვენ ოფიციალურად აღიარებთ, რომ პროკურატურა პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებელი ორგანოა. აქამდე რატომ დუმდით?**

- ჩემი მუშაობის პერიოდში არც ერთი პოლიტიკური შეკვეთა არ შემისრულებია. ასეთი დაკვეთები რომ არ შემისრულებია და არც შევასრულებ, იმიტომაც გადავდექი. ამ თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან ჩემი მიზანი იყო, მიმეღწია იმისთვის, რომ პროკურატურა პოლიტიკურად დამოუკიდებელი ორგანო გამხდარიყო. რეფორმა, პირველ რიგში, სწორედ ამ კუთხით უნდა ჩატარდეს, მაგრამ ასეთ პირობებში რამის მიღწევაზე საუბარიც ზედმეტია. გენერალურ პროკურატურაში ბევრი პატიოსანი პროფესიონალი მუშაობს, რომელთა სურვილი კანონის დაცვით მუშაობაა. მათი ბლოკირება არ უნდა ხდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა აწყობს მთავრობას. ჩემი გადადგომა სტიმულს მისცემს გენპროკურატურის თანამშრომლებს იმოქმედონ არა პოლიტიკური ზეწოლის, არამედ საკუთარი სინდისით და კანონის მოთხოვნით.

**- თქვენ დღევანდელი პროკურატურის ერთ-ერთ "ღერძად" მოიაზრებოდით. თქვენი გადადგომა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ გენპროკურორის სავარძელიც შეირყა. მით უმეტეს, რომ ამ თანამდებობის მსურველი ძალიან ბევრია?**

- რატომ უნდა შეირყეს? წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია.

**- მართალია, თქვენ არ ასახელებთ კონკრეტულ პიროვნებებს, ვინც ზეწოლას ახდენენ პროკურატურაზე, მაგრამ აქცენტი გააკეთეთ კონტროლის პალატაზე. არადა, საზოგადოებაში საუბრობენ, რომ გაგენპროკურორობა სწორედ სულხან მოლაშვილს სურს.**

- ვერ გეტყვით, შეიძლება უნდოდეს კიდეც.

**- თქვენი თქმით, ოპოზიციის წინააღმდეგ მთავრობის დავალებითაა აღძრული უამრავი სისხლის სამართლის საქმე. რას იტყვით როგორც იურისტი, რა ბედი ელის ამ საქმეებს და ოპოზიციას?**

- სისხლის სამართლის საქმის აღძვრით ქვეყანას ვერაფერს უშველიან. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილებები და ყველაფერი პილიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

# ბადრი პატარკაციშვილი ავადმყოფობის გამო ვერ დაიკითხა

ინგა ალავიძე

*უზენაესი სასამართლოს მიერ მოწმედ გამოძახებული ბადრი პატარკაციშვილი სასამართლო პროცესზე არ მივიდა. თუმცა, მან სასამართლო კოლეგიას გაუგზავნა წერილი, რომელსაც, ფაქტობრივად, ჩვენების ფორმა ჰქონდა და ექიმის დასკვნა, რომელმაც მისი სასამართლოზე გამოუცხადებლობა გაამართლა. სასამართლოზე გამოქვეყნებული სამედიცინო ცნობის მიხედვით, ბადრი პატარკაციშვილს გულის სტენოკარდიული შეტევის გამო ორკვირიანი წოლითი რეჟიმი აქვს დანიშნული და ამ პერიოდში იგი გადაადგილებას ვერ შეძლებს.*



ბადრი პატარკაციშვილმა მაისურაძესთან ყოველგვარი კავშირი უარყო.

ბადრი პატარკაციშვილი ბიზნესმენ ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებასთან დაკავშირებით უნდა დაკითხულიყო. მისი დაკითხვის შუამდგომლობა პროკურორმა მას შემდეგ დასვა, რაც დაზარალებულმა ჯონი გიგანმა სასამართლო პროცესზე გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება ფაქტობრივად შეცვალა და განაცხადა, რომ მისი ავტომანქანის აფეთქება, სავარაუდოდ, პატარკაციშვილის შეკვეთილი იყო და მომხდარი საფეხბურთო კლუბ "დინამოს" გამო მათ შორის წარმოქმნილ დაპირისპირებას დაუკავშირა. იგივე ვარაუდი გამოთქვა ჯონი გიგანის მეუღლემაც.

ბადრი პატარკაციშვილის ჩვენებაში, რომელიც მან წერილის სახით გაუგზავნა სასამართლოს, ნათქვამია, რომ იგი არ იცნობს არც ალექსანდრე მაისურაძეს, არც ჯონი გიგანს და მათთან არასდროს არანაირი შეხება არ ჰქონია. თუმცა, ბადრი პატარკაციშვილის წერილობითი განცხადებით, მისი დაცვის სამსახურის თანამშრომლებისგან მისთვის ცნობილი გახდა, რომ მაისურაძე მისი კომპანიის დაცვის სამსახურში ექსპერტად მუშაობდა.

რას შეეხება ჯონი გიგანის ბრალდებას "დინამოს" შესყიდვის თაობაზე, ბადრი პატარკაციშვილი აცხადებს, რომ "დინამო" სახელმწიფოსაგან შეიძინა და არა სხვა რომელიმე კომპანიისგან, მით უფრო - შპს "ბერმუხასგან", რომლის არსებობის შესახებაც საერთოდ არაფერი იცის.

პროკურორმა, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილის დაკითხვა მოითხოვა, მიღებული წერილობითი ახსნა-განმარტება ჩვენებად მიიჩნია და პატარკაციშვილის სასამართლოში მისვლის თაობაზე მის მიერ დაყენებული შუამდგომლობა დღის წესრიგიდან მოხსნა. პროკურორს დაეთანხმა და მოწმის წერილობითი მიმართვა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა დაზარალებული ბიზნესმენის ადვოკატმაც.

ალექსანდრე მაისურაძის საქმესთან დაკავშირებით მოწმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებების გამოქვეყნების პროცესი გუშინ ბადრი პატარკაციშვილის წერილის გამოქვეყნებით დასრულდა. სასამართლო პროცესი 24 ნოემბერს განახლდება. მხარეების კამათის მოსმენის შემდეგ სასამართლო კოლეგია უშიშროების ყოფილ პოლკოვნიკს ალექსანდრე მაისურაძეს ვერდიქტს გამოუტანს.

# დაკავებულებს უკანონო იარაღი აღმოაჩნდათ

ირინა ხუბაშვილი

გუშინ, დილით, დაახლოებით ათ საათზე, ქუთაისელმა სამართალდამცველებმა სამი შეიარაღებული პირი დააკავეს. პოლიციის ცნობით, ძმები სულაბერიძეები და მათთან ერთად მყოფი გენადი გოგლიჩიძე არაერთ ყაჩაღობაში არიან ეჭვმიტანილნი.

ქუთაისის პოლიციის უფროსის თემურ ნოზაძის თქმით, **"შეიარაღებული პირები პოლიციელებს შემთხვევით ჩაუვარდნენ ხელში. პოლიციელებმა საეჭვო ავტომანქანა შენიშნეს და მისი გაჩერება სცადეს. მანქანაში მსხდომმა ახალგაზრდებმა კი წინააღმდეგობა გაუწიეს - ცეცხლი გაუხსნეს და გაქცევა დააპირეს, თუმცა სამართალდამცავებმა მათი აყვანა მაინც შეძლეს".**

პოლიციის მონაცემების თანახმად, დაკავებულები არ იძებნებოდნენ, თუმცა რამდენიმე ყაჩაღობაში მაინც არიან ეჭვმიტანილნი. ეს ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერა მათი მხრიდან სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევამ. თუმცა, ამ ეჭვების დადასტურება-გაბათილება, ცხადია, გამოძიების საქმეა. აღსანიშნავია ისიც, რომ დაკავებულ სამეულს ყაჩაღობაში ბრალი რომც არ მიუძღოდეთ, მათ მაინც საკმაოდ მძიმე მუხლებით წარედგინებათ ბრალი. კერძოდ, მათ მანქანაში პოლიციამ "მაკაროვის" სისტემის ორი პისტოლეტი აღმოაჩინა. ყოველივე ეს კი სრულ საფუძველს იძლევა საიმისოდ, რომ გოგლიჩიძესა და სულაბერიძეებს იარაღის უკანონო ტარებისა და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევისათვის მოუწიოთ პასუხისგება. ჯერჯერობით კი, ისინი ქუთაისის პოლიციის განყოფილებაში არიან გადაყვანილნი.

# აფხაზები ბუთბას დასაჭერად ვერ იმეტებენ

გუშინ ჭუბურხინჯის ოთხმხრივი ტრადიციული შეხვედრა ჩვეულებრივზე მალე დასრულდა. დაგროვილი პრობლემების განხილვას მხარეებმა, სულ რაღაც, 20 წუთი მოანდომეს და დაიშალნენ.

**"გასული კვირა, ისევე როგორც წინა ორი კვირა, შეიძლება შეფასდეს როგორც სტაბილური, რადგან ამ პერიოდში გალის რაიონში განსაკუთრებული კრიმინალური შემთხვევები არ მომხდარა"**, - ასე ხსნის ქართული მხარის წარმომადგენელი, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილე მებრძოლი ჭკადუა ოთხმხრივი შეხვედრის რამდენიმე წუთში დასრულების ფაქტს. თუმცა, ამ არასრულ ნახევარ საათში ქართულმა მხარემ აფხაზებისთვის რამდენიმე ძველი დანაპირების შეხსენება მაინც მოასწრო.

საუბარია უგზო-უკვლოდ დაკარგული ორი ადამიანის ბედზე. ხარძიანი და ლეფსაია დაუდგენელმა პირებმა იმავე სოფელ ჭუბურხინჯიდან გაიტაცეს, სადაც გუშინ მათი ადგილსამყოფელის გარკვევას ქართველი სამართალდამცველები აფხაზურ მხარეს სთხოვდნენ. ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც ისინი საკუთარი სახლებიდან გაიტაცეს და უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან. მათ გასათავისუფლებლად, ჯერჯერობით, გამოსასყიდი თანხაც კი არავის მოუთხოვია. მას შემდეგ ქართული მხარე, სულ ცოტა, კვირაში ერთხელ მაინც ახსენებს აფხაზთა წარმომადგენლებს გატაცებულთა შესახებ. ყოველ ჯერზე დამაიმედებელი ინფორმაციის მიღებას, ჯერჯერობით, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია – გატაცებულთა შესახებ დღესაც არავინ არაფერი იცის. თუმცა, აფხაზურმა მხარემ გუშინაც დადო პირობა, რომ უახლოეს მომავალში მათი ადგილსამყოფელის შესახებ ყველაფერი გაირკვევა.

ჭუბურხინჯის ტრადიციულ შეხვედრაზე უკვე ტრადიციად იქცა აფხაზური მხარისთვის ცნობილი აფხაზი ბოევიკის ვალმერ ბუთბას პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მოთხოვნა. როგორც ცნობილია, ბუთბას ანგარიშზე გალის რაიონის სოფლების არაერთი დაწიოკება მოდის, თუმცა კი ქართველი სამართალდამცველების ბოლოდროინდელი დაჟინება ამ ცოტა ხნის წინათ სოფელ ახალქალაქიდან როლანდ ჩანგელიას გატაცებამ გამოიწვია. ქართული მხარე ოფიციალურად, აფხაზური და რუსული კი კულუარულად ადასტურებენ, რომ გატაცების უკან სწორედ ყოფილი ფიზკულტურის მასწავლებელი, ამჟამად კი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი, ნახევრად ოფიციალური შეიარაღებული აფხაზური ფორმირების თავკაცი ვალმერ ბუთბა დგას. თუმცა, აფხაზური მხარე ოფიციალურ შეხვედრებზე ასე ცალსახად არ აღიარებს ბუთბას დანაშაულს და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ აპირებს. ამის პასუხად მებრძოლი ჭკადუა აცხადებს, რომ, მართალია, გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის, მაგრამ უკვე არსებული მასალები იძლევა იმის საფუძველს, რომ აფხაზთა მხრიდან შესაბამისი მზადყოფნის შემთხვევაში ბუთბა ჩანგელიას გატაცების საქმეში ეჭვმიტანილად იქნას ცნობილი.

გუშინდელ შეხვედრაზე კიდევ ერთი საკითხის განხილვა მოესწრო. საქმე ეხება ენგურის ხიდზე მოძრაობისთვის სეპარატისტთა მიერ დაწესებული ასრუბლიანი (7 ლარი) გადასახადის გაუქმებას. აფხაზების განმარტებით, ამ გადასახდის დაწესების უფლებას მათ "აფხაზური კანონმდებლობა" აძლევთ. ქართული მხარე კი პრობლემის მოგვარებაში გაერო-სა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა უფრო მეტ აქტიურობას მოითხოვს.

*24 საათი*

# თბილისში იარაღის სამალავი აღმოაჩინეს

გუშინ, გვიან ღამით, თბილისში სპეცოპერაცია ჩატარდა. ძალოვანებმა ბუდაპეშტის ქუჩაზე მდებარე №6 კორპუსის სარდაფიდან დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა ამოიღეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ოპერაციაში, რომელიც მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოსა და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

სამალავად ქცეული სარდაფიდან ამოღებულია 8 ცალი ელექტროდეტონატორი, ექვსი ცალი ხელყუმბარის დეტონატორი, 11 ცალი „ფ-1" ტიპის ხელყუმბარა, ავტომატის 12 ცალი მჭიდი ვაზნებით, 150 ცალი ტყვიამფრქვევის ვაზნა და ავტომატ „აკმ"-ის 900 ცალი ვაზნა. სარდაფში გადამალული საბრძოლო მასალის შესახებ ინფორმაცია პოლიციამ ბუდაპეშტის ქუჩაზე მდებარე კორპუსის მაცხოვრებლისგან მიიღეს. საქმე ისაა, რომ ბინის პატრონს, რომელიც ბუდაპეშტის ქუჩაზე არ ცხოვრობს და რომლის საკუთრებაცაა სარდაფი, ხოლო ბინა დროებით გააქირავა, სამალავის შესახებ ინფორმაცია მდგურმა მიაწოდა. სარდაფი, რომელიც კარგა ხნის მანძილზე დაკეტილი იყო, მდგურმა გახსნა და იქ შეიარაღება იხილა. სამართალდამცველები ამჟამად შეიარაღების მფლობელის დადგენზე მუშაობენ.

საგზაო პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლებმა გუშინ კიდევ ერთი ოპერაცია ჩაატარეს. კანონდამცველებმა ნატახტრის საგუშაგოზე გააჩერეს უცხოური მარკის მანქანა - ლიცენზირებული ტაქსი, რომლის მძღოლსაც მანქანაში მყოფი მგზავრები - შუახნის მამაკაცი და მისი 11 წლის შვილი - გორში უნდა ჩაეყვანა. ჩხრეკის ჩატარების შედეგად მანქანის საბარგულიდან სამართალდამცველებმა ამოიღეს ჩანთა, რომელშიც აღმოჩნდა "აკმ"-ის სისტემის ავტომატი 9 მჭიდით, ხელყუმბარები, ბიგფორდის ზონარი, "აკმ"-ის სისტემის ავტომატის ტყვიებით სავსე ყუთი და დიდი რაოდენობით ტყვიამფრქვევის ვაზნები. ამოღებული შეიარაღება მგზავრ მამაკაცს ეკუთვნოდა, რომელიც ამჟამად უშიშროების სამინისტროს იზოლატორში იმყოფება და რომლის ვინაობასაც სამართალდამცველები ასაიდუმლოებენ.

*24 საათი*

# ასამართლებენ მკვლელობაში ბრალდებულ ჯარისკაცს

უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია განიხილავს თავდაცვის სამინისტროს №1/237-ე ბატალიონის ყოფილი რიგითის ნიკოლოზ ზანდარაშვილის საქმეს, რომელსაც ბრალი ედება მკვლელობაში.

ექიმი-ფსიქიატრის დასკვნით, ზანდარაშვილი ფსიქიურად დაავადებულია, ამიტომაც სასამართლომ განსასჯელისთვის იძულებითი მკურნალობის შეფარდების საკითხი უნდა განიხილოს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2003 წლის 23 იანვარს ზანდარაშვილმა მიატოვა პოსტი და მასზე გაპიროვნებული "AKM"-ის სისტემის ავტომატური იარაღით მცხეთისაკენ გაემართა. გამთენიისას ზანდარაშვილს სოფელ წოდორეთთან ამ სოფელში მცხოვრები მწყემსი ისმაილ სოინგული შეხვდა, რომელიც საქონელს აძოვებდა. ისმაილ სოინგულს ზანდარაშვილმა სრულიად უმიზეზოდ ავტომატური იარაღიდან ესროლა, რის შედეგადაც სოინგული ადგილზე გარდაიცვალა. ზანდარაშვილი იმავე დღეს დააკავეს. ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ იგი შეურაცხადია და ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა. სასამართლო ასევე იმსჯელებს იმ სამხედრო უწყებების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელმაც ფსიქიურად დაავადებული ადამიანი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვია. **მედია-ნიუსი**

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

# ჩაუშესკუ

## გაფრთხილება ყველა ხელისუფლებას









ლევან ღირსიაშვილი

### გზა პრეზიდენტობამდე

რუმინეთის ყოფილი დიქტატორი ნიკოლაი ჩაუშესკუ 1918 წლის 26 იანვარს რუმინეთის პატარა სოფელ სკორნიჩეშტში დაიბადა. მამამისი - ანდრუცე ერთი ჩვეულებრივი გლეხი იყო და ნიკოლაის გარდა, კიდევ ცხრა შვილი ჰყავდა.

თავისი პოლიტიკური კარიერა ნიკოლაიმ 1933 წლიდან დაიწყო, როდესაც რუმინეთის ახალგაზრდული კომკავშირის წევრი გახდა. იმავე წელს ის კომუნისტურ პარტიაშიც მიიღეს. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში რუმინეთში მონარქიული რეჟიმი იყო, რომელთანაც კომპარტია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა. ამ წლებში კომუნისტი ჩაუშესკუ რამდენიმეჯერ დააპატიმრეს.

1947 წლის 30 დეკემბერს რუმინეთში მონარქია დაემხო და ხელისუფლება ხელში კომპარტიამ აიღო. ქვეყანაში სოციალისტური რეჟიმი გამოცხადდა. ამ პერიოდიდან ნიკოლაი ჩაუშესკუ თავბრუდამხვევი კარიერის გაკეთებას იწყებს.

ის სამუშაოდ რუმინეთის არმიის პოლიტორგანოებში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ რუმინეთის კომპარტიის ცეტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მდივნად დაინიშნა. ნიკოლაი უკვე ცნობილი იყო, როგორც სასტიკი, უკომპრომისო ადამიანი, რომელიც განსხვავებული აზრის ადამიანებს ვერ იტანდა. ხოლო მიზნის მისაღწევად კი ის ნებისმიერი საშუალების გამოსაყენებლად მზად იყო.

1964 წლისათვის ჩაუშესკუმ მოახერხა საკმაოდ ძლიერი შიდა დაჯგუფების შექმნა, რომელიც რუმინეთის იმდროინდელ მმართველს და ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გეორგი დეჟას დაუპირისპირდა. ჩაუშესკუმ სულ რაღაც ერთ წელიწადში დეჟასთვის ძირის გამოთხრა შეძლო და 1965 წლის 22 მარტში რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა.

ჩაუშესკუმ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე თავისი წინამორბედის გეორგი დეჟას და მისი პოლიტიკის მკვეთრი კრიტიკა დაიწყო. მოსახლეობისათვის თვალის ახვევის მიზნით, მან ეკონომიკის და კულტურის სფეროების ვითომდა ლიბერალიზაციისათვის კოსმეტიკური ღონისძიება განახორციელა და ქვეყნის დამოუკიდებლობით და სუვერენინეტით სპეკულირებდა.

ხელისუფლების ცენტრალიზაციის და ავტორიტარული მმართველობის გამყარების მიზნით, ჩაუშესკუმ 1967 წლის დეკემბერში კომპარტიის ნაციონალური კონფერენცია მოიწვია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარტიული სახელმწიფო პოსტების ერთ ხელში გაერთიანების მიზნით, რის შედეგადაც რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნიკოლაი ჩაუშესკუ სახელმწიფო საბჭოს მეთაურად იქნა არჩეული.

ამის შემდეგ ნიკოლაი ჩაუშესკუმ გაათმაგებული ენერგიით დაიწყო პარტიული და სახელმწიფო ორგანოების წმენდა მისდამი არალოიალური ელემენტებისაგან. განახორციელა მთელი რიგი საკადრო ცვლილებები ხელისუფლების უმაღლეს და საშუალო რიგებში. ყველა თანამდებობის პირზე, ჩაუშესკუს ბრძანებით, რუმინეთის უშიშროების სამსახური "სეკურიტატე" ქმნიდა კომპრომატულ დოსიეს, რომელიც პირადად დიქტატორის სეიფში ინახებოდა.

ყოველივე ამის შედეგად, მთელმა ძალაუფლებამ ჩაუშესკუს ხელში მოიყარა თავი. პოლიტბიუროს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რომლის წევრებზეც ჩაუშესკუს პირადი ბრძანებით "სეკურიტატე" უმკაცრეს მეთვალყურეობას ახორციელებდა. ქვეყანაში ჩაუშესკუს და მისი უშიშროების სამსახურის ეპოქა დადგა. ხალხში დიქტატორის შიშმა დაისადგურა. რუმინეთში დაწესდა სპეციალური დღესასწაულები, რომლებიც დაკავშირებული იყო არა ხალხთან და ტრადიციებთან, არა თავად კომპარტიასთან, არამედ - პირადად დიქტატორთან. პრესას და ტელევიზიას ბელადის კულტის შექმნის მისია დაეკისრათ, რასაც წარმატებით ახორციელებდნენ კიდეც. წინააღმდეგ შემთხვევაში კი... თუმცა, ასეთი არ არსებობდა. "სეკურიტატეს" მკაცრი კონტროლის ქვეშ, ტელევიზიის და პრესის თანამშრომლები ყოველდღიურად აშუქებდნენ ჩაუშესკუს უდიდეს წვლილს ქვეყნის "განვითარებაში, მსოფლიოში სოციალაზმის მშენებლობაში" და ა.შ. ხალხს ყოველდღიურად უნერგავდნენ, რომ რუმინეთის ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე საკმაოდ მაღალი იყო და ეს სწორედ ჩაუშესკუს დამსახურებით. მას "კარპატების გენია" შეარქვეს, უფრო სწორად, მან თავად მიინიჭა ეს "წოდება."

ამასობაში, დადგა 1974 წელი და ჩაუშესკუმ თავი რუმინეთის პრეზიდენტად გამოაცხადა.

### ფსიქოლოგიური შტრიხები

ნიკოლაი ჩაუშესკუ ფეთქებადი ხასიათით იყო ცნობილი. ის იყო გაუწონასწორებელი ბუნების ადამიანი, რომელიც ავადმყოფურად რეაგირებდა ნებისმიერ შენიშვნაზე, თუკი ამ შენიშვნის ავტორი მისი მეუღლე ელენა ჩაუშესკუ არ იყო. დიქტატორი მას ყველაფერს უჯერებდა.

არც თუ იშვიათად ყველაზე მოულოდნელ გადაწყვეტილებას იღებდა ხოლმე, რაც მისი გარემოცვის გაკვირვებას იწვევდა. ჩაუშესკუ რუმინეთისათვის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებშიც კი არ ერიდებოდა არაადეკვატურ და არაპრაგმატულ ნაბიჯებს. ამასთანავე, მას დამრიგებლური ტონით საუბარი უყვარდა და თავისი მთავრობის წევრებს დიდაქტიკურ გაკვეთილებსაც უტარებდა.

ბოლო პერიოდში კი მას პარანოიაც დაემართა. მოსკოვში ვიზიტების დროს (სხვა ქვეყნებს იშვიათად სწყალობდა) მისთვის მირთმეული სადილი ყოველთვის ბუქარესტიდან ჩამოტანილი პროდუქტებით იყო დამზადებული. ძალიან უყვარდა ჭადრაკის და ბილიარდის თამაში, თუმცა როცა აგებდა, ცოფდებოდა ხოლმე. ამიტომ, რაც პრეზიდენტი გახდა, ის ყოველთვის დაუმარცხებელი იყო ამ სახეობებში. ჩაუშესკუ ვერ იტანდა კლასიკურ მუსიკას და ყოველთვის დასცინოდა უდიდეს მუსიკოსებს.

### პრეზიდენტობა

"კარპატების გენიის" პრეზიდენტობის წლები რუმინელი ხალხისათვის სულ უფრო და უფრო აუტანელი გახდა. "სეკურიტატეს" აგენტებს და ჩინოსნებს განუზომელი უფლებები გააჩნდათ. რუმინეთში რეპრესიების ხანა დადგა. "სეკურიტატე" იყო ერთადერთი უწყება, რომელსაც ჩაუშესკუ ენდობოდა. ამ ორგანოს თანამშრომლები, ძირითადად, სპეციალურ ბავშვთა სახლებში იყვნენ აღზრდილები და მოსახლეობასთან კონტაქტი, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ. სხვა უწყებები კი მისთვის უკვე უმნიშვნელო იყო.

ამასთან ერთად, ჩაუშესკუს გაურთულდა ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთანაც, განსაკუთრებით - უნგრეთთან, ბულგარეთთან და იუგოსლავიასთან.

დადგა 1985 წელი. სსრკ-ს სათავეში მიხაილ გორბაჩოვის მოსვლით ცვლილებების ხანა დაიწყო. ჩაუშესკუ კი იოტისოდენა ცვლილებასაც ვერ იტანდა. უფრო სწორად, მას ამ ცვლილებების ეშინოდა. ამის შედეგად, მოსკოვსა და ჩაუშესკუს შორის ურთიერთობებში აცივების პერიოდი დაიწყო. თუმცა, ის და მისი "სეკურიტატე" რუსეთის გენერალიტეტის და "კაგებეს" მხარდაჭერითა და გულითადი მეგობრობით კვლავ სარგებლობდნენ.

1989 წელი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენები განვითარდა (თბილისი, ვილნიუსი, ბაქო). კრემლი იძულებული გახდა, ავღანეთიდან ჯარები გამოეყვანა, დაეთმო აღმოსავლეთ ევროპა, დათანხმებოდა გერმანიის გაერთიანებას, რაც ერთ წელიწადში მოხდა კიდეც. რუმინეთში კი ყველაფერი ისევ ისე რჩებოდა. ქვეყანა დროს დიდი ხნით ჩამორჩა.

უფრო მეტიც, ამ ეპოქალური გლობალური ცვლილებების მიუხედავად, ჩაუშესკუმ 1989 წლის მეორე ნახევარში კომპარტიის მეთოთხმეტე ყრილობა მოიწვია, სადაც ჩვეულ სტილში განიხილეს სოციალიზმის მიღწევები და ჩაუშესკუს ისტორიული დამსახურებები ქვეყნისა და მსოფლიო სოციალიზმის წინაშე. ყრილობის მეორე დღეს, რუმინეთის პრესაში ჩაუშესკუს ახალი რეგალიები დაემატა: "გმირთა გმირი," "ერის საყვარელი შვილი," "აზროვნების ტიტანი" და სხვა. რუმინელები ცვლილებებს ითხოვდნენ, თუმცა ამაზე ღიად ვერავინ საუბრობდა.















### საყოველთაო სახალხო ამბოხება ანუ ჩაუშესკუს უკანასკნელი დღეები

თუკი რუმინეთის ისტორიაში რუმინელი ერისათვის მრავალი საამაყო ფაქტი თუ მოვლენა მოიძებნება, 1989 წლის დეკემბერი მათ შორის ერთ-ერთი უდიდესია. თუმცა, უპრიანი იქნება, ყველაფერს თავიდან მივყვეთ.

კომპარტიის 1989 წლის სამარცხვინო ყრილობიდან სულ რაღაც ერთი თვე გავიდა.

დადგა **15 დეკემბერი.** რევოლუციას ბიძგი რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარაში, უნგრელი წარმოშობის მღვდლის ლასლო ტოკეშის სახალხო გამოსვლამ მისცა. საქმე ის იყო, რომ ხელისუფლებამ დისიდენტი მღვდლის ქვეყნიდან გაძევება გადაწყვიტა. საპასუხოდ, მამაო ლასლო ათასობით ადამიანის წინაშე წარდგა და პირველმა ხმამაღლა დაგმო ჩაუშესკუს ანტიეროვნული რეჟიმი. მიტინგის დასაშლელად პოლიციისა და "სეკურიტატეს" ძალები გამოიყვანეს. ხალხსა და უშიშროების ნაწილებს შორის ხელჩართული ბრძოლა ქალაქის ქუჩებში გაიმართა. "სეკურიტატემ" მხოლოდ მრავალი მომიტინგეს დახოცვის ფასად მოახერხა მანიფესტანტების დაშლა.

**16 დეკემბერი** – ტიმიშოარაში მშვიდობიანი ხალხის გაჟლეტას პირველად შეერთებული შტატების მთავრობა გამოეხმაურა. **"როგორც ჩანს, რუმინეთში ცვლილებების დრო საბოლოოდ დადგა,"** - ნათქვამი იყო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ განცხადებაში. თუმცა, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ჯერ კიდევ შეშფოთებული სიჩუმით აკვირდებოდა რუმინეთში დაწყებულ მღელვარებას და არ სჯეროდათ, რომ ჩაუშესკუს დღეები დათვლილი იყო.

**17 დეკემბერი** – ტიმიშოარას მაცხოვრებლები კი ჩუმად ყოფნას არ აპირებდნენ. ათიათასობით ადამიანი აღშფოთებული გამოვიდა ქალაქის ქუჩებში და ღირსების დასაცავად ქალაქის საბჭოს შენობისაკენ დაიძრა, სადაც კომპარტიის საქალაქო ოფისი იყო განთავსებული. მათ მოახერხეს შენობაში შეჭრა, დახიეს და დაწვეს ჩაუშესკუს პორტრეტები. ჩაუშესკუმ სასწრაფოდ მოიწვია პოლიტბიუროს სხდომა, სადაც მღელვარების ჩახშობის ბრძანება გასცა. არმიას და "სეკურიტატეს" ნამდვილი ტყვიების გამოყენების უფლება მისცეს. **"ესროლეთ! დაჭრილები სარდაფებში ჩაყარეთ, რათა ისინი იქიდან ვეღარასოდეს ამოვიდნენ,"** - ეს სიტყვები დიქტატორის მეუღლეს ელენა ჩაუშესკუს ეკუთვნის, რომელიც, ამავე დროს, უკვე პოლიტბიუროს წევრი იყო. ტიმიშოარაში არმიის და "სეკურიტატეს" დამატებითი ძალები გააგზავნეს.

**18 დეკემბერი** - ზოგიერთი წყაროს ცნობით, ტიმიშოარაში ჩაუშესკუს მიერ გაგზავნილმა სამხედროებმა ხუთი ათასამდე მშვიდობიანი დემონსტრანტი დახოცეს. თუმცა, ზუსტი რაოდენობა დღემდე არავინ იცის. ტიმიშოარაში მასობრივი საფლავები გაითხარა, სადაც ასობით მშვიდობიანი მოქალაქე ჩამარხეს. ამავდროულად, დიქტატორმა ჩაუშესკუმ თანამდებობიდან გადააყენა უშიშროების, თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრები და ყველა ეს პოსტი თავად შეითავსა. დიქტატორი უკან დახევას არ აპირებდა.

**19 დეკემბერი** – მიუხედავად ყოველივე ამისა, დასავლეთ რუმინეთში წინააღმდეგობა არ შეწყდა. შესაბამისად, "სეკურიტატეც" და არმიის ნაწილებიც ამბოხებულებს უმოწყალოდ ხოცავდნენ. და კვლავ გაისმა შეერთებული შტატების ხმა, რომელმაც ჩაუშესკუს მთავრობის სასტიკი მოქმედება დაგმო და დიქტატორთან ყველანაირი კავშირი გაწყვიტა. სწორედ ამ დღეს, ჯერაც დაუდასტურებელი ინფორმაციით, რუმინეთის არმიის ჯარისკაცებმა ხალხის მხარეზე დაიწყეს გადასვლა. ხალხმა ხელში უკვე იარაღი აიღო.

**20 დეკემბერი** – დიქტატორმა ამბოხებულ ქალაქში, ვითომ მოსალაპარაკებლად, წარმომადგენლები გააგზავნა. თუმცა, პარალელურად, ქალაქში დამატებითი ელიტარული ძალები შეიყვანეს. "სეკურიტატეს" ელიტარულმა სპეცრაზმმა პირველი საბრძოლო ნათლობა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლებში მიიღო. უნდა ითქვას, რომ ჩაუშესკუ ამ დღეს უკვე ირანში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. მას ეგონა, რომ მისი ერთგული ძალები მდგომარეობას მის გარეშეც მალე მოაგვარებდნენ. მაგრამ ტიმიშოარა საყოველთაო სახალხო ამბოხის ცენტრად გადაიქცა. "სეკურიტატეს" ელიტარულ ნაწილებსა და ხალხს შორის ბრძოლები ქალაქის ყველა ქუჩაზე მიმდინარეობდა. რუმინელები საკუთარი შვილების მომავლისათვის იბრძოდნენ და იღუპებოდნენ, რადგანაც ჩაუშესკუს გამარჯვების შემთხვევაში, მათ სიცოცხლეს აზრი ეკარგებოდა. მათ კი ან ღირსეულად უნდა ეცხოვრათ, ან ღირსეულად უნდა დაღუპულიყვნენ. დიქტატორმა, როგორც კი დაინახა, რომ ხალხის ამბოხის ჩახშობა "სეკურიტატემაც" ვერ მოახერხა, ირანში ვიზიტი სასწრაფოდ შეწყვიტა და რუმინეთში დაბრუნდა.

**21 დეკემბერი** – ეს არის თარიღი, რომელმაც უდიდესი გარდატეხა მოახდინა რუმინეთის ისტორიაში. ეს არის თარიღი, როდესაც ირანიდან დაბრუნებულმა ჩაუშესკუმ ხალხს მიმართა და საგანგებო უწყებებს მთავრობის სახლის წინ მხარდამჭერების მოგროვება დაავალა. ცენტრალურ მოედანზე ათი-ათასობით მანიფესტანტმა მოიყარა თავი. მათ ჩაუშესკუს და სოციალიზმის მხარდამჭერი პლაკატები ეკავათ. დიქტატორმა დასავლეთ რუმინელების ამბოხისათვის აღმოსავლეთ რუმინეთის მოსახლეობის და დედაქალაქის დაპირისპირება სცადა. ყოველ შემთხვევაში, ამ მიტინგის მიზანი ეს იყო. შუადღისას, როდესაც მოედანზე ხალხი უკვე აღარ ეტეოდა, მთავრობის სასახლის აივნიდან მანიფესტანტებს დიქტატორმა მიმართა. მის გვერდით მეუღლე ელენა ჩაუშესკუც იდგა. თავიდან ყველაფერი მშვიდ კალაპოტში მიდიოდა. ხალხი, უკვე ალბათ მეათასედ, უსმენდა მობეზრებული დიქტატორის არაფრისმთქმელ სიტყვას. ჩაუშესკუ ხალხისგან ტაშს, მხარდამჭერ შეძახილებს და ხოტბას ელოდა. ისინი ხომ აქ ამისათვის მოიყვანეს. მოულოდნელად ხალხმა იხუვლა, მაგრამ არა დიქტატორის მხარდასაჭერად. **"ძირს ტირანი," "ძირს ჩაუშესკუ," "ძირს კომუნიზმი,"** - ერთხმად ყვიროდა ხალხი. ისინი შიშისგან უკვე დაცლილები და დაღლილები იყვნენ. ჩაუშესკუმ სასწრაფოდ მიატოვა ტრიბუნა, მეუღლესთან ერთად სასახლის ეზოში მდგარ ვერტმფრენში ჩაჯდა და ბუქარესტი დატოვა. მისი ბრძანებით, პოლიციამ მომიტინგეთა დაშლა სცადა, მაგრამ ხალხმა მათ ბრძოლა გაუმართა. ბრძოლაში "სეკურიტატეს" ნაწილებიც ჩაერთო. მათ ხალხის წინააღმდეგ ჯავშანტექნიკა და ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს. ამბოხება ბუქარესტშიც დაიწყო.

**22 დეკემბერი** - ჩაუშესკუ და მისი მეუღლე დედაქალაქის მახლობლად, ჰაერსაწინააღმდეგო გარნიზონის ბაზაზე იმყოფებოდნენ. ისინი იქიდან ცდილობდნენ ვითარების შემობრუნებას. "სეკურიტატეს" მთელ ძალებს ამბოხების ნებისმიერი საშუალებით ჩახშობა დაევალათ. თუმცა, ამავდროულად, ცოლ-ქმარი ჩაუშესკუები ქვეყნიდან გაქცევის გეგმებსაც აწყობდნენ. ამასობაში კი, რუმინეთის არმია ხალხის მხარეზე გადავიდა. დედაქალაქელები მათ სიგარეტს, საკვებს და ყვავილებს ურიგებდნენ. არმია და ხალხი "სეკურიტატეს" დაუპირისპირდა.

**23 დეკემბერი** – ბრძოლები ბუქარესტის ქუჩებში. რუმინეთში უკვე დროებითი მთავრობა გამოცხადდა. მას სათავეში კომპარტიის ერთ-ერთი ლიდერი იონ ილიესკუ ჩაუდგა, რომელმაც სასწრაფოდ ჩამოაყალიბა ეროვნული ხსნის ფრონტი და ძალაუფლება ხელში აიღო. ჩაუშესკუ და მისი მეუღლე სამხედრო ბაზაზე დააპატიმრეს და დედაქალაქში ჩამოიყვანეს.

**24 დეკემბერი** – ბრძოლები გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რადიომ უკვე ჩაუშესკუს დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია გადასცა, "სეკურიტატე" უკან დახევას არ აპირებდა. ამავე დღეს, უკვე ყოფილი დიქტატორის და მისი მეუღლის გასასამართლებლად საგანგებო და სახელდახელო ტრიბუნალი გაიმართა. ცოლ-ქმარს ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულისა და ქვეყნის ღალატისათვის დახვრეტა მიესაჯათ.

**25 დეკემბერი** – სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. საძულველი დიქტატორის და მისი მეუღლის გვამები ტელევიზიით უჩვენეს, რითიც რევოლუცია დასრულდა.

### ბოლოთქმა

1989 წლის შობა რუმინეთის ეროვნული გამარჯვების დღედ იქცა. ქვეყანაში აღმშენებლობის და წარსულის დავიწყების ხანა დაიწყო, მაგრამ ჩაუშესკუს ტირანიას რუმინეთი, ალბათ, ვერასდროს დაივიწყებს. ხალხს ყოველთვის მშვიდობიანი ცხოვრება ურჩევნია, მაგრამ ეს ცხოვრება ღირსეული უნდა იყოს, რასაც ხელისუფლება უნდა უზრუნველყოფდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღირსეული ხალხი ღირსეულ მომავალს თავად იქმნის. რუმინელები დღეს უკვე ღირსეულად ცხოვრობენ.

სისხლისღვრაზე ყოველთვის უღირსი ხელისუფალი მიდის. ასე მოიქცა ჩაუშესკუ.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# "ტელევიზიონშიკობა" რთული და დაუფასებელი სამუშაოა

მაია ქალაგანიძე

*ამ ბოლო ხანებში (და ამას ყველა ხედავდა), ხელისუფლებას და პრეზიდენტს რომელიმე ტელევიზიაზე შურისძიების სურვილი ახრჩობდა. ყველა ნიშანი იმაზე მეტყველებდა, რომ ასეთი აუცილებლად "რუსთავი 2" უნდა ყოფილიყო. ეს ვერ მოახერხა და ვინ იფიქრებდა, რომ საკუთარი არაორდინარულობის მითით გართული დიდი პოლიტიკოსი საკუთარ ტელევიზიას მიადგებოდა... არა, ვიღაცისთვის რომ თავი უნდა მოეჭრა, ფაქტი იყო, მაგრამ არავის ეგონა, რომ ეს საკუთარი შვილი იქნებოდა... დიახ, ზაზა შენგელიას და სახელმწიფო ტელევიზიას გაწეული სამსახური არ დაუფასდა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის არაადეკვატურობას ეს არხი ბოლო დრომდე ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა.*

*ამ არხმა თავისუფალი სიტყვის დევნა მხოლოდ მაშინ აღიარა, როცა თავად გახდა უკვე კარგა ხანს არსებული დევნის მსხვერპლი და არა მაშინ, როდესაც 2001 წლის ნოემბრის ამბების დროს ფეხების ბაკუნითა და წივილ-კივილით ერთადერთი დამოუკიდებელი არხისკენ აფრქვევდა რისხვას (წლევანდელ ნოემბერშიც არ დაუკლია ხელი). თავისუფალი სიტყვის დევნას არც მაშინ აღიარებდა, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს პროსამთავრობო და რეალობისგან სრულიად მოწყვეტილი ინტერპრეტაციებით აშუქებდა. აღიარა მხოლოდ მაშინ, როდესაც კრწანისის რეზიდენციის ინტრიგები მასაც შეეხო.*

*მოკლედ, პრეზიდენტისგან მადლობა სულ სხვა არხებს ერგოთ... და, რა მოხდა?! ვანო ჩხარტიშვილის ტელეკომპანია "მზის" ყველაზე რეიტინგულმა ჟურნალისტმა მთავრობაზე გული აიყარა, ხოლო ბადრი პატარკაციშვილის მისამართით პრეზიდენტის მხარდამჭერ მიტინგებზე ისეთი მოწოდებები ისმის, რომ საეჭვოა, მისმა "იმედმა" პირველი არხის ფუნქციები შეითავსოს...*

*ჩვენ ყველანი, დიდი ხანია, პრეზიდენტს ვიცნობთ და არ გაგვიკვირდება, თუ რაღაც ამის მსგავსს განაცხადებს - "რა მოხდა, რამ გააბრაზა ეს ხალხი, პრეზიდენტს სამთავრობო არხის მისამართით ერთი-ორი შენიშვნის მიცემა არ შეუძლია?" და იქვე დასძენს - "აგერ არ არიან სხვა დამოუკიდებელი ტელევიზიები - "აჭარა," "პირველი სტერეო", "ევრიკა", "კავკასია", მეშვიდე არხი"... - დღესაც ხომ ამ პათოსით უწოდებენ ოპოზიციურ პარტიებს - "მრეწველებს," "ახლებს" და "ლეიბორისტებს."*

*თუმცა, პირველ არხზე არც "ახლები" მუშაობენ, არც "ლეიბორისტები" და არც "მრეწველები". იქ მუშაობს ხალხი, ვის თავზეც ყველა ხავერდოვანმა თუ ცეცხლოვანმა რევოლუციამ გადაიარა. მათ იციან, ვინ შეიძლება იქცეოდეს გმირივით და ვინ - ჩაძირული გემის მღრღნელივით. და კიდევ: საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის თანამშრომლები შენობის წინ მდებარე კიბეებს ყოველთვის ადი-ჩადის დანიშნულებით როდი იყენებდნენ - ამ კიბეებმა ბევრი ხელისუფალი შეიწირა... ზაზა შენგელიას გადადგომაც ხელისუფლების რღვევის უტყუარი ნიშანი, შევარდნაძის სრულიად გაუგებარი და საბედისწერო ნაბიჯების მაუწყებელია.*




*ზაზა შენგელია "24 საათის" რედაქციაში.*

**- უნდა მოგილოცოთ თუ მოგისამძიმროთ?**

- ალბათ, ორივე. როდესაც სახელმწიფო ტელევიზია სამთავრობო ტელევიზიად იწოდება, ან არის სურვილი, რომ იყოს სამთავრობო ტელევიზია - იქ დარჩენა დაუშვებლად მიმაჩნია. ოთხწელიწადნახევარში, რომელიც იქ გავატარე, ჩემს გუნდთან ერთად საქმის კეთებას ალალად ვცდილობდი. ის, რაც მოხდა, ამ მცდელობის ფიასკოს და ხაზის გადასმას ნიშნავს.

მეორე მხრივ, მიხარია, რომ ყველაფრის მიუხედავად, ამ განცხადების მერე ვიგრძენი, თუ რამდენი ისეთი მხარდამჭერი მყოლია, რომელიც მანამდე არ ჩანდა. ეს ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის და ადამიანისთვის, დიდი სტიმული იყო.

**- ეს თქვენი მერამდენე გადადგომაა?**

- ამ თანამდებობიდან გადადგომის რამდენიმე მცდელობა მქონდა. მათ შორის, 2001 წლის ნოემბერშიც - მაშინაც სახელმწიფო ტელევიზიაზე ზეწოლის გამო. თუმცა, პრეზიდენტმა ჩემი განცხადება რამდენჯერმე არ დააკმაყოფილა.

**- რატომ მოხდა ეს ახლა და რა მოვლენები უძღოდა წინ?**

- არც კი დაველოდე დაკმაყოფილებას. საქმე ისაა, რომ სამწუხაროდ, პეზიდენტის გარემოცვაში რეაქციულად განწყობილმა პირებმა იმძლავრეს, ბევრმა რეტროგრადმა, შავრაზმელმა მოიყარა თავი. ახლა, წამოსვლის მეორე დღეს, გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. აქვე აღვნიშნავ, რომ იქ პროფესიონალები და ჯანსაღი ძალებიც არიან.

პირველი არხი, პირველ რიგში, რეალური სურათის აღწერას ცდილობდა. ვცდილობდით, ჩვენი ეთერიდან ოპოზიციური აზრიც დაფიქსირებულიყო, რითიც ხალხის ცნობიერებას საზოგადოებრივი ტელევიზიისთვის ვამზადებდით.

**- მაგრამ, აქვე იყო კომენტარები, სიუჟეტები, გამოკითხვები და ინფორმაციები, რომელიც არ შეესაბამებოდა რეალობას. ორიოდე კვირის წინ სწორედ "მოამბეამ" გამოაცხადა, რომ საქართველოში წარმოება (თუ არ ვაკლებ) 103 პროცენტით გაიზარდა...**

- თუკი ქვეყანაში რაიმე პოზიტიური ხდებოდა, ყოველმხრივ ვაზვიადებდით ამას. გამუდმებული ურყოფითი ინფორმაციებისგან ხალხი გადაიღალა...

**- ოპოზიციური აზრის არგამოჩენის გარდა კიდევ რა ზეწოლა იყო?**

- რეაქციულ აზროვნებასთან მენტალური შეუთავსებლობა. მათთვის არაერთხელ განმიცხადებია, რომ მენტალურად ვერ შევთავსდებოდით. არ შეიძლება, ტელევიზიის შესახებ ისეთი შეხედულება იყოს, როგორიც მათ გააჩნიათ. ხოლო თუ ასეთი აზრი არსებობს, თავისთვის უნდა შეინახონ. ტელევიზიას განვითარების საკუთარი გზა აქვს და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ესა თუ ის პოლიტიკოსი ან ჩინოვნიკი რას ფიქრობს მასზე.

ტელევიზიების ისტორიაში მსგავსი სკანდალები ყოფილა, მაგრამ ტელევიზიის მიმართ ამგვარი მომხმარებლური დამოკიდებულება არსად გამიგია. მით უფრო, რომ საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნის პროცესის ბოლო სტადიაში ვიყავით და ვართ კიდეც. ამ ოთხი წლის მანძილზე შიდა სტრუქტურული ცვლილებები მოხდა, შემუშავდა კანონმდებლობა, რომელმაც ბრიტანელი თუ ევროსაბჭოს ექსპერტების სერიოზული ექსპერტიზა გაიარა. სხვათა შორის, ძალიან დაგვეხმარა "თავისუფლების ინსტიტუტი". ეს კანონპროექტი მისაღებად მზად არის. ზუსტად არის გაწერილი დაფინანსება, მართვა, როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი პლურალიზმი, გათვალისწინებულია მაყურებლის ინტერესები, როგორი სტრუქტურით უნდა მუშაობდეს საინფორმაციო სამსახური და ა.შ.

**- სამთავრობო სტრუქტურები პირველი არხის განსაზოგადოებრიობას ეწინააღმდეგებოდნენ? ეს ზეწოლა ამის შედეგია?**

- თეორიულად საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნას ვერ ეწინააღმდეგებოდნენ. როდესაც თავის დროზე, საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა გახდა, ვალდებულებები ავიღეთ და მათ შორის ერთ-ერთი მოთხოვნა სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნა გახლდათ. ამიტომ, უნდა თუ არა ვიღაცას, მოსწონს თუ არა - ეს გარდაუვალი პროცესია.

**- ოპონენტები შიგნით, ტელევიზიაშიც გყავდათ?**

- დიახ. ძალიან დიდი წინააღმდეგობა შემხვდა, ბევრი დამცირების, შეურაცხყოფისა და ცილისწამების გადატანა მომიწია. თუმცა, აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენთან უამრავი პროფესიონალი და ნიჭიერი ადამიანი მუშაობს. დაუფინანსებლობის, ტექნიკის არქონის პირობებში ისინი საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ამჟღავნებდნენ. მაგრამ, გარკვეული ნაწილი ძალზე რეტროგრადულად არის განწყობილი.



**- იმ ადამიანებს ხომ არ გულისხმობთ, თქვენს მოღვაწეობას ბროშურები და პუბლიკაციები რომ მიუძღვნეს?**

- მათ შორის, ესეც იყო. ვწუხვარ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ბევრმა მათგანმა წერა-კითხვაც კი არ იცის.

**- 2500 ადამიანში ყველა პროფესიონალი ვერ იქნება.**

- გეთანხმებით, მაგრამ საქმე ის არის, რომ დღეს ჩვენ ბიუჯეტიდან ვფინანსდებით. საზოგადოებრივი ტელევიზიის შემთხვევაში მოსახლეობას გადასახადის გადახდა მოუწევს. ჩვენ ძალიან იაფი და მიმზიდველი შესანახი უნდა ვიყოთ მოსახლეობისთვის.



ბუნებრივია, კომერციული არხები ყოველთვის ეცდებიან კომერციული პროგრამების ჩაშვებას. ეს მათი ბიზნესია და სწორია, რომ ეცდებიან. საზოგადოებრივი ტელევიზიის ნიშა სულ სხვაა - შემეცნებითი პროგრამები, განათლება, ეკოლოგია, კულტურა. ეს კი კომერციულად მომგებიანი არ არის. ამის კეთებას საკმაოდ მაღალი პროფესიონალიზმი, ამ დარგებში ემპირიული ცოდნა და ტელევიზიის დარგში დიდი დახელოვნება ესაჭიროება - აი, ამის სინთეზი უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში კი მაღალი ანაზღაურების სისტემა უნდა იყოს.



თემურ სახიტაშვილის ფოტო

ჩემ მიმართ ერთ-ერთი ბრალდება ისიც იყო, რომ შენგელიამ დისკრიმინაცია მოაწყო - თავის ფავორიტებს მაღალი ხელფასები დაუნიშნა და ა.შ. სწორია, ასეც მოხდა. იძულებული ვიყავი, ასე გამეკეთებინა, რადგან დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტელევიზიის ღირებული სახეები უნდა შეინარჩუნო. არადა, სხვაგან წავა - ასეც ხდებოდა. კადრების დიდი დინება იყო და ახლაც არის. არა მხოლოდ ჟურნალისტები, რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, ტექნიკოსებიც მიდიან. ჩვენ უძლიერესი ტექნიკური შტატი გვყავდა...

**- ქვეყანაში მიმდინარე ასეთი მოვლენების დროს რას ნიშნავს სახელმწიფო არხის ხელმძღვანელის გადადგომა?**

- პირველ რიგში, ეს არის პროტესტი იმ სტერეოტიპის გამო, რაც პირველი არხის გარშემო ჩამოყალიბდა. საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნისას მას სულ სხვა ფუნქცია ექნება. უნდა გააჩნდეს კულტურული იმპულსები, რათა ამ ქვეყანაში მცხოვრებ ხალხს სახელმწიფოებრივ-ეროვნული იდენტიფიკაცია მისცეს.

მიმაჩნია, რომ არხის რეფორმირება, გარკვეულწილად, შედგა. ყოველი წლის სექტემბერში (ამ სექტემბრის გამოკლებით) აბსოლუტური დაუფინანსებლობის პირობებში ვაახლებდით ეთერს.

**- თქვენი გადადგომით, რა ბედი ეწევა კონტროლის პალატის დასკვნას პიველი არხის ფინანსურ საქმეებზე. თანამშრომელთა ერთი ნაწილიც ფინანსების არამიზანმიმართულ ხარჯვაში გადანაშაულებდათ.**

- ამ ხალხის მიერ ეს დასკვნა ყველანაირ ინსტანციაში ყველა დონეზე გასაჩივრდა - რაიონულ, საოლქო, უზენაეს სასამართლოებში, პარლამენტის ანტიკორუფციულ (ოსაძის) კომისიაში, უშიშროების სამინისტროში და ეს ბრალდებები არც ერთ დონეზე არ დადასტურდა...

**- რამდენად ხშირად და მძლავრად გრძნობდით ზეწოლას ხელისუფლებისგან?**

- რამდენჯერმე ვაპირებდი გადადგომას, თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში, პირადად პრეზიდენტის როლი მაინც მეორადი იყო. ეს გახლდათ გარემოცვის შავრაზმული ნაწილის დამსახურება. თუმცა, საბედნიეროდ, ყველა ასე რეაქციულად არ ფიქრობს.

მე, როგორც "ტელევიზიონშიკს" და საქართველოში პირველი დამოუკიდებელი არხის შემქმნელს...

**- "მერმისიც" თქვენი იყო?**

- ეს არ იყო სრული მაუწყებლობა. ეთერში მხოლოდ ფილმები, მულტფილმები და კონცერტები გადიოდა. "იბერვიზია" "მერმისზე" ადრე დაფუძნდა, მაგრამ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას უფრო ადრე ისინი გაუშვეს ეთერში.

პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა (ოპოზიციამაც და ხელისუფლებამაც) და საზოგადოებამ ტელევიზიის და ზოგადად მედიის როლზე სწორი მიმართულება ვერ ჩამოაყალიბა...

**- პოლიტიკურმა სპექტრმა, შეიძლება მართლა ვერ ჩამოაყალიბა, ვფიქრობ, საზოგადოებას უფრო ობიექტური დამოკიდებულება აქვს.**

- გეთანხმებით - საზოგადოებამ უფრო მეტად ჩამოაყალიბა, მაგრამ ტელევიზიის მიმართ პოლიტიკური ისტებლიშმენტის დამოკიდებულება უფრო მომხმარებლურია და ეს რომ არ ვთქვა, მართალი არ ვიქნები.

ყველა ცდილობს, რაც შეიძლება დიდ ხანს იყოს ეკრანზე, რაც შეიძლება ბევრი და კარგი ილაპარაკონ მასზე. კრიტიკა არავის უყვარს, ხშირ შემთხვევაში, ობიექტურობა იკარგება. ჩვენ სასაცილო დაფინანსება გვაქვს. სომხეთისა და აზერბაიჯანის ტელევიზიები განვითარებით ბევრად ჩამოგვრჩება, მაგრამ ჩვენზე სამჯერ მეტი დაფინანსება აქვთ... კერძო ტელევიზიებმა დროს გაასწრეს, მათ თამასა ძალიან მაღლა ასწიეს, დიდი პროგრესია...

**- და ამას ვერასდროს დაეწევა საზოგადოებრივი ტელევიზია?**

- საზოგადოებრივ ტელევიზიას აქვს ნიშა, რომელიც აუცილებლად დაკავებული უნდა იყოს. ეს ნიშა კომერციული არხებისთვის მომგებიანი არ არის. საზოგადოებრივი ტელევიზია აუცილებელი ატრიბუტია... კერძო კომპანიები სარეკლამო შემოსავლებით არსებობენ, საზოგადოებრივი ტელევიზია კი სალიცენზიო მოსაკრებლებით... 7-10 წლის მერე (და ეს კანონში გვიდევს) მოსახლეობას საქართველოში გადასახდელი ექნება ფული იმისთვის, რომ პირველ არხს უყუროს. გეკითხებით - რაც უფრო რეფორმირებული და ხალხის ინტერესების გამომხატველი, რაც უფრო სახალხო იქნება თავისი პროგრამირებით, მით უფრო არ გადაიხდიან ფულს?

**- თქვენი მეუღლე, სესილი გოგიბერიძეც გადადგა კულტურის მინისტრის პოსტიდან. მან სოლიდარობა გამოგიცხადათ და მთავრობაში დარჩენა უხერხულად მიიჩნია... ეს იყო ქმრისთვის გამოცხადებული სოლიდარობა თუ სხვა ტიპის პროტესტი?**

- ამ თემაზე საუბარი მიჭირს, რადგან ამ შემთხვევაში, სესილი ჩემი სუსტი წერტილია. ის თავისი ღირსეული ბიოგრაფიით, პლუსებითა და მინუსებით ცალკე აღებული პიროვნებაა, მე - ცალკე მაქვს ჩემი გზა და უფრო მეტი მინუსები. ორი სეპარატული გზა გვაქვს და ვცდილობთ, ერთმანეთის ორბიტაზე არ გადავიკვეთოთ.

ძალიან მრცხვენოდა - ამას გულახდილად გეუბნებით - უხერხულობას ვგრძნობდი იმის გამო, რომ მთავრობის სხდომაზე ერთად ვისხედით, მაგრამ ეს გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველი იყო.

მიმაჩნია, რომ მის გადადგომაში, გარკვეულწილად, დევს ცოლქმრული სოლიდარობა, უფრო სწორად, უხერხულობა... გარდა იმისა, რომ ბევრ რამეზე ჩემსავით ფიქრობდა, მან მთავრობაში დარჩენა უხერხულად და არაზნეობრივად ჩათვალა. არ მინდა, გვარები და სახელები ვთქვა, მაგრამ მან თავისი ნაბიჯით სხვებს მისცა მაგალითი.

**- თქვენს სკამს გადადგომისთანავე შიგნით და გარეთ გამოუჩნდნენ მსურველები. ამ თანამდებობაზე კი თქვენი მეგობარი და თანაგუნდელი გიორგი ლეონიძე დაინიშნა. არის ეს ხელისუფლების მიერ მიღებული დროებითი ზომა?**

- ამას არ ვისურვებდი. ეს რომ ასე მოხდეს, ჩემთვის კიდევ ერთი იმედგაცრუება იქნება. გიორგი, მართლაც, ჩემი მეგობარია, ღირსეული პიროვნება და კარგი ადამიანია.

ეს არის "ტელევიზიონშიკების" ოჯახი. ეს რთული პროფესია, რთული და დაუფასებელი სამუშაოა. თუკი ამ ჩვენი ოჯახიდან ვინმე ღირსეული მოვა, ყველას მივესალმები...

**- რას შესძენს ან რას დააკლებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს პირველი არხიდან თქვენი წასვლა?**

- მიჭირს იმის თქმა, თუ რას შესძენს (ამას, ალბათ, დრო აჩვენებს). მინდა ჩემი ნაბიჯი იყოს გარკვეული მსხვერპლი, თუ ზვარაკი (რაც გინდათ ის უწოდეთ) იმისთვის, რომ რეფორმირების გზა, რომლისთვისაც გადავდექი - გაიოლდეს.

**- კარგად იცნობთ ტელევიზიას და ხართ ისტორიკოსი. რითი მთავრდება ხოლმე ხელისუფლებისა და ტელევიზიის დაპირისპირება?**

- ყველგან საზოგადოებრივი ტელევიზია იმარჯვებდა. სხვა ფინალი არ არსებობს. ეს ტელევიზია იქნება სახალხო, მართული იქნება ხალხის და არჩეული პარლამენტის მიერ. ხალხის მიერ იქნება დაფინანსებული და პროგრამირება ხალხისთვის იქნება. ეს ცალსახაა.

ვინც უნდა იყოს, კონსულტანტად დავუდგები და ამ პროცესს ვერ ჩამოვშორდები. უზარმაზარი ემპირიული ცოდნა დამიგროვდა და ამ პროცესში ჩემი გამოცდილებით მივიღებ მონაწილეობას.

**- გიხილავთ "მზე"-ზე?**

- ჩემსა და ტელეკომპანია "მზეს" შორის თავიდან გარკვეული ურთიერთობები, მართლაც, არსებობდა. ახლა ეს კონტაქტები გაწყდა.

ჯერჯერობით, კონკრეტული შემოთავაზება არ მქონია. პირველ რიგში, დასვენება, საკუთარ თავთან განმარტოება და ჩემთვის დასკვნების გაკეთება მჭირდება.

# ხალხის არჩევანი

1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ მთავრობა და პრეზიდენტი უნდა გადადგეს?
2. ხედავთ თუ არა რეალურ ძალას, რომელსაც შეუძლია ჩაიბაროს ქვეყნის ბედი?
3. ამ აქციებმა მიაღწია თუ არა რაიმე მიზანს?

**გურამ საღარაძე**
*მსახიობი*

**1.** მე ვუერთდები იმას, რომ იყოს სიმშვიდე საქართველოში. რომელი მხარე დაამყარებს ამას - მთავრობა პრეზიდენტი თუ ოპოზიცია, ამას ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა. მინდა, რომ იყოს სიმშვიდე და საქართველო არ ჩაერთოს ურთიერთდაპირისპირებაში და სამოქალაქო ომში.

**2.** ძალიან რთული კითხვაა; ეს კითხვა მე საკუთარ თავს დავუსვი და ბოლომდე პასუხი ვერ გავეცი. რეალური ძალა - ძალიან მეძნელება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ქვეყანა რთულ ვითარებაშია. საჭიროა ჩამოყალიბებული პიროვნებები, რომლებიც ამას გააკეთებენ.

**3.** ვფიქრობ, რომ შეიძლება ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, თუ გონიერებამ არ გაიმარჯვა. რამეთუ, თუ მოხდა ურთიერთდაპირისპირება, ეს იქნება საქართველოსთვის კატასტროფა. ჩვენ უკვე ნანახი გვაქვს ეს და თუ კვლავ განმეორდა, ღმერთმა ნუ ქნას, შეიძლება უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავვარდეთ, ვიდრე დღეს ვიმყოფებით. თუმცა, მიმაჩნია, რომ ნელ-ნელა უნდა მოვიდეს ახალი ძალა, მაგრამ მე მომხრე ვარ არა ქუჩის, არამედ საპარლამენტო დებატების.

**ილია ზაუტაშვილი**
*მხატვარი*

**1.** ვუერთდები.

**2.** ოპოზიცია – ნაციონალური მოძრაობა და ბურჯანაძე-დემოკრატები.

**3.** ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს ყველაფერი იწყებოდა, მე ვთქვი, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ეს არის პროტესტის ყველაზე კარგი ფორმა. ცხადია, მას აქვს ძალიან ბევრი მხარე, რომელიც უნდა იყოს დაცული. პირველ რიგში, ეს უნდა იყოს ხაზგასმულად პაციფისტური მოძრაობა, ანუ ძალადობის გარეშე, რასაც ოპოზიციაც ეთანხმება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მხარეა, რადგანაც, შესაძლებელია, სწორედ ახლა მოხდეს დაპირისპირება, როდესაც გარკვეული რეგიონიდან ჩამოვიდა ხალხი. ცხადია, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, ეს ძალიან კარგია, რადგანაც ისინი უფრო მეტად ინფორმირებულები იქნებიან, მაგარამ არის იმის საშიშროება, რომ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის რაღაც პროვოკაციას ჰქონდეს ადგილი. არის ძალიან ბევრი ასპექტები, რომლებიც უნდა იყოს დაცული, პირველ რიგში, ოპოზიციის მხრიდან. რადგანაც საწინააღმდეგო მხრიდან, აუცილებლად იქნება პროვოკაციის მცდელობები. ამდენად, ოპოზიცია და მათთან ერთად უამრავი ადამიანი აუცილებლად კონტროლირებადი უნდა იყოს, არა იმიტომ, რომ ჩვენ რამის გვეშინია. უნდა გამოიყოს გარკვეული პრიორიტეტები. ოპოზიცია და ხალხი, რასაკვირველია, თანახმანი არიან მოლაპარაკებაზე და გარკვეულ დათმობაზე წავიდნენ, თუმცა ეს, ცხადია, ორმხრივი უნდა იყოს. თანახმა ვართ, რომ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდეს. ჩვენ არ ვითხოვთ, რომ ეს მოხდეს დღეს ან ხვალ. ეს პროცესი, შესაძლოა, გაგრძელდეს, რაზეც ჩვენ პრეტენზიას არ გამოვთქვამთ, მხოლოდ პროცესი პროგრესირებადი უნდა იყოს, ამასთან - დემოკრატიული და პოზიტიური და არავითარ შემთხვევაში, პროვოკაციების გამო, მან არ უნდა განიცადოს დეგრადაცია. კიდევ ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა, რაც მოძრაობა "კმარას" ეხება. მე ვარ მომხრე იმისა, რომ ჩვენ ყველა გავხდეთ მისი წევრები – ყველანი, განურჩევლად ასაკისა. რასაკვირველია, პირდაპირი მნიშვნელობით ამ ჯგუფის წევრობას არ ვგულისხმობ, უბრალოდ, ყველამ სოლიდარობა გამოვუცხადოთ მათ და, თუკი იქნება შესაძლებლობა, ყველამ ჩავიცვათ "კმარას" მაისურები, გავიკეთოთ სამკლაურები და ა.შ. ეს იქნება სოლიდარობა იმ აქტიურ და პოზიტიურ ახალგაზრდა ძალასთან, რომლებიც აბსოლუტურად არ არიან "გასვრილები" - მათ არ აქვთ, ასე ვთქვათ, რთული "ბაგაჟი", რომელსაც ჩვენ ყველანი დავათრევთ და ჩვენ სწორედ მათ სიცოცხლისუნარიანობას, მათ ახალგაზრდობას, მათ პროგრესულობას ვუცხადებთ სოლიდარობას.

# ვალერიან შიუკაშვილის მინიატურული პროტესტი

### პიანისტი საყოველთაო არეულობას მუსიკით უპირისპირდება

მადი სერებრიაკოვა

როდესაც ერთი ცნობილი რუსი კომპოზიტორი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რუსეთიდან მიემგზავრებოდა, საკუთარი გადაწყვეტილება ასე ახსნა: "რუსები ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მოიცლიან მუსიკისთვის, მე კი მუსიკის მეტი არაფერი შემიძლია". პოლიტიკური ბატალიების ავტორები ყოველთვის ცდილობენ, ხელოვნებაც პოლიტიკურ პროპაგანდას დაუქვემდებარონ. ამ პირობებში გადარჩენა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. დღევანდელი დაძაბულობის ფონზე, ყოველგვარ პოლიტიკურ ელფერს მოკლებული კლასიკური მუსიკის კონცერტის გამართვის სითამამე ვალერიან შიუკაშვილს ეყო. ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ აღიარებული პიანისტის კონცერტი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, გუშინ, ალბათ, ყველაზე მყუდრო ადგილი იყო დედაქალაქში.

ვალერიან შიუკაშვილის კონცერტი ჯერ კიდევ არჩევნებამდე იგეგმებოდა სასტუმრო "მარიოტში". თუმცა, წინასაარჩევნო ციებცხელებაში იმდენად ჩაიკარგა საფორტეპიანო მუსიკის საღამო, რომ ორგანიზატორებმა მისი გადადება გადაწყვიტეს. შემდეგ კონცერტი 8 ნოემბერს იგეგმებოდა. თუმცა, ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ საკონცერტოდ კვლავ არავის ეცალა. საბოლოოდ, პიანისტმა ხელი აიღო კლასიკური მუსიკისთვის შესაფერისი პოლიტიკური კლიმატის ლოდინზე და გუშინ კონსერვატორიაში, მსმენელის სიმცირის რისკის ფასადაც, გამართა სოლო-კონცერტი.

**"დღეს ჩვენს მუსიკალურ წრეებში ხშირად გაისმის წუწუნი, რომ პიანისტები, ძირითადად,**



*ვალერიან შიუკაშვილი*

**მსხვილი მუსიკალური ფორმებისაკენ მიისწრაფვიან და კამერულ პროგრამას შესაბამის მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ. პიანისტს სურდა, კონცერტზე სწორედ საფორტეპიანო მინიატურებით შედგენილი პროგრამა გამოეტანა,"** - აღნიშნავს ვალერიან შიუკაშვილის პროდიუსერი კომპანია "არტ-იმედიდან". ვალერიან შიუკაშვილი "არტ-იმედის" ერთადერთი ვარსკვლავია კლასიკური მუსიკის სფეროდან და, ალბათ, კომპანიის ერთადერთი ღირებული შენაძენიც.

უკანასკნელად პიანისტმა თავი მოსკოვში ქართული კულტურის დღეების გახსნაზე გამოიჩინა. აქ იგი ისეთი თანავარსკვლავედის გვერდით წარდგა, როგორებიც ლიანა ისაკაძე, ლექსო თორაძე, მაყვალა ქასრაშვილი, ზურაბ სოტკილავა და სხვები არიან. შიუკაშვილმა მოსკოვში, თითქმის, სავიზიტო ბარათად ქცეული ლაღიძის "რონდო-ტოკატა" შეასრულა.

სადღეისოდ მომზადებულია შიუკაშვილის ორი მუსიკალური დისკისგან შემდგარი ალბომიც. ერთი დისკი კონცერტებს ეთმობა. ბეთჰოვენის მე-5 კონცერტი რამოდენიმე წლის წინათაა შესრულებული; ჩანაწერში თბილისის სიმფონიურ ორკესტრს ჯანსულ კახიძე დირიჟორობს. თავის დროზე მაესტრო კახიძე მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შიუკაშვილის ექსტრაორდინარულ ტალანზე საუბრობდა და მას აღმოჩენის პროცესში მყოფ ვარსკვლავს უწოდებდა. მოცარტის მე-17 კონცერტს კი პიანისტი მოსკოვის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ასრულებს ვერონიკა დუდაროვას დირიჟორობით. სწორედ დუდაროვასა და მოსკოვის კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით, მომავალ წელს, იანვარ-თებერვალში შიუკაშვილი მოსკოვში სამ კონცერტს გამართავს (რახმანინოვის სახელობის საკონცერტო დარბაზში, კონსერვატორიის დარბაზში და "რასიაში").

გამოსაშვებად გამზადებული ალბომის მეორე დისკი კი მინიატურებითაა დაკომპლექტებული. მისი ჩაწერა შიუკაშვილმა სულ რამოდენიმე დღის წინ დაასრულა. ამ ჟანრის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულის სადემონსტრაციოდ გუშინდელი კონცერტიც საკმარისი იყო: **"შიუკაშვილი იმხელა ტალანტია, რომ მას ყველაფერი ეპატიება,"** – აღნიშნავდნენ კონცერტის შემდეგ შიუკაშვილის ხანდაზმული კოლეგები. თუმცა, საპატიებელი ახალგაზრდა პიანისტს ნამდვილად არაფერი ჰქონდა. დახვეწილი მანერით, სტილის შეგრძნებით შესრულებული მოცარტის, სკარლატისა თუ შუბერტის მინიატურებით შედგენილი პროგრამა ბოლო წუთამდე დაუზუსტებელი იყო – პიანისტი, განწყობის მიხედვით, კონცერტის მსვლელობისას ადგენდა პროგრამას. განწყობა კი მუსიკოსს, ჩანს, ძლიერ ამაღლებული ჰქონდა. მსმენელს დიდხანს არ სურდა პიანისტის სცენიდან გაშვება. შიუკაშვილმა "ბის"-ზე "რონდო-ტოკატაც" შეასრულა.

ახალგაზრდა პიანისტის გუშინდელმა "მინიატურული პროტესტმა" პოლიტიკური დაძაბულობის მიმართ საკმაოდ ბევრი მუსიკის მოყვარული მიიზიდა კონსერვატორიაში. უახლოეს მომავალში კი შიუკაშვილი მოსკოვური გასტროლებითა და, ასევე, ლონდონში დაგეგმილი კონცერტის მზადებით იქნება დაკავებული.

# გასტროლები ქართულად

### და თბილისობა ამერიკულად

*თბილისობა ჯერ თბილისურად რა არის და, წარმოიდგინეთ ახლა, როგორი შეიძლება იყოს ის ამერიკულ სტილში? მაგრამ, ეს, ალბათ, ნაკლებად აინტერესებთ "ამერიკული თბილისობის" მონაწილეებს; მთავარია, რომ ისინი მიდიან დიდ ამერიკაში (მერე რა, რომ კონცერტი გემზე გაიმართება) უცნობი ორგანიზატორების დაგეგმილ საეჭვო ხასიათის ღონისძიებაზე და ამ ყველაფერს, ჩვეულებრივ, გასტროლებს დაარქმევენ...*

ვერა ნეფარიძე

ბოლო დროს ქართული ესტრადის წარმომადგენლებისთვის ამერიკაში გასტროლები კიდევ ერთი საშუალება გახდა იმისათვის, გვიმტკიცონ, რომ ისინი რაღაც ღირებულს ნამდვილად აკეთებენ. მე, პირადად, სწორედ ამ ქვეტექსტს ვკითხულობ, როდესაც ისინი ასე ამაყად საუბრობენ გასტროლებზე. ჩემი აზრით კი, მათ მიერ საჰაერო სივრცის ასე ხშირად გადასერვა მხოლოდ და მხოლოდ ოკეანისგაღმა ქართული ემიგრაციის სამწუხარო ზრდას (იმედია, არავინ შემომედავება, რომ უცხოეთში გახიზნვა ნამდვილად არ არის ქვეყნისთვის პოზიტიური მოვლენა) უნდა მივაწეროთ და სხვას არაფერს. ესეც ემიგრანტი ქართველებისთვის "ხელის მოთბობის" ერთ-ერთი საშუალებაა. და თუკი ისე გაგრძელდა ჩვენთან ცხოვრება, როგორც აქამდე იყო, ემიგრანტების ამ ბიზნესს, ალბათ, უკეთესი მომავალი ექნება, სამშობლოდან გახიზნული მოქალაქეების ხარჯზე. თუმცა, ჯერჯერობით ფაქტია, რომ ამერიკაში მცხოვრები ქართველებისთვის კონცერტებზე სიარული დიდი ფუფუნებაა. გაიკითხეთ, თუ გნებავთ, რამდენი კაცი ესწრებოდა ბოლო დროს საგასტროლოდ ჩასული ქართველი მეტრების (დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ) კონცერტებს. თუმცა, წარუმატებლობაზე სამშობლოში დაბრუნებული ჩვენი "ვარსკვლავები," რასაკვირველია, არ საუბრობენ ხოლმე - პირიქით...

გუშინ შეერთებულ შტატებში გასტროლიორთა კიდევ ერთი ჯგუფი გაგვეცნო. ესენი არიან: კომპოზიტორები - ოთარ ტატიშვილი და ნუნუ გაბუნია; მომღერლები: თამუნა ამონაშვილი და ქეთა თოფურია. უცნაური გუშინდელ პრესკონფერენციაში (რომელიც ოთარ ტატიშვილის მეუღლის კუთვნილ ვილა "მთიებში" გაიმართა) ის იყო, რომ წამსვლელებმა, თითქმის, ვერაფერი გვითხრეს ღონისძიების ორგანიზატორებზე. "ამ ეტაპზე გაერთიანდა რამდენიმე კომპანია, რომლებიც დამოუკიდებლად აღარ მოქმედებენ. ამ კომპანიებზე ვერაფერს გეტყვით. შემეძლო ტელეფონით დამედგინა, მაგრამ, მართალი გითხრათ, იმის გამო, რომ ჩვენ, შემსრულებლებს უამრავი რამ გვაქვს მოსამზადებელი, ახლა აქედან უნდა გავვარდეთ სტუდიაში, გვინდა, რომ რეპერტუარს რაღაც ახალიც დავამატოთ, მომზადების პროცესში ვართ და ამისთვის ვერ მოვიცალეთ", - არ დაგვიმალა კომპოზიტორმა და შემსრულებელმა ოთარ ტატიშვილმა. ღონისძიების ორგანიზატორები არიან ამერიკაში მცხოვრები ქართველი "საქმოსნები," კერძოდ კი, კომპანიები: "სულიკო", Triangle art, Modern art, Georgian DVD. სწორედ ამ ცალკეული კომპანიების წყალობით, გაიმართა ბოლო დროს ნიუ იორკში სხვადასხვა ქართველი მომღერლისა და უნივერსიტეტელი "მან-სან-კანის" ბიჭების კონცერტები. ამჯერად ამ კომპანიებმა გაერთიანება და ნიუ იორკში მეტად ორიგინალური ღონისძიების – "თბილისობა ამერიკულად" ორგანიზება გადაწყვიტეს.

როგორც გუშინ გვითხრეს ღონისძიების თბილისელმა მონაწილეებმა (რადგანაც, სავარაუდოდ, "თბილისობა ამერიკულად" ამერიკაში მცხოვრებ ქართველ შემსრულებლებსაც წარადგენს), "თბილისობა ამერიკულად" რამდენიმე ნაწილად დაიყოფა; მანჰეტენთან ახლოს, გემზე ქართველი მომღერლების კონცერტი გაიმართება; თბილისელ მუსიკოსებს კი კონცერტზე სათვისტომოს წევრებიც შეუერთდებიან. მათ შორის იქნებიან ამერიკაში მცხოვრები ქართველი კომპოზიტორის - ნათელა იოსებიძის ოჯახის წევრები. კონცერტის გარდა, იგეგმება ქართული სამზარეულოსა და სუვენირების დაგემოვნება-დათვალიერება. ამჟამად ორგანიზატორები აგვარებენ ორგანიზაციულ საკითხებს - თბილისელმა მუსიკოსებმა ნიუ იორკის პრესტიჟულ კლუბებშიც რომ გამართონ კონცერტები. ამერიკიდან დელეგაცია 2 დეკემბერს, ქეთა თოფურიას გარეშე, დაბრუნდება. ქართული ესტრადის ახალგაზრდა წარმომადგენელი შტატებიდან რუსეთის დედაქალაქში მამის მოსანახულებლად ჩავა და მონაწილეობას მიიღებს დაგეგმილ, ქართველი და რუსი მომღერლების "შერეულ" კონცერტში.

# რეპეტიციაზე გათამაშებული ნოველები

### მოძრაობის თეატრი მოძრაობაშია

ნათია ვადაჭკორია

ერთი თვეა, რაც მოძრაობის თეატრი (ხელმძღვანელი გიორგი ვასაძე) მუსიკალური თეატრის შენობაშია განთავსებული. მანამდე დასი რუსთაველზე მდებარე სარდაფის თეატრში ფუნქციონირებდა, მაგრამ გარკვეული პრობლემების შექმნის შემდეგ, შენობის და სარეპეტიციო დარბაზის გარეშე დარჩნენ. დასახმარებლად მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გიგა ლორთქიფანიძეს მიმართეს, რომელმაც დასს არა მხოლოდ სარეპეტიციო დარბაზი გამოუყო, არამედ თეატრის შენობაში განთავსება შესთავაზა, რასაც დასი და მისი რეჟისორი კახა ბაკურაძე სიამოვნებით დათანხმდნენ.

გუშინ მოძრაობის თეატრმა მუსიკალურ თეატრში პრემიერა წარმოადგინა. "ჩუმად! რეპეტიციაა!!!" ერთმოქმედებიანი მიმოდრამა, რომელიც ნოველების – "ამბავი სიყვარულისა", "მხატვარი", "ჩანახატი", "დონ-ჟუანი", "რომეო და ჯულიეტა", "მშვენიერი დილა", "ფაუსტი", "ჩანახატი" და "მოქანდაკე" – კრებულს ასახავს. ყველა მათგანი ერთდროულად ავტორის, რეჟისორის, კოსტუმების მხატვრის და დეკორის შემქმნელის კახა ბაკურაძის მიერაა დადგმული, მუსიკალური გაფორმება გიორგი ბაბალაშვილს ეკუთვნის. მსახიობები რუსო სავანელი, ლაშა რობაქიძე, სოფიო გვრიტიშვილი, გიორგი ღონღაძე და სხვანი თავადვე არიან ქორეოგრაფებიც და შემსრულებლებიც. მართლაც განსაკუთრებულად შეასრულა რუსო სავანელმა "ჩანახატი", კახა ბაკურაძის მიერ პლასტიკაში განსახიერებულმა მუსი-



*მოქანდაკე და მისი ნაქანდაკარი*

კოს დათო ოძელაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ნოველამ, შაკო გოგოლაძის და სოფო გვრიტიშვილის პლასტიკურმა "მოქანდაკემ" მაყურებელთა განსაკუთრებული აპლოდისმენტები გამოიწვია.

"ჩუმად! რეპეტიციაა!!!" მართლაც რეპეტიციას ჰგავს, მთელი წარმოდგენის მანძილზე, რეჟისორი კახა ბაკურაძე სცენაზე დგას, ერთგვარად ეხმარება კიდეც მსახიობებს და თან თითოეულ ნოველას თავად წარადგენს. სპექტაკლის მსვლელობისას, თუ რამე არ მოეწონა, მიმოდრამას აჩერებს და ამა თუ იმ სცენის გამეორებას ითხოვს. მოკლედ, ყველაფერი უშუალოდ, უკომპლექსოდ და ლამაზად - დათო ოძელაშვილის, ენიო მორიკონეს, ერიკ კლაპტონის, ჟან ჟარეს და სხვა კომპოზიტორთა მშვენიერი მუსიკის ფონზე მიმდინარეობს.

"ჩუმად! რეპეტიციაა!!!"- ს გარდა, მოძრაობის თეატრს რეპერტუარში კიდევ ორი სპექტაკლი აქვს - "მიმიკრია" და "რიჩარდ III". რეჟისორ კახა ბაკურაძის თქმით, დასი მუსიკალური თეატრის მსახიობებთან ერთად ახალი პროექტის განხორციელებას აპირებს. მიუზიკლი ბრეხტის "სამგროშიანი ოპერის" მიხედვით, მუსიკალური თეატრის მსახიობების და მიმოდრამის ოსტატების ერთგვარი სინთეზი იქნება. წარმოდგენა, სავარაუდოდ, სამ თვეში გაიმართება.

ამას გარდა, დეკემბრის შუა რიცხვებში დასს ჰოლანდიაში პანტომიმის თეატრების ფესტივალზე გასტროლები ელის, სადაც, სავარაუდოდ, "მიმიკრიას" განასახიერებენ. კახა ბაკურაძის თქმით, ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება და იგი სულაც არ აპირებს იმის მტკიცებას, რომ საოცარ ფესტივალზე მიემგზავრებიან და ისინიც ყველაზე საუკეთესოები არიან, როგორც ბევრს სჩვევია ჩვენში.

და ბოლოს, მოძრაობის თეატრის დასი მოძრაობის შეჩერებას ნამდვილად არ აპირებს. **"მუშაობის კიდევ ერთი წელი და მართლა სამაგალითო დასი ვიქნებით. თეატრი განვითარების გზაზეა და წინ ბევრი საინტერესო გველის, ვნახოთ, დრო გვიჩვენებს"** – ასეთია რეჟისორ კახა ბაკურაძის ოპტიმისტური განწყობა.

# გარდაიცვალა მაიკლ კემენი

ამერიკელი კომპოზიტორი, დირიჟორი და არანჟირების ოსტატი მაიკლ კემენი 18 ნოემბერს ლონდონში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. მუსიკოსი ბოლო წლებში გაფანტული სკლეროზით იყო დაავადებული. 55 წლის მუსიკოსის უეცარი სიკვდილის მიზეზი გულის შეტევაა. მაიკლ კემენი ცნობილი იყო, როგორც სან ფრანცისკოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი.

კემენი ნიუ იორკში დაიბადა. 60-იანი წლების ბოლოს იგი როკ-მუსიკოსებთან თანამშრომლობდა, პარალელურად კი, მოღვაწეობდა აკადემიური მუსიკის სფეროში. 70-იანი წლების დასაწყისში იყო დევიდ ბოვის ტურნეს (საკონცერტო პროგრამა Diamond Dogs) მუსიკალური დირექტორი. იმ ცნობილ მუსკოსებს შორის, ვისთანაც კემენი გაორკესტრებაზე მუშაობდა, არიან: ერიკ კლეპტონი, ჯორჯ ჰარისონი, "ქუინი", "პინქ ფლოიდი", ბობ დილანი და სხვები. ბოლო დროს კემენმა ითანამშრომლა ამერიკულ როკ-ჯგუფ "მეტალიკასთან" ალბომის - S & M-ის ჩაწერისას.

მაიკლ კემენი ნაყოფიერი კინოკომპოზიტორიც იყო. მისი მუსიკა ჟღერს უამრავ ფილმში, მათ შორის - "ბრაზილია", "სასიკვდილო იარაღი", "კერკეტი კაკალი". ხანგრძლივი შემოქმედებითი კარიერის განმავლობაში მუსიკოსი რამდენჯერმე იყო ნომინირებული "ოსკარზე" და აღებული აქვს რამდენიმე "გრემი".

# კიდევ ერთი ვან გოგი

ახლახან ჰოლანდიის ერთ-ერთი მუზეუმის წარმომადგენლებმა ვან გოგის სურათის აღმოჩენის შესახებ აუწყეს საზოგადოებას. ნამუშევარი კერძო კოლექციაში ინახებოდა მას შემდეგ, რაც უდიდესი მხატვრის დედამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ის მეიჯარეს გადასცა. სურათი "სახლი ჰააგაში" ქალაქ ბრედის მუზეუმში ჩატარებული ძიების შემდეგ იპოვეს. როგორც მუზეუმიდან იტყობინებიან, ვან გოგმა უამრავი სურათი ბრედში დედას დაუტოვა. აღმოჩენილი ნამუშევარი სწორედ ერთ-ერთი მათგანია. ფერწერული ტილო სხვა დიდ კოლექციასთან ერთად ინახებოდა. ეს კოლექცია კი ერთ-ერთი ფანატიკოსი ჰოლანდიელი კოლექციონერის კუთვნილებაა.

# შექსპირის ნიჭიერების დასამტკიცებლად

ლინგვისტები კვლავ დაინტერესდნენ უილიამ შექსპირის ავტორობის შემოწმებით. ავსტრალიელი და ამერიკელი სპეციალისტები გარკვეული მეთოდიკითა და კომპიუტერის დახმარებით, შეეცდებიან შექსპირის დრამების, ტრაგედიებისა და პოემების ანალიზს, რათა აღმოაჩინონ გამოყენებული სიტყვების მსგავსება და განსხვავება.

უახლოესი ორი წლის განმავლობაში ლინგვისტები ამ გზით დაამტკიცებენ, თუ რომელი ტექსტები ეკუთვნის, მართლაც, შექსპირს, რამდენი ნაწარმოები დაწერა დიდმა დრამატურგმა და პოეტმა სხვა ავტორების ზემოქმედებით და როგორია შექსპირის წვლილი სხვა მწერლებთან ერთობლივი ტექსტების შექმნაში.

# "მეტალიკა" მულტფილმებზე გადავიდა

ამერიკული როკ-ჯგუფის "მეტალიკას" წევრები: გიტარისტი ჯეიმს ჰეტფილდი და დრამერი ლარს ულრიხი მონაწილეობას მიიღებენ "დისნეის" ახალი მულტიპლიკაციური ფილმის გახმოვანებაში. მუსიკოსების ხმას საზოგადოება მოისმენს სერიალის "დეივ-ბარბაროსის" ერთ-ერთ ეპიზოდში. 11-წუთიანი სერიის პრემიერა ამერიკულ საკაბელო არხზე - "დისნეი", მომავალი წლის იანვარში გაიმართება. რაც შეეხება ამერიკულ როკ-ჯგუფს, მისი წევრები მულტიპლიკაციური ფილმების შემქმნელებთან აქამდეც თანამშრომლობდნენ: მუსიკოსების კარიკატურები გამოყენებული იყო მულტფილმში "საუთპარკი".

# კლინტ ისტვუდის მუსიკალური საიდუმლო

თამარ ბაბუაძე

...მსოფლიო კულტურის სფეროში კი მოვლენები მშვიდობიანად ვითარდება. იქ მსახიობებს მთავრობის მცდარი ქმედებების გამო სტენოკარდიული შეტევა არ ემართებათ; იქ ხელოვანები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არ მონაწილეობენ; იქ ბოლოს კულტურის მოღვაწეებმა ხმა მარტში, ერაყული ომის დროს აიმაღლეს; ეს პროტესტიც იყო არა ლოკალურ-ნაციონალური, არამედ გლობალური მშვიდობის იდეით ნაკარნახევი.

ერთი სიტყვით, მარტის რევოლუციური გამოღვიძების შემდეგ მსოფლიო კულტურის სფეროში ყველაფერი ძველებურად მიდის – წყნარად, წესისა და რიგისამებრ:

ბი-ბი-სი მუსიკალურ ცენტრს აგებს; შტატებში მარკ ტვენის ახალ სახლ-მუზეუმს ხსნიან; დუბლინში ირლანდიური ლიტერატურული პრიზის ნომინანტთა სიას აქვეყნებენ; "ფლეიბოი" 50 წლის იუბილესთვის ემზადება და "კრისტის" აუქციონის გამართვის წინ ისტორიულ ფოტო-მასალას აქვეყნებს; რეპის ფანები ახალ ფილმს "თუ ფაქი: აღდგომას" უცქერენ... ანუ, კულტურის სფერო, ძველებურად, ყველა ტიპის გემოვნების ადამიანს სთავაზობს სერიოზულ ინტელექტუალურ თუ მარტივად, სნობურ საკვებს.

აქ, ჩვენთან კი მთელი ერი ისე აღელვებული ვართ, რომ, ალბათ, ვერც წარმოგვიდგენია, ოდესმე თუ შევძლებთ ასე – "წესისა და რიგისამებრ" ცხოვრებას. მით უფრო, რომ ამგვარი ცხოვრებისგან ჯერ ერთი დიდი ეპოპეის დასასრული და მეორე უფრო მნიშვნელოვანის დასაწყისი გვაშორებს.

თუმცა, მე მაინც მინდა, ჩემი ბოლო ხანს შეთავსებული ფუნქცია შევასრულო: თან ბოდიში მოგიხადოთ ამ ლირიკული გადახვევისთვის (თუ უფრო შესავლისთვის) და თან განტვირთვის მიზნით, დასავლური კულტურის სფეროდან ერთი ამბავი მოგიყვეთ.

ამბავი კლინტ ისტვუდზეა, ოღონდ ეს მაინც არ არის მისი ჩვეულებრივი ამბავი – სპაგეტი ვესტერნებით, ბოროტი, საზიზღარი და კარგი გმირებით, თუ მისტიკური მდინარეებით (ასე ჰქვია ისტვუდის ბოლო ფილმს) სავსე. დღეს ვისაუბრებთ კლინტ ისტვუდზე, როგორც მუსიკოსზე.

ის 73 წლისაა. 40 წელია, კინოშია. ამ ხნის განმავლობაში წარმოუდგენელი წარმატებით იცვლიდა მსახიობის, რეჟისორისა და პროდიუსერის ფუნქციებს. სფერო, რომელშიც ის ღიად, ყველაზე ნაკლებად ჩანდა მუსიკა გახლდათ. თუმცა, როგორც ირკვევა, ყველაზე დიდი გრძნობები სწორედ მუსიკასთან აკავშირებდა. ამის გამოცნობა, პრინციპში, მისი ფილმებიდანაც შეიძლებოდა – კომპოზიციებს თავისი სურათებისთვის წინათაც ქმნიდა. მაგრამ უფრო თამამი განაცხადი მუსიკაში მან ახლახან გააკეთა – თავისი ბოლო ფილმის "მისტიკური მდინარის" მთელი თანმხლები ალბომი თავად დაწერა. ერთი სიტყვით, სურათით, რომელსაც "ოსკარის" ერთ-ერთ ფავორიტად ასახელებენ, კლინტ ისტვუდმა სააშკარაოზე გამოიტანა თავისი მიჩქმალული ჰობი – მუსიკა. ჩვენც დღეს მას სწორედ ამ კუთხით გავიცნობთ.


კლინტ ისტვუდი – "კარგი"



"მისტიკური მდინარე" შესანიშნავი მუსიკისთვის "ოსკარის" სავარაუდო ნომინანტია

მსახიობის თითქმის ყველა ბიოგრაფში წერს: რომ არა კინოკარიერა, ისტვუდი აუცილებლად მუსიკოსი გახდებოდაო. ამ სურვილის საფუძველი ბავშვობიდან მოდის. სკოლის დამთავრების შემდეგ ის ბარებსა და კლუბებში ჯაზპიანისტად მუშაობდა, პარალელურად უსმენდა ჩარლი პარკერისა და თელონიუს მონქის ცოცხალ კონცერტებს. მეგობრობდა ჰენრი მანჩინისთან, რომლის სახელობის ჯილდოც ამერიკული მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ისტვუდმა წელს, აგვისტოში მიიღო.

"მისტიკურ მდინარემდე" კი ისტვუდის მუსიკისადმი სიყვარული ყველაზე ღიად მის 1988 წლის ფილმში "ბერდი" გამოიხატა. ფილმი მთლიანად ჩარლი ("ბერდი") პარკერის ცხოვრებას მიეძღვნა. მიმომხილველები ამ სურათის შესახებ ამბობდნენ, თვითონ ფილმი დიდი არაფერი, მაგრამ მუსიკა შესანიშნავიაო.

როგორც ახლა ირკვევა, თავისი წვლილი ისტვუდს ამ შესანიშნავი მუსიკის შექმნაშიც შეუტანია. ახლახან ჟურნალ "ბილბორდთან" საუბრისას ხომ თვითონვე აღიარა, მუსიკას ფილმებისთვის ხშირად მე ვწერდიო. ასე რომ, გამოდის, თითქმის ყველა კინოსაძიებელში ისტვუდის ფილმების მუსიკის ავტორად დასახელებული ლი ნიჰაუზის მიღმა რეჟისორის უჩინარი, მუსიკალური "ხელიც" უნდა ვეძიოთ. აი, რას ამბობს თვითონ:

"ყოველთვის სერიოზულად ვწერდი მუსიკას-მეთქი, ვერ გეტყვით. უბრალოდ, ხანდახან ჩემთვის ვერთობოდი, მერე კი ლენი ნიჰაუზს გადავულოცავდი საქმეს და ნებას ვრთავდი, მთავარი გმირი თვითონ ყოფილიყო. "მისტიკური მდინარე" პირველი ფილმია, რომლის მუსიკაც მთლიანად მე დავწერე. ლენიმ შემდეგ არანჟირება გაუკეთა და ბოსტონის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა კიდეც".

საკუთარი მუსიკალური შემოქმედებიდან კი ისტვუდი რამდენიმე ძველ თემას გამოყოფს: "დიდი ფრენის ბავშვი" 1993 წლის ფილმიდან "სრულყოფილი მსოფლიო", Doe Eyes 1995 წლის ფილმიდან Bridges of Madison County და "კლაუდიას თემა" 1992 წლის შედევრიდან (ასე მოიხსენიებს მას "ბილბორდი") Unforgiven.

ამ კომპოზიციებიდან ნაწყვეტების მოსმენა ინტერნეტ-სავაჭრო ქსელში "ამაზონი" თქვენც შეგიძლიათ. პირადად მე კი, მათი მოსმენისას დიდი რამ აღმოვაჩინე – მრისხანე სახის მარადიული კოვბოი, თურმე, ძალიან სევდიან და რომანტიკულ მელოდიებსაც თხზავს. თავად რეჟისორი კი დასძენს, რომ მისი მუსიკა ყველა იმ დიდი კომპოზიტორის გავლენას განიცდის, ვისთანაც მეგობრობდა და მუშაობდა: ლალო შიფრინის, ჰენკ მანჩინის, ლენი და ჯერი ფილდინგების...

თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, ისტვუდის მუსიკალურ კვალს მის ფილმებში კიდევ მრავალგან წავაწყდებით. მაგალითად, "მისტიკურ მდინარესთან" ერთად, ერთ-ერთი ასეთი ბოლო "კვალია" მარტინ სკორსეზეს პროექტი, "მარტინ სკორსეზე წარმოგიდგენთ საუკეთესო ბლუზს". ფილმზე სკორსეზესა და ხუთ სხვა ცნობილ რეჟისორთან ერთად კლინტ ისტვუდიც მუშაობდა. მან ფილმის ერთი სერია Piano Blues გადაიღო, რაშიც ჯაზსა და ბლუზში ბავშვობიდან გამოწვრთნილი სმენა დიდად დაეხმარა.

რაც შეეხება "მისტიკურ მდინარეს", მიმომხილველები მას "ოსკარის" მთავარ ფავორიტად ფილმის თანმხლები ალბომების კატეგორიაში მოიხსენიებენ. ანუ, თუ საუკეთესო მუსიკისთვის ფილმი მართლაც დაჯილდოვდა, ეს კლინტ ისტვუდის უდიდესი მუსიკალური გამარჯვება იქნება.

და, ბოლოს, მოგახსენებთ, რომ ისტვუდის მუსიკალური ამბიციები სრულყოფილად მისმა ვაჟმა განახორციელა. კაილ ისტვუდი დღეს ცნობილი ბასისტია და საკუთარ ჯაზ-კვარტეტს ხელმძღვანელობს. სხვათა შორის, მამის ბოლო ფილმში მისი ინსტრუმენტის ბგერებიც გაისმის.

ძვირფასი ქვები

# უნიკალური ბრილიანტები ჟენევაში


ბრიტანული საოცრება


მარის საფირონი

ჟენევის სოთბის აუქციონზე ამ კვირაში ბრიტანეთის სამეფო კარის ყველაზე დიდი, თეთრი და სრულყოფილი (შეიძლება ითქვას, წმინდა სისხლის) ბრილიანტი (internally flawless) იქნება გამოტანილი. წინასწარი ვარაუდით, იგი აუქციონის სტუმართა ყველაზე დიდ ინტერესს გამოიწვევს. ბრწყინვალე კოსტუმებში და ბეწვის ქურქებში გამოწყობილი მაყურებელთა კოჰორტა მას თვალს ვერ მოაცილებს. რომელიმე მათგანი, სავარაუდოდ, დანანებით ამოიოხრებს – "რა სამწუხაროა, რომ ასე ძვირი ღირს".

კაკლისოდენა ქვა, 103,83 კარატს (20,7 გრამი) იწონის და მისი ოფიციალური ფასი 11-დან 14 მილიონ შვეიცარიულ ფრანკამდე (7,3 და 9,3 მილიონი ევრო) მერყეობს. თუმცა, სოთბის ჩაქუჩის ქვეშ, მისმა ფასმა: შესაძლოა, აუქციონზე საიუველირო ნაწარმის ფასთა რეკორდიც მოხსნას.

"1995 წელს, ამასთან შედარებით, ოდნავ პატარა ბრილიანტი გავყიდეთ, რომელიც 20 მილიონ შვეიცარიულ ფრანკად (13,4 მილიონი ევრო) იყო შეფასებული", იხსენებს შვეიცარიული სოთბის პრეზიდენტი გი ჯენინგსი. საუბარია 100,10 კარატიან Star of the Season-ზე, რომელიც ჟენევაში 25 წუთში გაიყიდა. მისი შემცვლელი სამი წლის წინ, სამხრეთ აფრიკაში, Steinmetz-ის ჟენეველმა ბრილიანტოლოგების ჯგუფმა აღმოაჩინა. თვრამეტთვიანი მუშაობის შედეგად, მას ბალიშის ფორმა მისცეს და მრავალ პრესტიჟულ ექსპოზიციაში მიაღებინეს მონაწილეობა. ბრილიანტის ახალ მეპატრონეს პატივი ექნება საკუთარ ნივთს ახალი სახელი დაარქვას.

ამ განსაკუთრებული ბრილიანტის გაყიდვა ჟენევისთვის, როგორც საიუველირო ნაწარმისა და საუკეთესო საათების ექსპერტი დედაქალაქისთვის, ყველაზე საამაყო ფაქტია.

ამ კვირაში ჟენევის კრისტის აუქციონიც არ დარჩენილა ვალში და თავის "სამსჯავროზე" უზარმაზარი საფირონი გამოიტანა, რომელიც 478 კარატიანია და ოდესღაც რუმინეთის დედოფალს მარის ეკუთვნოდა. კვერცხის ფორმის ეს უნიკალური საფირონი 1913 წელს კარტიემ აღმოაჩინა. აუქციონზე იგი 1,2 მილიონ დოლარად იყო შეფასებული (სავარაუდოდ, მდიდარნი მდიდართა შორის ანუ ძლიერნი ამა ქვეყნისანი თუ შესწვდებიან ამგვარ სანუკვარ ნივთებს) და სხვათა შორის პატრონიც გამოუჩნდა. აუქციონის მიმდინარეობისას, ანონიმმა მყიდველმა საფირონი 1,49 მილიონ დოლარად (1,24 ევრო) შეიძინა. სასტუმრო "რიჩმონდის" დარბაზში მოწყობილ ამ სანუკვარ სანახაობას ორასამდე დამსწრე ჰყავდა. აუქციონზე გამოტანილ საიუველირო ნაწარმთა საერთო შემოსავალმა 25,19 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც კრისტის პრეზიდენტის თქმით, ნამდვილი რეკორდია.

გარდა ღირსშესანიშნავი ბრილიანტისა, სოთბის აუქციონი ლუიზა ფანტი მელონის კოლექციასაც წარმოადგენს, რომლის "კარტიეს" ფირმის გულსაბნევი 5-დან 7,2-მდე მილიონ შვეიცარიულ ფრანკს აღწევს და ასევე, 50-იანი წლების ცნობილი სტილისტის – სიმონეტა კოლონას სამაჯურებს.

სამი უნიკალური, ყველაზე ძვირფასი და ყველაზე თეთრი ბრილიანტი - Star of the Season (100,10 კარატი), Mouawad Spendour (101,84 კარატი) და Star of Happiness (100,36 კარატი), ჟენევის სოთბის აუქციონზე წარსულში უკვე გაიყიდა.

# გლოვა გრძელდება - კონკურსი დაღუპულთა მემორიალისათვის

ნინო ჭანიშვილი

11 სექტემბრის ტერაქტს ფუჭად არ ჩაუვლია. ნიუ იორკში ცათამბჯენებისგან გათავისუფლებულმა ტერიტორიამ და ახალმა თემატიკამ (დაღუპულთა ხსოვნა) ახალი სამუშაო და დიდი გასაქანი მისცა მსოფლიოს წამყვან არქიტექტორებს და დიზაინერებს. ცნობილმა არქიტექტორებმა (დანიელ ლიბესკინდმა, ნორმან ფოსტერმა) კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი არნახული შესაძლებლობები. როგორც მოგეხსენებათ, გამოცხადებულ არქიტექტორულ კონკურსზე ნიუ იორკის ახალი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის პროექტზე გერმანელმა არქიტექტორმა დევიდ ლიბესკინდმა გაიმარჯვა.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, თუ როგორი არქიტექტორული სახე ექნება ახალ სავაჭრო ცენტრს, "ქვედა მანჰეტენის განვითარების კორპორაციამ" 2003 წლის აპრილში გამოაცხადა კონკურსი მემორიალის დიზაინზე. მემორიალმა უნდა ასახოს არამარტო 2001 წლის 11 სექტემბერს დაღუპულთა, არამედ 1993 წლის 26 თებერვალს სავაჭრო ცენტრის დაბომბვის დროს დაღუპულთა ხსოვნაც. გრანდიოზულ დიზაინერულ კონკურსში მონაწილეობა 49 ქვეყანამ მიიღო. ჟიურიმ წარმოდგენილი 5,201 პროექტიდან 8 ფინალისტი გამოავლინა. მემორიალი დანიელ ლიბესკინდის მიერ შექმნილ არქიტექტორულ კომპლექსში განთავსდება. გუშინ გამარჯვებული 8 ფინალისტის პროექტები ქვედა მანჰეტენზე, "ზამთრის ბაღში" გამოფინეს და დაღუპულთა ნათესავებს მათი შეფასების საშუალება მისცეს.

ზესახელმწიფოს ზეყურადღება დაღუპულთა ხსოვნის მიმართ ერთი ნიშნით ძალიან ჰგავს სამამულო ომის დასრულების შემდეგდროინდელ საბჭოეთს. სტალინმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე არ დაიშურა ომის მოსაგებად. მაგრამ, სახელოვანი დიქტატორი არც დაღუპულთა ხსოვნას "ივიწყებდა" ოდესმე. განსხვავება თანამედროვე ამერიკასა და ყოფილ საბჭოეთს შორის იმაშია, რომ საბჭოეთში ომში დაღუპულთათვის არნახულად უგემოვნო მემორიალურ ქანდაკებებს დგამდნენ. თანამედროვე ამერიკას კი ულტრათანამედროვე დიზაინი ძალიან უყვარს.

თემატიკას ფინალში გასული ყველა პროექტი პასუხობს - დაღუპულთა სახელების შემცველი კედელი, არაიდენტიფიცირებული ადამიანების სამარხი (საბჭოური უცნობი ჯარისკაცის ანალოგია), სამლოცველო, სპეციალური ადგილი დაღუპულთა ნათესავებისთვის. ერთ-ერთ პროექტში სახელწოდებით Supsending Memory ყოველი დაღუპული ადამიანი მინის სვეტით არის განსახიერებული, რომელზეც დაღუპულის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტებია წარმოდგენილი. ჟიურის მიერ გადარჩეული რვავე მემორიალი, დიზაინის თვალსაზრისით, სრულიად უჩვეულო და არაორდინარულია. ნებისმიერი პროექტის გამარჯვების შემთხვევაში დაღუპულთა ნათესავებს თანამედროვე დიზაინით და ახალი ტექნოლოგიური მიღწევებით ტკბობა გარანტირებული ექნებათ. (ამაში თავად დარწმუნდებით თუ "ქვედა მანჰეტენის განვითარების კორპორაციის" საიტს renewnyc.com-ს) ნახავთ.

"ჩვენ ახლა იმ ეტაპზე ვართ, როცა იმედი გაგვიჩნდა" – უთხრა "ესოშიეთიდ პრესს" მონიკა იკენმა, რომლის მეუღლე მაიკლი სავაჭრო ცენტრის აფეთქების დროს დაიღუპა – "ყოველ წარმოდგენილ დიზაინს შეჰყავხარ საკრალურ, სულიერ და მშვიდობიან სივრცეში..."

თავად დანიელ ლიბესკინდი, რომელიც "ტყუპების" ადგილას 541 მეტრი სიმაღლის კოშკს აღმართავს, ჟიურის მუშაობით კმაყოფილია. მან ჟიურის მიერ შერჩეული ყველა პროექტი მოიწონა, "მე აღფრთოვანებული ვარ ჟიურის მუშაობით, ყველა პროექტი მგრძნობიარე და არტისტულია. ახლა ყველანი ჟიურის საბოლოო გადაწყვეტილებას ველოდებით". გამარჯვებული დიზაინერის ვინაობა წლის ბოლოს გამოცხადდება.


"სინათლის ბაღი" - 11 სექტემბერს დაღუპულთა მემორიალის ერთ-ერთი პროექტი

# ვან კლიფ და არპელის ედემი...

ანუ ზაფხულის ღამის სიზმარი


ბრილიანტის ყელსაბამი.


ფერიების დედოფალი.

ყველა ცნობილი იუველირის მსგავსად, "ვან კლიფ და არპელის" ნამუშევრებსაც თავისი უნიკალურობით ოცნების ქვეყანაში გადავყავართ, რეალურის და ირეალურის, ვირტუალურის და კონკრეტიკის საზღვარზე. თითქმის ორი წელია, რაც "ვან კლიფ და არპელის" მაღაზიის მესვეურები სხვადასხვა უნიკალურ და განსაკუთრებულ ნივთებს საგამოფენოდ ამზადებენ. 75 წლის მანძილზე რუდუნებით ნაკეთები და შეგროვებული სხვადასხვა ფორმის და ხარისხის ნამუშევრები, ამჯერად "ვან კლიფ და არპელის" საიუველირო სახლის დარბაზშია გამოფენილი. ერთი შეხედვით მიხვდებით, რომ მათი შემქმნელები სამკაულებს ელეგანტურობას და ფრანგულ კლასიციზმს სულივით შთაბერავდნენ.

უილიამ შექსპირი "ზაფხულის ღამის სიზმარში" წერდა – "ველის კურთხეულ ვარდებს ფერია ყველგან აფრქვევდა". "ვან კლიფ და არპელის" საიუველირო კოლექცია არა მხოლოდ დიდი მწერლის ნაწარმოების მიხედვითაა დასათაურებული, არამედ, კონკრეტიზებულია ოქროში, ბრილიანტებში, სხვადასხვა ფერის საფირონებში, და ნატიფ ქვებში. ლეგენდა, ედემი და ჯოჯოხეთი, ოცნება ელფებით და ფერიებით დასახლებულ სამყაროზე – უდავოდ ამგვარი განცდები აწუხებდათ ვან კლიფს და არპელს სამკაულების შექმნის პროცესში.

ამ კოლექციის რეალიზებისთვის, საიუველირო სახლის მესვეურთათვის ორი წლის სამუშაო აუცილებელი იყო, რათა 52 სამკაულისგან შემდგარი გამოფენის ნახვისას, დამთვალიერებელს უმაღლესი ხარისხის ფრანგული საიუველირო ნაწარმის ყველა ფილიგრინული ხაზი შეემჩნია. მაგალითად, ყურეზე დასამაგრებელი კლიპსი, რომელიც შესახედავად ფერიების დედოფალს ჰგავს, ვარდისფერი ბრილიანტებით და ხელში ჯოხითაა აღჭურვილი.

ვან კლიფ და არპელის ნამუშევრები იმითაც არის განსაკუთრებული, რომ თითოეული მათგანი ერთადერთ ეგზემპლარს წარმოადგენს. მათ შორისაა - 1951 წელს შექმნილი ყელსაბამი - la Minaudiere, საღამოს პატარა ჩანთა - თეთრ ოქროზე დამაგრებული ონიქსებით და ბრილიანტებით, Caresse d'Eole (ეოლის ფერება), Amour en cage (სიყვარული გალიაში), Violina (ვიოლინა), l'arbre aux Songes (სიზმრების ხე) და სხვა. ყველა ეს ფერიული დასახელება ყელსაბამს, სამაჯურს, საყურეს ან სხვა რომელიმე მოსართავს წარმოადგენს.

ამ უნიკალური ეგზემპლარების გვერდით უფრო ხელმისაწვდომი სამკაულებიცაა გამოფენილი. საიუველირო ნაწარმთა კოლექცია ჯერ პარიზში იქნება წარმოდგენილი, შემდეგ ლოს ანჯელესში და ჰონ კონგში გაემგზავრება, ხოლო 2004 წლის დასაწყისში ისევ სამშობლოში დაბრუნდება.

ფორმულა 1

# "შუმი" ყველაფერზე


თავისუფალ დროს შუმახერი კარტინგით ერთობა

"ფერარის" გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი ცდილობს, შვებულება აზრიანად გამოიყენოს - თავისუფალი დრო ახლობლებისა და მეგობრების წრეში გაატაროს. თუმცა, მაინც ვერ ისვენებს და შიგადაშიგ საქესაც უჯდება. ცოტა ხნის წინათ იყო მშობლიურ კერპენში, სადაც საკუთარ გულშემატკივრებს კარტინგში გაეჯიბრა. მანამდე, დიდი სურვილის მიუხედავად, "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთობლივ ვარჯიშშიც მიეღო მონაწილეობა, ექიმთა დაჟინებული თხოვნით, განზრახვაზე უარის თქმა მოუხდა. ფეხბურთისადმი შუმახერის სიყვარული ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ამჯერად მუხლზე მიღებული მსუბუქი ტრავმის გამო ექიმები შეუვალნი აღმოჩნდნენ. თუ არ დაგვიჯერებ, შესაძლოა, სამეფო რბოლებთან კარგა ხნით გამოთხოვება მოგიხდესო. "შუმისაც", სხვა რა გზა ჰქონდა, რჩევა ყურად იღო, მაგრამ თავშესაქცევს მაინც მიაგნო. როგორც უკვე ვთქვით, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა კარტინგში მიიღო მონაწილეობა. მერე კერპენში სტუმრობა და შთაბეჭდილებები სხვებსაც გაუზიარა, ამასთან, საფეხბურთო ტრავმასაც შეეხო.

"მშვენიერად გავატარე დრო კერპენში, ჩემს სამშობლოში, სადაც ყოველთვის არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს. შევხვდი მამაჩემსა და ახლობელ-მეგობრებს. კარტით ვიქროლე, გულშემატკივრებს ვემუსაიფე.

რაც შეეხება მუხლის ტრავმას, ეს ცოტა გადაჭარბებულია. სინამდვილეში უმნიშვნელოდ ვიტკინე ფეხი. სიტყვა "ტრავმაც" კი გადაჭარბებულად ჟღერს. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, უბრალოდ, გარკვეული დროით ფეხბურთისგან უნდა დავისვენო".

ფაქტია, შუმი საკუთარი შვებულებით კმაყოფილია, თუმცა, იმასაც აღიარებს, რომ მუშაობის დაწყებას მოუთმენლად ელის. მიუხედავად ამისა, გადაწყვიტა, წლეულს "ფერარის" ბოლო ტესტირებებში მონაწილეობა მაინც არ მიიღოს. როგორც გერმანელი აცხადებს, ხანგრძლივი დასვენება მომავალ სეზონში წარმატების საწინდარია.

აქვე გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც კერპენში შუმახერს ჩამოართვეს:

**- ექვსი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მეექვსე ტიტულს დაეუფლეთ. გაათვითცნობიერეთ თუ არა, რომ ფანტასტიკური რეკორდი დაამყარეთ?**

- საბოლოო გათვითცნობიერებამდე გარკვეული დროა საჭირო. ახლა უკვე ვხვდები, რაც მოხდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მეექვსე ტიტულის აღმნიშვნელი ზეიმისას არავითარი გვერდითი მოვლენები არ ყოფილა – არასდროს არ დამილევია იმდენი, რამდენიც სუძუკაზე.

**- ახლა 2004 წლის სეზონისთვის აკუმულატორს მუხტავთ?**

- დიახ. ახლა ვაკეთებ იმას, რაც სიამოვნებას მგვრის. მხოლოდ ჩემი "ფერარით" არ დავქრი. თუმცა, მოუთმენლად ველი მუშაობის დაწყებას. ამდენი დასვენებით დავიქანცე კიდეც.

**- "ფერარის" ახალ ბოლიდს როდის ვიხილავთ?**

- თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, ის იანვრის ბოლოს გამოჩნდება. საერთოდ, ბევრი სიახლე გვექნება.

**- ჩემპიონის ტიტულის მეშვიდედ დაუფლების შანსს როგორ აფასებთ?**

- დარწმუნებული ვარ, გაისად მძიმე ორთაბრძოლები გველის. მძიმე სეზონი იქნება, მაგრამ 2003 წლის სეზონშიც ყველაფერი ზუსტად ასე იყო. თუმცა, ჩვენ, რა თქმა უნდა, დანარჩენ გუნდებზე ძლიერები ვიქნებით.

შუმახერს "უილიამსის" კოლუმბიელი პილოტის ხუან პაბლო მონტოიას "მაკლარენში" გადასვლის თაობაზეც ჰკითხეს. კერძოდ, შეექმნება თუ არა "უილიამსს" პრობლემები იმის გამო, რომ ერთ წელიწადში მონტოია "მაკლარენში" გადავა: "არა მგონია. ამ საქმეში ყველას დიდი გამოცდილება აქვს. აშკარაა, უჩვეულო სიტუაციის მოწმენი გავხდით, თუმცა, მონტოიას "მაკლარენში" გადასვლა მოულოდნელობა არ გახლავთ".

სხვათა შორის, მონტოიას ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს ორიოდე დღის წინათ მაკლარენელი კიმი რაიკონენიც გამოეხმაურა. ფინელმა პილოტმა გულგრილად თქვა კიდეც, რომ მომავალი მეწყვილის სახელი მისთვის არაფერს ნიშნავს. თუმცა, აინტერესებს, რა მოხდება, როგორ განვითარდება მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ მონტოიას ჩვენთან გადმოსვლა პირადად ჩემზე არავითარ გავლენას არ მოახდენსო. გუნდთან ერთად კვლავაც ძველებურად ვიმუშავებ და, ვინც არ უნდა იყოს ჩემი თანაგუნდელი, ყველანაირად ვეცდები, კოლეგა დავამარცხოო.

ფეხბურთი

# "ლატვიის ოქროს შვილებს" თურქებიც ულოცავდნენ

## ევროპის ჩემპიონატის მონაწილე 16-ვე გუნდის ვინაობა გარკვეულია

აკა ტონია

*გუშინწინ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის განმეორებითი მატჩები და ტურნირის მონაწილე უკანასკნელი ხუთი გუნდიც გამოვლინდა. სენსაციას ვერც ამჯერად „გადავურჩით" – შინ, მინიმალური ანგარიშით გამარჯვების შემდეგ, ლატვიამ თურქეთთან განმეორებითი მატჩი ფრედ დაასრულა და ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.*

| | | |
|---|---|---|
| **ჰოლანდია** – შოტლანდია | 6:0 | (0:1) |
| სლოვენია – **ხორვატია** | 0:1 | (1:1) |
| ნორვეგია – **ესპანეთი** | 0:3 | (1:2) |
| თურქეთი – **ლატვია** | 2:2 | (0:1) |
| უელსი – **რუსეთი** | 0:1 | (0:0) |

პლეი-ოფის პირველ მატჩში შოტლანდიამ საკუთარ მოედანზე დაამარცხა ჰოლანდიელები (1:0) და განმეორებით მატჩს დიდი ოპტიმიზმით ელოდა. შოტლანდიელთა გერმანელმა მწვრთნელმა, ბერტი ფოგტსმა განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატზე შოტლანდიის ნაკრებთან ერთად გასვლა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე 1996 წელს, გერმანიის ნაკრებთან ერთად მოპოვებული ევროპის ჩემპიონის ტიტული. ბერტი ფოგტსის ოცნებას ახდენა არ ეწერა. განმეორებით მატჩში შოტლანდიელებს დახვდათ სახეშეცვლილი ჰოლანდიის ნაკრები, რომლის წინააღმდეგ მათ წარმატების არავითარი შანსი არ ჰქონიათ. მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს მე-14 წუთზე, როდესაც აიაქსელმა შნაიდერმა დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა შოტლანდიელთა კარში. პირველ გოლს კიდევ ხუთი მოჰყვა. აქედან სამი რუდ ვან ნისტელროის ანგარიშზე იყო. ფოგტსი, რომელიც მატჩის წინ დიდი იმედებით იყო აღსავსე, შეხვედრის შემდეგ აცხადებს, რომ ჰოლანდია მეტისმეტად ძლიერი გუნდია შოტლანდიასთან შედარებით...

ხორვატიის ნაკრებმა პირველ მატჩში სლოვენიელთა დამარცხება ვერ მოახერხა და მათ ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩენის საფრთხე დაემუქრათ. განმეორებით მატჩში ხორვატთა მწვრთნელმა, ოტო ბარიჩმა ექვსი ახალი ფეხბურთელი დააყენა შემადგენლობაში. შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებებმა გაამართლა. ხორვატები მატჩის პირველივე წუთებიდან უტევდნენ, მაგრამ მასპინძლები ამ შეტევების მოგერიებას ახერხებდნენ. სლოვენიელებს ნულოვანი ანგარიშიც ხელს აძლევდათ. მათ აშკარად ეტყობოდათ, რომ სწორედ 0:0-ისთვის თამაშობდნენ. თუმცა, საკუთარი კარის მშრალად შენახვა მაინც ვერ მოახერხეს – 61-ე წუთზე ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობმა მონაკოელმა პრსომ გოლი გაიტანა. სლოვენიელები შეტევაზე გადავიდნენ, თუმცა, ანგარიშის გათანაბრება ველარ შეძლეს და ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩნენ.

ამ წარმატების მიუხედავად, ხორვატები ოტო ბარიჩის გადაყენებას აპირებენ. ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე წარმომადგენელი ნაკრების თამაშით უკმაყოფილოა. „გამარჯობა, პორტუგალია, მშვიდობით, ოტო!" – ეს ლოზუნგი ფედერაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ზდრავკო მამიჩს ეკუთვნის.

ხორვატებისგან განსხვავებით, თავიანთი მწვრთნელით კმაყოფილი არიან ესპანელები. პლეი-ოფის პირველი მატჩის შემდეგ, როდესაც ესპანელებმა საკუთარ მოედანზე სძლიეს (2:1) ნორვეგიის ნაკრებს, ინიაკი საესს მკაცრი კრიტიკა დაატყდა თავს, თუმცა, ახლა, განმეორებით მატჩში გამარჯვების (3:0) შემდეგ, ესპანელები აქებენ და ადიდებენ საესს. გუშინწინდელ მატჩში ესპანელებს ჰქონდათ აშკარა უპირატესობა, რომელიც რაულმა, ვისენტემ და ეჩებერიამ გოლებად აქციეს. „ადრე ჩვენ შეგვეძლო, ადვილად გადაგველახა საკვალიფიკაციო ტურნირი, ფინალურ ეტაპზე კი წარუმატებლად გამოვდიოდით. ამჯერად ევროპის ჩემპიონატის გზა ჩვენთვის ძნელი აღმოჩნდა. ახლა თავად ტურნირზე უნდა მივაღწიოთ წარმატებას. დროა, ტრადიცია შევცვალოთ", - ამბობდა მატჩის შემდეგ რაული. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ანხელ მარია ვილარმა კი განაცხადა, რომ ნაკრების თამაშით უაღრესად კმაყოფილია და ინიაკი საესს აუცილებლად შესთავაზებს ახალ კონტრაქტს.


ლატვიის ნაკრებმა პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური

როდესაც ლატვიის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე დაამარცხა თურქები, ეს ყველამ დიდ სენსაციად მიიჩნია. ვინ იფიქრებდა, რომ განმეორებით მატჩში ლატვია არ დამარცხდებოდა და ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებდა...

არადა, მატჩი ისე დაიწყო, რომ თურქების წარმატებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. მასპინძლები ბევრს უტევდნენ და მე-20 წუთზე ილჰანის გოლის წყალობით ანგარიშიც გახსნეს. შესვენების შემდეგ თურქები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, სტუმრები კიდევ უფრო დიდი წნეხის ქვეშ მოაქციეს. 64-ე წუთზე ჰაკან შუქურმა ანგარიში ორამდე გაზარდა. თუმცა, ორი წუთის შემდეგ მატჩის სცენარი რადიკალურად შეიცვალა – ლაიზანსმა შორეული საჯარიმო დარტყმით ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. 78-ე წუთზე ვერპაკოვსკისმა მეორედ აიღო თურქების კარი, რაც იმას ნიშნავდა, რომ პატარა ლატვიამ პირველად მოიპოვა დიდ საფეხბურთო ტურნირზე მონაწილეობის უფლება. აგრესიულობით განთქმული თურქი გულშემატკივარი ლატვიელებს ტაშს უკრავდა, საკუთარ გუნდს კი უსტვენდა. სამშობლოში დაბრუნებულ ლატვიელებს აეროპორტში ათასამდე გულშემატკივარი დახვდათ. ქვეყნის პრეზიდენტმა ვიკე-ფრეიბერგმა ფეხბურთელებს „ლატვიის ოქროს შვილები" უწოდა. ლატვია დიდ გამარჯვებას ზეიმობს.

გამარჯვებას ზეიმობენ რუსებიც. პირველი მატჩის შემდეგ, როდესაც მათ საკუთარ მოედანზე ვერ მოახერხეს უელსის დამარცხება, რუსები საგრძნობლად უიმედოდ ჩანდნენ და კარდიფში გამარჯვებისაც არ სჯეროდათ. უელსში გამგზავრების წინ მწვრთნელი იარცევი შეეცადა, გუნდში საბრძოლო განწყობა შეეტანა და განაცხადა: „თუ უელსმა შეძლო, მოსკოვში არ წაეგო, ჩვენ რატომ ვერ უნდა შევძლოთ კარდიფში გამარჯვება". იარცევი მართალი აღმოჩნდა. განმეორებით მატჩში რუსეთის ნაკრები მასპინძლებზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ: უელსი არ იმსახურებდა ევროპის ჩემპიონატზე თამაშს. მასპინძლები აშკარად უსუსურები იყვნენ. მათმა საუკეთესო თავდამსხმელმა ჰარტსონმა ვიქტორ ონოპკოს ტყვეობას ვერაფრით დააღწია თავი. ვერც რაიან გიგზმა გაიბრწყინა. მატჩის ერთადერთი გოლი 23-ე წუთზე გაიტანა ვადიმ ევსეევმა, რითაც რუსეთს პორტუგალიის საგზური მოუტანა.

„მადლობა ღმერთს, ევროპის ჩემპიონატზე, ტურნირში, რომელშიც კონტინენტის საუკეთესო გუნდებმა უნდა ითამაშონ, უელსი არ მიიღებს მონაწილეობას. ძნელი წარმოსადგენია, რომ პორტუგალიაში იასპარეზოს სოფლის გუნდმა, რომელმაც ფეხბურთის თამაში არ იცის. ეს არის რაიონული ცენტრის მეორე ლიგის გუნდი, სადაც რაიან გიგზის მსგავსი ვარსკვლავიც კი დაიკარაგა", - ასე შეამკო უელსელები ცნობილმა რუსმა კომენტატორმა ვლადიმირ მასლაჩენკომ. მიუხედავად ამისა, რაიან გიგზმა უკვე განაცხადა, რომ ის კვლავაც განაგრძობს თამაშს ამ „სოფლის გუნდში" და მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლას შეეცდება. უელსელთა მწვრთნელის პოსტზე მუშაობას ალბტა მარკ ჰიუზიც გააგრძელებს. უელსის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ, განცდილი მარცხის მიუხედავად, ჰიუზი თავის პოსტზე დარჩება.

რუსეთის ნაკრების მესაჭედ, ალბათ, მომავალშიც გიორგი იარცევი დარჩება. რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა, ვიაჩესლავ კოლოსკოვმა განაცხადა, რომ იარცევს აუცილებლად შესთავაზებს ახალ კონტრაქტს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრებს სწორედ იარცევი გაუძღვება. თუმცა, ბუკმეკერები მას პორტუგალიაში დიდ წარმატებას არ უწინასწარმეტყველებენ. ინგლისურმა საბუკმეკერო კანორამ, „უილიამ ჰილმა", უკვე გამოაქვეყნა ევროპის ჩემპიონატის კოეფიციენტები. რუსეთის ჩემპიონობის შანსებს ისინი ასე აფასებენ: 66-1. „უილიამ ჰილის" ფავორიტი საფრანგეთის ნაკრებია.

ევროპის ჩემპიონატი 12 ივნისს დაიწყება. ფინალი 4 ივლისს გაიმართება. ჩემპიონატის ქვეჯგუფების კენჭისყრა 30 ნოემბერს, ლისაბონში შედგება.

**ევროპის ჩემპიონატის მონაწილე 16 გუნდი:**

**პორტუგალია** *(მასპინძელი)*
**საფრანგეთი**
**დანია**
**ჩეხეთი**
**შვედეთი**
**გერმანია**
**საბერძნეთი**
**ინგლისი**
**ბულგარეთი**
**იტალია**
**შვეიცარია**
**ჰოლანდია**
**ხორვატია**
**ესპანეთი**
**რუსეთი**
**ლატვია**

კალათბურთი

# კალათბურთის თამაში მარტო "ლეიკერსმა" იცის?!

სანდრო ნავერიანი

იყო დრო, როცა "ნიუ იორკ ნიქსი" ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლებოდა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, მაგრამ მაშინ გუნდში პატრიკ იუვინგი, ჯონ სტარქსი და ნიკ ვანექსელი იყვნენ და გასაკვირიც არაფერი გახლდათ. იყო დრო, როდესაც "მედისონ სკვერ გარდენში" "ნიქსის" გულშემატკივარი სიხარულით მიდიოდა მატჩის საყურებლად და იქიდან უფრო გახარებული ბრუნდებოდა. მაგრამ წავიდა ის დრო, აღარ არის, ფაფუ! დღევანდელ "ნიქსში" ერთადერთი, ვისაც დიდი კალათბურთი უთამაშია, დიკემბე მუტომბოა და ისიც ბერდება, მარტო ვერაფერს ახერხებს, თან, თავისი ამპლუით მცველია. ნიუიორკელებმა უკანასკნელი მატჩი "მედისონ სკვერ გარდენში" კალიფორნიულ "ლეიკერსთან" გამართეს. ფაქტი ფაქტად რჩება -კალიფორნიელები წლევანდელი გათამაშების უდავო ფავორიტები არიან. ო`ნილმა და კომპანიამ ქვა ქვაზე არ დატოვეს და ნიუიორკელებს მოედანი თავდახრილებს დაატოვებინეს. ალბათ, გახსოვთ ის დრო, როდესაც "ჩიკაგო ბულზი" და "ბოსტონ სელტიქსი" სხვადასხვა პერიოდში ფავორიტები იყვნენ ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. ახლა "ლეიკერსის" დრო დადგა. არც არის გასაკვირი. როდესაც გუნდში გყავს ისეთი კალათბურთელები, როგორებიც არიან პეიტონი, მელოუნი, ო`ნილი და ბრაიანტი, ყოველთვის პირველობისთვის უნდა იბრძოლო. "ლეიკერსმა" 21 ქულის სხვაობით გაიმარჯვა. მატჩი ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მიმდინარეობდა. კალიფორნიელები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც მათ უნდოდათ. რაც "ნიქსის" კალათბურთელებმა საჯარიმოები ისროლეს, იმაზე მეტი საჯარიმო "ლეიკერსის" სამმა კალათბურთელმა გამოიყენა. ო`ნილი, რომელიც ცნობილია თავისი უხეში ხელით და რომლისთვისაც საჯარიმოს ჩაგდება ერთ-ერთ ყველაზე რთულ ამოცანად ითვლება, 16-დან 11 საჯარიმო გამოიყენა. არ ვიცი, იცით თუ არა, მაგრამ შაკილ ო`ნილს საჯარიმო ტყორცნებში ავარჯიშებს თავად ლეგენდარული უილ ჩემბერლენი, რომლის რეკორდიც დღემდე მოუხსნელია და, ალბათ, ვერც ვერავინ მოხსნის ვერასოდეს. ო`ნილმა და პეიტონმა, შესაბამისად, 23 და 21 ქულა მოაგროვეს, მელოუნმა და პეიტონმა კი, შესაბამისად, - 17 და 11. "ნიქსის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო ფრენკ უილიამსი (14). 13-13 ქულაა ჰოვარდ ისლისა და შენდონ ანდერსონის ანგარიშზე.


ბრაიანტმა და მელოუნმა მორიგი გამარჯვება იზეიმეს

ვინ ვინ და, ფილ ჯექსონმა კი უნდა იცოდეს, თუ რა უნდა მის გუნდს. იცის კიდეც! ადამიანმა, რომელმაც ცხრაჯერ გაიმარჯვა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონატში და რომელმაც ცხრაჯერ მოირგო თითზე ჩემპიონის ბეჭედი. როგორ შეიძლება, ასეთი დამსახურებული მწვრთნელის პროფესიონალიზმში ეჭვი შეიტანო?! რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ არის ხალხი, რომელიც ამას არა მარტო ფიქრობს, არამედ ამჟღავნებს კიდეც. ასეთი თავად გუნდში ჰყავს ფილ ჯექსონს. "გუნდში გვყავს ადამიანი, რომელსაც ჩემში ეჭვი ეპარება, ფიქრობს, რომ მე არასწორი მიმართულებით მიმყავს გუნდი. ზუსტად ვიცოდი, რომ ამის შემდეგ ამიკლებდით კითხვებით, თუ ვინ არის ეს ადამიანი, მაგრამ მე არ გეტყვით, ეყოს მას ვაჟკაცობა და თვითონ თქვას, რასაც ფიქრობს", - BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ფილ ჯექსონმა. ამის გამგონე ჯეკ ნიკოლსონმა კატეგორიულად მოითხოვა, მისთვის ეთქვათ, თუ ვინ არის ის კალათბურთელი. "მითხარით, ვინ არის ეგ ნაბიჭვარი და თავს გავუხეთქავ", - დაახლოებით ასეთი იყო ნიკოლსონის სიტყვები. დაახლოებით-მეთქი, რადგან, სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, მაშინ ერთი დიიიიდი გინება გამოვა.

ჩემი წერილების უმეტესობა რეგულარულ ჩემპიონატში "ლეიკერსის" გამოსვლაზე ან მის მიღწევებზეა. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ამ გუნდის გულშემატკივარი ვარ. არა, მე "ფილადელფია სევენთისიქსერზის" გულშემატკივარი ვარ, მაგრამ ვწერ იმაზე, რაც ყველაზე საინტერესოდ მიმაჩნია. არ ვიცი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს ყველაზე საინტერესო სწორედ "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" წარმატება თუ წარუმატებლობაა.

ამ მატჩის პარალელურად კიდევ 9 თამაში გაიმართა. ნიკოლოზ ცქიტიშვილის "დენვერ ნაგეთსმა" საკუთარ "პეფსი ცენტრში" "მილუოკი ბაქსი" მიიღო და გაიმარჯვა. წინა შეხვედრაში "ნაგეთსის" ლიდერი ნიკოლოზ ცქიტიშვილი დღეს ისე ვერ გამოიყურებოდა, როგორც თავად მას და ჩვენც გვინდა, მაგრამ ქულის გარეშე არ დარჩენილა - 2 ქულა გააკეთა და 2-ჯერ ჩაჭრა მეტოქის გადაცემა. "დენვერის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი იყო ანდრე მილერი (17). ამომავალმა ვარსკვლავმა კარმელო ენტონიმ 13 ქულა დააგროვა. მილუოკელების შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანები იყვნენ მაიკელ რედი (24) და ტიმ ტომასი (25). თუმცა, მილუოკელ მამრებს ვერც ამან უშველა. ვეტერანმა ტონი კუკოჩმა 10 ქულის მეტი ვერ მოაგროვა, არადა, მოედანზე 27 წუთი გაატარა.

ვლადიმერ სტეფანიას "ტრეილ ბლეიზერსმა" საკუთარ "როუზ გარდენის" მოედანზე ამ სეზონში ყველაზე ცუდი მაჩვენებლის მქონე "მაიამი ჰიტი" მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ "ჰიტი" ძალიან ცუდად გამოდის წლევანდელ ჩემპიონატში, იმას მაინც ვერ ვიტყვით, რომ გუნდი უბრძოლველად თმობს შეხვედრებს. ამ მატჩშიც ბოლო წამებმა გადაწყვიტა ყველაფერი – "ბლეიზერსმა" ერთი ქულის სხვაობით გაიმარჯვა. სტეფანიამ 12 წუთი გაატარა მოედანზე და 10 ქულით დაეხმარა თავის გუნდს. ფარიდან 4-ჯერ მოხსნა ბურთი და 2-ჯერ ჩაჭრა მეტოქის გადაცემა. პორტლენდელთა შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი რაშიდ უოლასი (21) და ზაკ რენდოლფი (17) იყვნენ. დეიმონ სტაუდმაიერმა და ჯეფ მაკაინისმა კი, შესაბამისად, 13 და 11 ქულა დააგროვეს. მაიამელთა შემადგენლობაში ედი ჯონსი (26) და დუეინ უეიდი (24) იყვნენ ყველაზე შედეგიანები. ლამარ ოდომმა 13 ქულა შესძინა თავის გუნდს.

| | |
|---|---|
| **ბოსტონი - ნიუ-ორლეანი** | **73:81** |
| **ტორონტო - ფილადელფია** | **75:81** |
| **ნიუ იორკი - ლ.ა.ლეიკერსი** | **83:104** |
| **მემფისი - დეტროიტი** | **92:99** |
| **იუტა - საკრამენტო** | **110:118** |
| **ვაშინგტონი - კლივლენდი** | **106:95** |
| **ინდიანა - ლ.ა.კლიპერსი** | **91:78** |
| **ჰიუსტონი - გოლდენ სთეითი** | **85:83** |
| **დენვერი - მილუოკი** | **94:86** |
| **პორტლენდი - მაიამი** | **94:93** |

TV-პროგრამა

## პარასკევი 21. ნოემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. "UTAH JAZZ" - "MILWAUKEE BUCKS". პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
15:00 ევრო-2004. ევროპის ჩემპიონატის "გადამწყვეტი" მატჩი. ნორვეგია – ესპანეთი
15:05 "გადამწყვეტი" მატჩი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია – შოტლანდია
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
17:30 ახალი სეზონის საუკეთესო მატჩი. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ფულჰემი"
19:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:55 "ექსპერტიზა"
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 წვრილმანები. რუსეთი – უელსი
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. ვაჟები 94 კგ. ქალები 75კგ.
21:50 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. ქალები 75კგ.
22:35 "FUTBOL MUNDIAL"
23:05 "გაიტანე!"
23:20 თავისუფალი დარტყმა
23:35 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. კოლუმბია – არგენტინა
01:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:50 "ექსპერტიზა"
02:20 02:20-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: პიტ მაროვიჩი
05:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:30 NBA TV. დღიური

**НТВ + СПОРТ**
08:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. ვაჟები 94კგ. პირდაპირი ტრანსლაცია
09:45 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა. ქალები 75კგ.
11:00, 14:00 პრესცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
12:15 "წყლის აკვატორია"
12:45 "ჩქაროსნული სამყარო"
13:15 "მოტოვებული კვირა"
14:15 "Power week – NHL-ის კვირა"
15:35 ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი
16:00 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "CUP OF RUSSIA". პირდაპირი ტრანსლაცია
23:15 "ყინულის ხანა"
00:15 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
00:45 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე
01:30 "სპორტული გლობუსი"
02:00 ახალი ამბები
02:15 ტაილანდური კრივი
03:10 ამერიკული ფეხბურთის ფან-კლუბი

**EUROSPORT**
11:30 ფეხბურთი. ევრო-2004
12:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
14:15 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
16:00 ფეხბურთი. ევრო-2004
18:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
19:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
20:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი კანადაში
21:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში
22:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი კანადაში
23:00 აერობიკა
00:00 ფიტნესი
01:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. სუპერ-სერია კანადაში
02:00 ახალი ამბები
02:15 K1. მსოფლიო გრან-პრი იაპონიაში
03:15 ექსტრემალური სპორტი
03:45 ექსტრემალური სპორტი
04:15 ახალი ამბები

## ინფოთეკა

**კრივი.** ნახევრად მსუბუქი წონითი კატეგორიის საუკეთესო მოკრივის მარკო ანტონიო ბარერას დამარცხების შემდეგ მენი პაკვიაომ გადაწყვიტა, აღარ დაბრუნდეს პირველ ნახევრად მსუბუქ წონაში. აქედან გამომდინარე, პაკვიაო ვალდებულია, კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) პირველ ნახევრად მსუბუქ წონაში ჩემპიონის ქამარს შეელიოს. ეს მაშინ, როდესაც ბარერას წინააღმდეგ ორთაბრძოლას სატიტულო დატვირთვა არ ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ბარერა, რომელსაც ბევრი წონის ლიდერად მიიჩნევს, არც ერთი ფედერაციის ტიტულს არ ფლობდა. ამასთან, პაკვიაოს მენეჯერი როდა ნაზარიო იმასაც დასძენს, რომ პაკვიაოს მისთვის საფირმო წონაში დარჩენის არავითარი მოტივაცია აღარა აქვს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია ცდილობს, მკვეთრად გაზარდოს ფორმულა 3000-ის როლი - ეს კლასი დიდი პრიზების სამყაროში მოსვლამდე ერთგვარი მოსამზადებელი სტატუსით ისარგებლებს. ამასთან დაკავშირებით, 2005 წელს ფორმულა 3000-ის რეგლამენტში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი. კერძოდ, საჯინიბოებს ურჩევენ, რბოლების წინ ორის ნაცვლად სამი მონაწილე გამოიყვანონ, თანაც, ერთ-ერთი მათგანი ფორმულა 1-ის მოქმედი პილოტი უნდა იყოს. გარდა ამისა, ნავარაუდევია ისიც, რომ ფორმულა 3000-ს ძველი სახელი - ფორმულა 2 დაუბრუნდეს, რაც ფორმულის იერარქიაში მის ადგილსა და როლს განსაზღვრავს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** რა ხანია, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ინგლისელი ნაიჯელ მენსელი გოლფის დიდ მოტრფიალედ ითვლება. მას შემდეგ, რაც "ბრიტანელმა ლომმა" სარბოლო კარიერა დაასრულა, ის ძალიან გაიტაცა გოლფმა. მან თავისი სახელობის ტურნირი "Nigel Mansell Classic"-იც კი მოაწყო.

ახლა 50 წლის ვეტერანს განზრახული აქვს, გოლფში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზოს. ოღონდ მანამდე ყოფილმა მრბოლმა ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისთვის, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის კვალიფიკაცია გადალახოს. ეს კი იოლ გასეირნებას არ ჰპირდება – 16 ადგილისთვის 130 მეგოლფე იბრძოლებს.

■ ■ ■

**კარტი.** სავსებით შესაძლებელია, პოლ ტრეისი კარტის ამერიკული სერიის ისტორიაში ბოლო მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. ჩემპიონატის ხელმძღვანელთა განცხადებით თუ განმარტებით, დეკემბრის შუა რიცხვებში კარტის აქციათა გაყიდვის საკითხია გადასაწყვეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ასპარეზობისთვის გასამართი სახსრები არ იქნება.

"აუცილებელი ფინანსური საშუალებების გარეშე სერია არსებობას შეწყვეტს და 2004 წლის სეზონიც გაუქმდება", - ვკითხულობთ კარტის ოფიციალურ პრეს-რელიზში. რაც შეეხება იმას, თუ ვინ აპირებს აქციების შეძენას, ასეთი კონსორციუმია "Open Wheel Racing", რომელსაც 7,4 მილიონი დოლარი აქვს მობილიზებული. კარტის ბედი 18 დეკემბერს, აქციონერთა თავყრილობაზე გაირკვევა.

■ ■ ■

**ძალოსნობა.** ვანკუვერში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა შორის ჩინელმა ლიუ ჩუნხონმა (69კგ.) ოთხი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. აქედან ორ უმაღლეს შედეგს ატაცში, ერთს აკვრაში და საერთო ჯამში დაძლეული 270 კილოგრამით მიაღწია. ამავე წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა უნგრელმა ერსტერ კერცლერმა. მესამეა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი რუსი ვალენტინა პოპოვა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ჟაკ როგის განცხადებით, რაგბი მხოლოდ მაშინ შევა ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ პროგრამაში, თუ ამ პროგრამიდან სხვა რომელიმე სახეობას ამოიღებენ. გუშინ სოკ-ის პრეზიდენტის განცხადებაზე ინფორმაცია გაავრცელეს საფრანგეთის საინფორმაციო საშუალებებმა.

ჟაკ როგის თქმით, რომელიც თავად თამაშობდა რაგბის (ბელგიის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა), ოლიმპიური თამაშების პროგრამაში რაგბის ჩართვა-არჩართვის საბოლოო გადაწყვეტილებას 2005 წლის ივლისში სოკ-ის გენერალურ ასამბლეაზე მიიღებენ.

■ ■ ■

**ჰოკეი.** 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონატისა და მსოფლიო თასისთვის აშშ-ის ჰოკეისტთა ნაკრების გენერალურ მენეჯერად დაინიშნა ლერი ფლი, რომელსაც, სხვათა შორის, ასეთივე თანამდებობა "სენტ ლუის ბლიუზშიც" უკავია. ამავე კლუბში ფლი უფროსი ვიცე-პრეზიდენტიცაა.

თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ფლიმ დაასახელა საკუთარი თანაშემწე - "ატლანტას" ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი დონ უედენი. "მეამაყება, რომ საკუთარ ქვეყანას წარმოვადგენ და გავაგრძელებ თანამშრომლობას აშშ-ის ჰოკეის ფედერაციასთან, - აცხადებს ფლი. – ჰოკეიში მსოფლიო თასი მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც კიდევ ერთხელ მოახდენს ამერიკული ჰოკეის დონის დემონსტრირებას საერთაშორისო არენაზე".

რაგბი

# "ოლ ბლექსი" მესამეა



"ოლ ბლექსმა" მესამე ადგილის მოსაპოვებლად გამოთქვა პრეტენზია და შეეცადა, საბოლოოდ გამოეხატა თავისი ამბიცია. ზელანდიელებმა სიდნეიში, "ტელსტრა სტედიუმზე", 6 ლელოთი – 40:13 დაამარცხეს ფრანგები. ზელანდია მეტოქეს მეთოდურად უტევდა. მეორე ტაიმში ფრანგები ჩამორჩნენ (13:14), მაგრამ "ოლ ბლექსის" ლელომ თავისი გააკეთა და 8 წუთში ზელანდიელებმა სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს – 35:13. ისინი ყოველმხრივ ფრთხილობდნენ, რათა არ გამეორებულიყო 1999 წლის მსოფლიო თასის ნახევარფინალში განცდილი კოშმარი, რომლის შედეგადაც ზელანდია ფინალს მიღმა დარჩა.

ფრანგებისთვის იმ ღირსსახსოვარ დღეს ზელანდია 20:10 იგებდა, მაგრამ ფრანგებმა გამარჯვების ჩარხი 7 წუთში თავისკენ შემოაბრუნეს და ამით გააქარწყლეს ის უარყოფითი წარმოდგენა, რომელიც მანამდე მათ გუნდზე არსებობდა.

მაგრამ საფრანგეთს ოთხშაბათს ღამით ამგვარი წარმატება არ ეწერა. ისევე როგორც 1987 წლის ფინალში. მაშინ "მამლები" 29:3 დაამარცხეს.

ახალმა ზელანდიამ კი პირიქით, თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინა და დაადასტურა, რომ ნახევარფინალში ავსტრალიის მიერ მათი დამარცხება არაკანონზომიერი იყო. "ოლ ბლექსის" წევრებმა, მილს მულიაინამ, დოგ ჰაულეტმა და ჯო როკოკოკომ, გაერთიანებული ძალით, ყველაფერი იღონეს, რათა ლელო გაეტანათ და მატჩი თავის სასარგებლოდ დაეგვირგვინებინათ.

ლოკ კრისტ ჯეკმა პირველივე შეტაკებისას თამამად გადაჭრა სტადიონი და საკუთარი პროფესიული ნიშნების გამოვლინებით ბრედ ტირნი და მარტი ჰალა 5 ქულის მოპოვებაში დაეხმარნენ ერთმანეთს.

ფრანგების უძლიერესმა თავდამსხმელმა პეპიტო ელჰორგმა პირველი ლელო გაიტანა. ამას დიმიტრი იაშვილმა კიდევ ერთი არეკნი და ჯარიმა დაუმატა.

ფრანგების გუნდში, ნახევარფინალთან შედარებით, 13 ცვლილება მოხდა. გუნდში არ იყო მთავარი გამთამაშებელი მიშალაკი, რომელიც მერსერონმა შეცვალა, მაგრამ ზელანდიასთან მატჩის მეორე ტაიმში მიშალაკი მინდორზე მაინც შემოვიდა. თუმცა, უკვე გვიანი იყო. "ოლ ბლექსს" წინ ველარაფერი დაუდგებოდა.

მას შემდეგ, რაც ზელანდიამ საკმარისი ქულები მოიპოვა, ფრანგებმა შეტევის რიტმს ოდნავ უმატეს. კარგად გამოიყურებოდა დიმიტრი იაშვილი, რომელიც ხანგამოშვებით მიარღვევდა ზელანდიის დაცვას, მაგრამ ლელოს ხაზამდე მისვლა, თანაგუნდელების მსგავსად, მასაც უჭირდა. სამაგიეროდ არ დაახანეს ზელანდიელებმა. კრისტ ჯეკმა წუთის დაგვიანებით მეორე ლელო გაიტანა.

მომდევნო ლელო 20 წუთით გადაიდო – მას შემდეგ, რაც სპენსერი ხაზზე გაიჭრა. ეს მისთვის მეშვიდე ლელო იყო. კარლოს სპენსერი ყველანაირად ცდილობდა, ბურთი ხელში ჩაეგდო და ახალზელანდიელთა უპირატესობა კიდევ უფრო გაემყარებინა. ამ აქტიურობას პირველ ნახევარში ფრანგებმა იაშვილის არეკნით უპასუხეს.

სპენსერი კვლავ შემართული იყო და იმდენს მიაღწია, რომ 51-ე წუთზე ჯო როკოკოკოს კიდევ ერთი ლელო გაატანინა.

ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანზე რუბენ ტორნზე თამაშის მეორე ნახევარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა:

- რაღაც მომენტში ჩვენ ვფლობდით უპირატესობას ჩვენი 2 ლელოთი. გვინდოდა, ბურთი ჩვენ გვქონოდა და, ვფიქრობ, ნაწილობრივ გამოგვივიდა კიდეც.

**- როგორი იყო მოედანზე ახალი ზელანდიის შერკინების ნახევარმცველი სტევ დევინი?**

- ჩვენ ყველანაირად ვიბრძოდით. გვინდოდა, წინ წავწეულიყავით. ისინი კი, პირიქით, ჩვენს უკან დახევას ცდილობდნენ, მაგრამ ყველაფერი ვიღონეთ, რომ ჩვენი თამაშისთვის მიგვექცია ყურადღება.

**- როდის მოიპოვეთ გადამწყვეტი უპირატესობა?**

- ვფიქრობ, გამარჯვების დაუოკებელმა სურვილმა მოგვაგებინა. ამ გამარჯვებამ საკუთარ ძალაში დაგვარწმუნა.

# რაგბი და შუა საუკუნეები

## სამხრეთ აფრიკის ნაკრების წევრებს სამი დღე აწამებდნენ

ნინო პირველი

ნურავინ იტყვის, შუა საუკუნეებში რაგბი არ არსებობდაო. არც იმის მტკიცებას აქვს აზრი, რომ თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში შუა საუკუნეების წამების შემზარავ ხერხებს აღარავინ იყენებს. როგორც ჩანს, მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. პირიქით, აქ ძალადობა და წამება დღემდე ადამიანებზე ზემოქმედების საუკეთესო მეთოდად რჩება. სანამ ერაყის ომი დაიწყებოდა, მთელი მსოფლიო გაოგნებული ისმენდა სადამ ჰუსეინის ვაჟის, უდაის გაუგონარი სისასტიკის ამბებს. დაუნდობლად უსწორდებოდა ერაყელ სპორტსმენებს, თუ ისინი ამა თუ იმ ტურნირზე წარმატებას ვერ მოიპოვებდნენ. მაშინ ერაყელი დიქტატორის გათავხედებულ მემკვიდრეს ყველა სადისტს და მწვალებელს ეძახდა და მის დასჯას მოითხოვდა. წარმოიდგენდა ვინმე, რომ დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულ სამხრეთ აფრიკაშიც ასეთივე დიდი წარმატებით გამოიყენებდნენ წამების ხერხებს?

ავსტრალიასთან და ახალ ზელანდიასთან ერთად სამხრეთ აფრიკა მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვანი ქვეყნების რიგს, სადაც რაგბი ფეხბურთზე უფრო პოპულარულია. სამხრეთაფრიკელ მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ითვლება. 1995 წელს აფრიკელები მსოფლიო ჩემპიონებიც იყვნენ რაგბიში. მას შემდეგ მათ ასეთი



სამხრეთ აფრიკელ რაგბისტთა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე ნაწამები გაემგზავრა

დიდი წარმატებისთვის აღარ მიუწევიათ, მაგრამ, ამის მიუხედავად, აფრიკელთა სარაგბო ავტორიტეტი მაინც არ დაცემულა. წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკის ნაკრები ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ "ქურციკები" მხოლოდ მეოთხედფინალამდე მივიდნენ. იქ მათ დაუხვდა ახალი ზელანდიის გუნდი, რომელთანაც აფრიკელებმა 9:29 წააგეს და ჩემპიონობაზე ოცნებას გამოეთხოვნენ.

როცა ყველაფერმა ჩაიარა, აფრიკელმა მორაგბეებმა მხოლოდ მაშინ შეძლეს, მასმედიისთვის შემზარავი საიდუმლო გაემჟღავნებინათ. როგორც გაირკვა, ავსტრალიური ჩემპიონატის დაწყების წინ აფრიკელ მორაგბეებს არაადამიანურად აწამებდნენ და ამ გზით ცდილობდნენ მათში საბრძოლო სულისკვეთების გაღვივებას. როგორც შვეიცარიული გაზეთი "ბლიკი" იუწყება, ორმა სამხრეთაფრიკელმა მორაგბემ თავი ველარ შეიკავა და ჟურნალისტებს დაწვრილებით უამბო, თუ როგორ ემზადებოდა სამხრეთ აფრიკის ნაკრები ავსტრალიაში გასამგზავრებლად. სამხრეთაფრიკელთა შესახებ მსოფლიოს დაახლოებით ამგვარი წარმოდგენა აქვს: ისინი ასრულებენ საბრძოლო ცეკვებს, იძახებენ სულებს, ატარებენ მისტიკურ ტატუს, მაშინაც კი არ წყვეტენ ბრძოლას, როცა საშინელ ტკივილს განიცდიან. ისინი ყველაფერს უძლებენ, თვით საშინელ წამებასაც კი...

სექტემბერში ნაკრების ყველა წევრი ერთად შეყარეს და წაიყვანეს საწვრთნელ ბაზაზე, რომელიც დედაქალაქის, პრეტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს. ბაზას ქვეყნის ელიტური პოლიციის სპეციალური ნაწილი იცავდა. არავის ჰქონდა მოედანთან მიახლოების უფლება, არც ბაზის დატოვება შეეძლო ვინმეს. სამი დღის განმავლობაში მორაგბეები შიშვლები და მშიერ-მწყურვალები იყვნენ. მათი ტანჯვა საშინლად აბსურდული იყო: აიძულებდნენ, ცხელი ჰელიკოპტერიდან ყინულივით ცივ ტბაში ჩამხტარიყვნენ, შიშვლებს უნდა სძინებოდათ რკინის საწოლებზე. ერთ დღეს მწვრთნელმა ყველანი შეყარა ვიწრო კონტეინერში, სადაც განძრევაც კი ჭირდა და შიშველ სპორტსმენებს მთელი დღის განმავლობაში ინგლისის ჰიმნსა და ახალი ზელანდიის საბრძოლო მისალმებას - ჰაკას ასმენინებდა. დროდადრო კარი იღებოდა და გატანჯულ მორაგბეებს გაყინულ წყალს ახამდნენ. ეს უაზრო ტანჯვა-წამება სამ დღეს გაგრძელდა. უკანასკნელ ღამეს ყველანი გაათავისუფლეს, ასანთის ერთი ღერი მისცეს და უბრძანეს, ბუჩქებში შედით და კვერცხი მოხარშეთო... ამის შემდეგ ყველა მოთამაშე დააფიცეს, რომ ბაზაზე გატარებული სამი საშინელი დღის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვათ. მორაგბეები დიდხანს დუმდნენ. ბოლოს ორმა მათგანმა პრესას საიდუმლო გაუმხილა. საინტერესოა, რა შედეგი მოყვება აფრიკელთა მოულოდნელ აღსარებას.

ჩოგბურთი

# მოსკოვში ამერიკულ-ფრანგული ფინალი გაიმართება

სანდრო ნავერიანი

wta-ის ტურნირები დამთავრდა. არც "დიდი სლემის" ტურნირებია ახლო მომავალში. და საერთოდ, საჩოგბურთო სეზონი დასასრულს მიუახლოვდა. ერთადერთი ტურნირი, რაც ახლა იმართება, ეს ფედერაციის თასია. კაცთა ტურნირები, რა ხანია, დასრულდა, მაგრამ ქალებიც ხომ თამაშობენ ჩოგბურთს? თუ შტეფი გრაფი, მარტინა ნავრატილოვა, მონიკა სელეში და სხვანი ჩოგბურთელები, თან, დიდი ჩოგბურთელები არ იყვნენ? როგორ არა! ისინი დიდი ჩოგბურთელები იყვნენ და მათ საქმეს ახლა სხვები აგრძელებენ. ფედერაციის თასზე ერთი ფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილი იყო. გუშინვე გაირკვა მეორეც.

აშშ-ს ქალთა ეროვნული ნაკრები პირველი ფინალისტი გახდა ფედერაციის თასისა, რომელიც ამ დღეებში მოსკოვის სპორკომპლექს "ოლიმპიისკი"-ში მიმდინარეობს. ხუთშაბათის პირველ შეხვედრაში ბელგიის ნაკრებმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა აშშ-ს ნაკრებთან. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ბელგიელმა ელს კალენსმა ამერიკელ მეგან შონესის მოუგო. მატჩი 80 წუთს გაგრძელდა და ბელგიელის გამარჯვებით დასრულდა (6:3, 7:6). ხუთშაბათის მეორე მატჩში ამერიკელებმა, რომლებიც არასახარბიელო შემადგენლობით ეწვივნენ მოსკოვს, ბელგიელებს ფინალში გასვლის ყველანაირი იმედი გადაუწურეს. ყველაფერ ამას წერტილი დაუსვა ლიზა რეიმონდმა, რომელმაც კიმ კლიისტერსის უმცროსი და – ელკე კლიისტერსი დაამარცხა. ბელგიელს მატჩის მოგების არავითარი შანსი არ ჰქონია. უმცროსმა კლიისტერსმა მხოლოდ სამი გეიმის აღება შეძლო. 48 წუთში მატჩი ამერიკელის გამარჯვებით დასრულდა (6:2, 6:1).

აშშ-ს ნაკრებმა მოიგო წყვილთა თანრიგში გამართული შეხვედრა. ნავრატილოვა/რეიმონდის წყვილმა შანსი არ დაუტოვა ბელგიურ წყვილს კლიისტერს/მაესს. მათ ორ სეტში გაიმარჯვეს (6:2, 6:1). აშშ-ს ნაკრებმა ვადამდე გაინაღდა ფედერაციის თასის ფინალში თამაშის უფლება და დარჩენილი ერთი შეხვედრა, რომელიც წყვილთა თანრიგში გაიმართა, მხოლოდ ფორმალობა იყო და მეტი არაფერი. აშშ-ბელგიის დაპირისპირებაში 4:1 დაფიქსირდა. მარტინა ნავრატილოვა აგრძელებს მოგებათა სერიას ფედერაციის თასზე. ახლა მის აქტივში 29 გამარჯვებაა. 15 გამარჯვება ერთეულთა თანრიგში მოიპოვა, 14 კი – წყვილთა გათამაშებაში.



REUTERS

მერი პირსმა რუსეთის ნაკრები ფინალს მიღმა დატოვა

აშშ-ს ნაკრების მეტოქე საფრანგეთ-რუსეთის წყვილში გამარჯვებული იქნება. გუშინდლამდე ანგარიში 1:1 იყო. პირველ მატჩში ამელი მორესმომ ვერა ზვანარიოვა დაამარცხა, ხოლო ანგარიში გაათანაბრა ანასტასია მისკინამ, რომელმაც მარი პირსი დაამარცხა. გუშინვე გაიმართა მესამე და მეოთხე მატჩები. მესამე შეხვედრაში მორესმო და მისკინა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველი სეტი რუსმა ჩოგბურთელმა მოიგო, მაგრამ ფრანგმა შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. საბოლოო ანგარიშია 6:7, 6:3, 6:4. "მე დღეს უკეთ ვთამაშობდი, ვიდრე გუშინ. დილიდანვე მშვენივრად ვგრძნობდი თავს. მატჩი კარგად დავიწყე, ბოლო სეტში, ალბათ, დავიღალე, მაგრამ ეს არ არის ჩემი მარცხის მიზეზი. ამის მიზეზი თავად მე ვარ", - განაცხადა ანასტასია მისკინამ. მეოთხე მატჩში ვერა ზვანარიოვა და მარი პირსი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველი სეტი პირსის გამარჯვებით დასრულდა. მან 6:4 გაიმარჯვა და რუსი გულშემატკივარი საგონებელში ჩააგდო. ზვანარიოვამ ფრანგის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და ტაქტიკის შეცვლა მეორე სეტისთვის გადადო, რამაც შედეგი გამოიღო. მეორე სეტში რუსმა ჩოგბურთელმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მეორე სეტი ანალოგიური იყო პირველისა, ოღონდ ეს პარტია რუსისთვის გამოდგა წარმატებული. ამ სეტში რუსის მოწოდებები გაცილებით ძლიერი და ძნელად მოსაგერიებელი იყო. ფრანგი ვერ იგერიებდა მოწოდებებს და თავადაც ძალიან ცუდად აწვდიდა. მესამე პარტია კი ფრანგის აშკარა უპირატესობით წარიმართა. თავიდან სამი გეიმის სხვაობით იგებდა, მაგრამ რუსმა სხვაობა შეამცირა. მარი პირსი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა. ზვანარიოვას კარგად შერჩეულ ტაქტიკას მან გასაღები მოუძებნა. 6:4, 3:6, 6:4 – ფრანგის სასარგებლოდ. ასე რომ, ფინალში აშშ და საფრანგეთი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

# ხოხობი



შალვა ციხისთავი

ძნელია მოიძებნოს საქართველოში ხოხობზე უფრო ლამაზი ფრინველი. განსაკუთრებით ლამაზი სამოსელი მამრებს გააჩნიათ, მათ "შეფერადებაში" შერწყმულია ოქროსფერი, მუქი მწვანე, ნარინჯისფერი და იისფერი ტონები. მდედრი შედარებით სადაა, მის "სამოსელში" რუხ-ყვითელი და ღია ოქროსფერი ჭარბობს. საკმაოდ მსხვილი ფრინველია, მისი წონა 800 გრამიდან 1500 გრამამდე მერყეობს. აგებულებით წააგავს შინაურ ქათამს, და განსხვავდება საკმაოდ გრძელი, ლამაზი კუდით.

ხოხობი მეტად ფრთხილია, მხოლოდ ხშირ ჯაგნარში და მაღალ ლელიანში გრძნობს თავს შედარებით უსაფრთხოდ. საშიშროებისას ცდილობს სირბილით გაეცალოს იქაურობას. სირბილისას თავი და კისერი წინა აქვს გაშვერილი, ხოლო კუდი მაღლა აწეული. ჩვენში გავრცელებულ ქათმისნაირთა შორის იგი ყველაზე მარდი მორბენალია, ყველაზე სწრაფად დარბის არა მარტო ღია ადგილებში, ხშირ ბუჩქნარში და, საერთოდ, "მაგარ" ადგილებში. ცხოვრების დიდ ნაწილს ხოხობი მიწაზე ატარებს, გადარჩენას სირბილით ცდილობს და ფრინდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

საქართველოში ხოხობი გავრცელებულია ძირითადად მდინარეების: მტკვრის, ალაზნისა და ივრის ჭალებში, მცირე რაოდენობით შემორჩენილია ხრამისა და ალგეთის ხეობებში და მათ შემოგარენში, გურია-სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში.

ხოხბის ძირითად ადგილსამყოფელს წარმოადგენს მდინარისპირა ხშირი ტყეები, კარგად განვითარებული ქვეტყით, ხშირი, ლელქაშმოდებული ბუჩქნარები, მაყვლისა და სხვადასხვა სახის ეკალბარდით მოფენილი ადგილები, ლელქაშიანი და ლერწმიანი კორომები. ამდაგვარი ადგილები ხოხობს აძლევს როგორც თავშესაფარს, ისე საკვებს. იგი კარგად ეგუება ადამიანის სიახლოვეს, არ უფრთხის კულტურულ ლანდშაფტსაც და არცთუ ისე იშვიათად ბუდობს პურისა და სიმინდის ყანებში, მზესუმზირის ნათესებში, მაღალი სარეველათი დაფარულ მინდვრებში და სხვ. მთავარს მისი არსებობისათვის წყლის სიახლოვე წარმოადგენს.

ამ ფრინველის ძირითადი საკვებია: გაზაფხულზე და ზაფხულში სხვადასხვა სახის ცხოველური წარმოშობისაა - მწერები, ხოჭოები, მცირე ზომის ლოკოკინები, მოგვიანებით კენკროვანთა ნაყოფი, მარცვლეული, სარეველა ბალახების თესლები და სხვ.

გაზაფხულზე - აპრილის დასაწყისში, ხოხბებს "სასიყვარულო" რიტუალი ეწყებათ. სადმე, დაბალი ბალახით დაფარულ მცირე მინდორზე მამლების მცირე ჯგუფი იკრიბება და იწყებენ სირბილს, თან ხმამაღალი ყივილით უხმობენ დედლებს, რომლებიც იქვე ახლომახლო იმყოფებიან. სხვა ქათმისნაირთაგან განსხვავებით, მათ შორის ამ დროს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები არ იმართება.

აპრილის ბოლოს - მაისის დასაწყისში დედალი სადმე მოფარებულ ადგილას, მეტად პრიმიტიულ ბუდეში - ბალახით ამოფენილ მცირე ორმოში დებს 8-14 კვერცხს და ჯდება ბუდეზე. მამალი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს არც კრუხობაში და არც ახალგაზრდების აღზრდაში. დედალი ბუდეზე ზის 21-23 დღე. წიწილები იჩეკებიან ყვითელი ხშირი ღინღლით შემოსილები და ძალიან სწრაფად ვითარდებიან, ისინი მაშინვე იწყებენ საკვების დამოუკიდებლად ძებნას. ერთ კვირაში ფრთებზე ბუმბული ეზრდებათ. პირველ ხანებში დედას წიწილები ბუდის ახლოს დაჰყავს, მოგვიანებით ისინი სცილდებიან ბუდეს, მაგრამ ბუდობის რაიონს არ ტოვებენ. ბუდობა დედასთან საკმაოდ დიდი ხანი რჩება. აგვისტოს ბოლოს - სექტემბრის დასაწყისში რამდენიმე ბუდობა ერთიანდება და იქმნება საკმაოდ მოზრდილი ფარა, სადაც ორმოცდაათამდე წიწილა და 5-6 დედალია. მამლები ბუდობებს მოგვიანებით უერთდებიან. ოქტომბერში ბუდობები იშლება მცირე ჯგუფებად. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დედლები და მამლები ცალკევდებიან. ზამთრის დადგომისას მამლები გაუვალ დიჭიან ეკალბარდებსა და ლელქაშიანებს აფარებენ თავს, ხოლო დედლები უფრო ღია ადგილებს არჩევენ.

ხოხობს ძალიან ბევრი მტერი ჰყავს; ოთხფეხა მტაცებლებიდან ძირითად მტრებს წარმოადგენენ ლელიანის კატა, ტურა და ენოტისებური ძაღლი, გვერდს არ უვლიან მგელი, მელა და დედოფალა. ფრთოსანი მტაცებლებიდან - ქორი და მიმინო. მაგრამ ხოხბის ყველაზე დიდი მტერია ბრაკონიერობა და, საერთოდ, არარეგულირებული ნადირობა. ზაფხულის ბოლოს მწყერზე სანადიროდ გასული მონადირეები უმოწყალოდ რომ არ ხოცავდნენ ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელ წიწილებს, რომლებსაც არც კი ეტყობათ, დედალია თუ მამალი და არცთუ ისე სახარბიელო ტროფეის წარმოადგენენ, ყოველი დანდობილი დედალი ხომ მომავალ წელს ახალ ბუდობას მოგვცემს. ხოხბების სქესის გარჩევა კი მეტად ადვილია მათი შეფერილობის მიხედვით.

ერთი ამბავი მახსენდება: სკოლის მოწაფე ვიყავი, ზაფხული იყო და სოფელში ვისვენებდი. იმ დღეს ალოობა იწყებოდა და სოფლის ბიჭებთან ერთად პირველი ალოს გადატანის საყურებლად წავედი. მაშინ კომბაინები ასე მრავლად არ იყო და სოფელში ყანას ნამგლით იღებდნენ. ნაკვეთში ექვსი თუ შვიდი მამაკაცი შეუდგა მკას, უკან მათ ორ-ორი მეხელეურე მისდევდათ და მომკილ თავთავს ძნებად კრავდნენ. შუაში მყოფი დაწინაურდა, იგი კარგ მუშად ითვლებოდა და არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ შეჯიბრში ის გაიმარჯვებდა. უცებ იგი შედგა, წელში გასწორდა, ერთხანს იდგა ერთ ადგილზე, შემდეგ უკან დაიხია, ოდნავ გვერდზე და ერთი პატარა ადგილის შემოთიბვა დაიწყო, ისე, რომ 6-7 კვადრატული მეტრი ადგილი მოუმკელი დატოვა. აღმოჩნდა, რომ მას ბუდეზე მჯდომი ხოხობი შეემჩნია.

ამ კაცმა მაინც გაუსწრო ყველას მკაში, ჯილდოდ ღვინის ჯამიც დაიმსახურა და კაცური კაცის სახელიც... სხვანაირად არც შეიძლებოდა, ის ნამდვილი მონადირე იყო.

თავისი მაღალპროდუქტიულობის წყალობით ხოხბის რიცხოვნობა მისი ამა თუ იმ მიზეზით გამოწვეული დეპრესიის შემდეგ მალე აღიდგენს თავს, მიუხედავად იმისა, რომ წიწილების ზრდა-განვითარების პერიოდში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბუდობის ორმოცდაათ პროცენტამდე იღუპება (მტაცებლები, არახელსაყრელი პირობები და სხვ.).

საყურადღებოა ისიც, რომ ხოხობი ადვილად მრავლდება ვოლიერებში და სხვა ადგილებში განსახლებული ძალიან ადვილად ეგუება ახალ გარემოს. ამ ფრინველით ისეთი სავარგულის გამდიდრება შეიძლება, სადაც იგი ადრე არ გვხვდებოდა.

მონადირეებო, დავინდოთ და გავუფრთხილდეთ ხოხობს. იგი ხომ ჩვენი სანადირო ფაუნის მშვენებაა.

# ჩვენ გრანტიჭამია მგლები ვართ!

გაზეთ 24 საათის 17 ოქტომბრის ნომერში (N274) გამოქვეყნდა ოთარ ლომთაძის სტატია "ჩხობაძის გრანტიჭამია მგლები". სტატია საკმაოდ ვრცელი იყო და ეხებოდა მგლების მავნებლობას, საწყალი ველური ჩლიქოსნების მდგომარეობას (რომლებიც მგლებმა გაწყვიტეს), ჩვენს გრანტიჭამიობას, ჩვენს ცრუ-მეცნიერობას და მისთ. ჩვენ გამოვყოფთ ორ ძირითად მომენტს: მკითხველის შეცდომაში შეყვანას არასწორი ტერმინების გამოყენებისა და მეცნიერული ინფორმაციის დამახინჯების გზით და მეორე - კონკრეტული ადამიანებისა და ორგანიზაციების პატივისა და ღირსების შელახვას.

ამ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ინტრიგებით გადაღლილ საქართველოს მოსახლეობას აღარ გვინდა მორიგი წვრილმანი კინკლაობა შევთავაზოთ, თუმცა მავანმა უნდა იცოდეს, რომ მორიგაც კი საკმარისია იმის გასააზრებლად, რომ ბუნებრივ გარემოში ველურ ჩლიქოსნებს ადამიანის გამოსარჩლება მხოლოდ თვით ადამიანებისგან და არა თავიანთი ბუნებრივი მტრებისგან დასაცავად სჭირდებათ. "საწყალ" ირმებზე "ოპონენტი" ნუ იდარდებს, რადგან მათზე ევოლუცია ზრუნავს. ასე რომ არ იყოს, აქამადე ირემიცა და მისი მგელიც კარგა ხნის გადაშენებულები იქნებოდნენ. არც ერთი მაგალითი არ არსებობს იმისა, რომ ბუნებრივ სისტემაში რომელიმე სახეობა გადაშენდა, ან სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ბუნებრივი მტრის–მტაცებლის მიზეზით. რაღა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როცა ადამიანს ახალ ადგილებში უცხო მტაცებელი შეჰყავს. მგელს ევოლუციამ თავდასხმისა და მსხვერპლის მოკვდინების იარაღები უბოძა, ირემს ამ მტრისადმი წინააღმდეგობის გაწევის ან კითხაობის წლები, ნაკრძალებში "კალაშნიკოვებით" ბრაკონიერობის არნახული ზრდა და ტყეების გაჩანაგება - ამ ფონზე მგელს, ანუ ველური ჩლიქოსნების ბუნებრივ მტერს, დააბრალო ირმისა და შვლის პოპულაციების "განადგურება", რბილად, რომ ვთქვათ გულუბრყვილობაა. მეოცე საუკუნემდე ორივე მშვენივრად თანაცხოვრობდა და ჩლიქოსანიც მრავლად გვყავდა. მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ, მაგალითად, კოლხეთის დაბლობზე მგელი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან აღარ ბინადრობს. ამ პერიოდისათვის შვლის რიცხოვნობა ნორმალური იყო. დღეისათვის კი, თითო-ოროლა შველი თუ შემორჩა ამ რეგიონში. ვინაა დამნაშავე? ტყის მჩეხავი და ბრაკონიერი თუ ის 10000 მგელი რომელიც ჩვენი "ოპონენტის" თქმით მომრავლდა საქართველოში? და მართლაც,

მკითხველისთვის კი ვიტყვით, რომ იასონ ბადრიძე ის მეცნიერია, ვისაც შეკვეთილი მოხსენებებით იწვევენ სხვადასხვა ქვეყნებში საერთაშორისო შეხვედრებსა თუ საზღვარგარეთ უმაღლესი რეიტინგის სამეცნიერო ტელეგადაცემებში. ეს ის ადამიანია, ვის კვლევებსაც ბრწყინვალეს უწოდებდა დიდი ჯერალდ დარელი, ვისაც ჭკუას ეკითხება არანაკლებ დიდი მეცნიერი ჯეინ გუდოლი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი რაც ამ ადამიანს გაუკეთებია, არის ის, რომ იგი თაობებს ზრდის. ჩვენი "ოპონენტის" მიერ აბუჩად აგდებული იასონ ბადრიძის სკოლის წარმომადგენელი ზურაბ გურიელიძე, ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) სახეობათა გადარჩენის კომისიის ირმების სპეციალისტთა ჯგუფის წევრი და დიდი ბრიტანეთის კენტის უნივერსიტეტის დიპლომანტია. სწორედ იასონ ბადრიძისგან მიღებულმა ცოდნამ განაპირობა ის, რომ ზურაბი ბონის კონვენციის სამეცნიერო საბჭოს წევრი გახდა. იასონი ის მეცნიერია, ვის ასპირანტ იამზე ხუციშვილსაც უპირობოდ იღებენ ოქსფორდის უნივერსიტეტში, მის სტუდენტ ლევან ბუთხუზს კი სტრათკლაიდის უნივერსიტეტში (შოტლანდია) აჩერებენ და ეუბნებიან: "ჩვენ გვშურს თქვენი, რადგან პატივი გხვდათ წილად იასონთან იმუშაოთ"-ო. ეს ის კაცია, ვის სამეცნიერო ბაზაზეც მისმა სკოლის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ირაკლი შავგულიძემ შოტლანდიაში, აბერდინის უნივერსიტეტში დაცულ დისერტაციაზე მიიღო კომპლიმენტი: "გეტყობათ ბადრიძის ხელი, სხვანაირად არც შეიძლებოდა!" ბეჟან ლორთქიფანიძე კი, როგორც იასონ ბადრიძის მოსწავლე, მიუხედავად დიდი კონკურსისა, ერთადერთი იყო იმ პრივილეგირებულ უცხოელთა შორის, რომელიც შვედეთში მიიწვიეს მურა დათვის ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით პროექტში. მოკლედ, ამ გაზეთის სრული ფორმატიც კი არ ეყოფა იმ კონკრეტული შედეგების აღწერას, რაც ბატონი იასონის სამეცნიერო სკოლის დაფასებას შეესატყვისება.

ჰო, პროფესიონალიზმზე ვლაპარაკობდით. მგონი ჟურნალისტობაც პროფესიაა. ჩვენს "ოპონენტს" კი სახეობათა კონსერვაციის ცენტრის გრანტების შესახებ ჟურნალისტური გამოძიება ჩაუტარებია. კი, მაგრამ:

გენია რა გავლენა უნდა მოეხდინა გარემოს დაცვის მინისტრის მეუღლეს შვეიცარიის WWF-ის საგრანტო კომისიაზე გლანდში (ქალაქი შვეიცარიაში) მაშინაც კი, როცა ის ჯერ კიდევ არ მუშაობდა WWF-ის თბილისის (ქალაქი საქართველოში) საპროგრამო ოფისში. ასე რომ, მინიშნება ჩვენი ცენტრის აბსურდულ ნათესაურ-კლანურ ურთიერთობებთან კავშირის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა. აქ მხოლოდ ერთი კომენტარი შეიძლება გაკეთდეს: ასეთი კავშირები არც ისე ძნელი მოსანახია საქარველოს სინამდვილეში და ობიექტურ ჟურნალისტს მისამართი ნამდვილად არ შეეშლებოდა. ზემოხსენებულ პროექტს ასევე არავითარი კავშირი არ აქვს შვეიცარიულ ფონდთან – Mgeli Fund for the Caucasian Wolf. ამ ფონდმა 1993-94 წლებში ფინანსური მხარდაჭერა გაგვიწია მტაცებელ ძუძუმწოვართა რეინტროდუქციის პრობლემების შესწავლის საქმეში, რასაც შედეგად მსხვილ ძუძუმწოვართა აღდგენის მსოფლიოში აღიარებული მეთოდის შემუშავება მოჰყვა.



შეურაცხყოფას საკადრისი პასუხი გაეცემა სასამართლო დარბაზში. ამ სტატიით გვინდა მკითხველს დასმულ ეკოლოგიურ პრობლემაზე მივაწოდოთ გამართული მეცნიერული თვალსაზრისი და არ დავტოვოთ იმ ადამიანებისგან მიღებული ინფორმაციის ამარა, რომლებსაც ოდესღაც სადღაც რაღაც წაუკითხავთ და თავს უფლებას აძლევენ ამ ყურმოკრული ინფორმაციის საფუძველზე შეცდომაში შეიყვანონ მკითხველი.

მკითხველისათვის საქმის გასამარტივებლად ჩვენი სტატია იმ რიტორიკულ კითხვებზე გასცემს პასუხს რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დასვა ბატონმა ოთარ ლომთაძემ. პირველი რასაც კაცი შეამჩნევს არის ის, რომ ჩვენი "ოპონენტი" ცხოველთა სამყაროს "მავნე" და "სასარგებლო" ცხოველებად ყოფს. მის მიხედვით, მგელი (და საერთოდ ყველა მტაცებელი), რა თქმა უნდა მავნეა. აქვე იბადება კითხვა:

## რატომ დაიყო ფაუნა "მავნე" და "სასარგებლო" ცხოველებად, და საერთოდ, არსებობენ კი ასეთები ბუნებაში?

ის, რომ საქართველოს მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერება და ეკოლოგიური განათლება დაბალ დონეზეა, საბჭოთა სისტემის ერთ-ერთი გადმონაშთია. ქვეყანაში, სადაც გენეტიკა, როგორც მეცნიერება იდევნებოდა და ლისენკოს მოძღვრებას ჰქონდა მწვანე გზა მიცემული, მიღებული იყო, რომ ცხოველები არიან ორი სახის: პირველი-სასარგებლო, რომლებსაც ადამიანი მიირთმევს და მეორე-მავნებელი - რომლებიც იკვებებიან ზემოთ ნახსენები სასარგებლო სახეობებით. ცხადია, ამ ჯგუფში, ძირითადად, მტაცებლები შედიოდნენ. მტაცებლები, ისევე როგორც სხვა ცხოველები, ეკოსისტემის განუყოფელი ნაწილია. თავად ეკოსისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ქვისაგან აგებული თაღი. მის წვეროში მოთავსებულია შემკვრელი ქვა, რომელიც იჭერს მთელ თაღს. მას ქვაკუთხედს (ანუ თავკიდურა) უწოდებენ, ხოლო ისეთ სახეობებს, რომლებზეცაა დამოკიდებული სხვა სახეობების კეთილდღეობა - **ქვაკუთხედ სახეობებს**. თუ ქვაკუთხედი სახეობები გაქრებიან, თანდათანობით გადაშენდებიან ის სახეობებიც, რომლებიც მათ "ეყრდნობიან". ქვაკუთხედი სახეობები შეიძლება იყოს უმაღლესი მტაცებლები, რომლებიც არეგულირებენ მსხვერპლი სახეობების რაოდენობას, ბალახით მკვებავი მსხვილი ჩლიქოსნები და სხვ. მგელი სწორედ ასეთ ქვაკუთხედ სახეობას წარმოადგენს. ეკოლოგიური სისტემები გაცილებით უფრო გონივრულადაა მოწყობილი. ვიდრე ეს ზოგიერთს წარმოუდგენია. სასკოლო დონის ეკოლოგიის ცოდნა და მცირეოდენი ლოგიკის მოშველიებგანრიდების სხვადასხვა საშუალებები განუვითარა, ანუ ბუნებაში ბალანსი ნარჩუნდება... რა თქმა უნდა, სანამ ადამიანი არ ჩაერევა და თავისი "მოღვაწეობით" მტაცებელი-მსხვერპლის გაწონასწორებულ სისტემას მწყობრიდან არ გამოიყვანს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს "ოპონენტს" მგელი "ვაისანიტარი" ჰგონია, ის, გარდა იმისა, რომ მართლაც ასრულებს სანიტარის ფუნქციას, სუსტი და დაავადებული ინდივიდების ამოღების გზით ხელს უწყობს მსხვერპლის პოპულაციის გაჯანსაღებას და მინიმუმადე დაყავს მასში ეპიზოოტიების გავრცელების საშიშროება, ამავე დროს იგი რეგულატორულ როლსაც ასრულებს, რაც გამორიცხავს მსხვერპლის პოპულაციის ზედმეტად გაზრდას. ადამიანი კი მაინც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაემტერა მგელს. ამ კონფლიქტის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ მგელი ჭამს იმას, რისი შეჭმაც ჩვენს "ოპონენტსაც" შეეძლო.

ბატონი ლომთაძე აცხადებს, რომ ევროპამ მგლის "სანიტრობის" საყმაწვილო სენი სწრაფად და უმტკივნეულოდ მოიხადა და ეს კონტინენტი ამით გაბედნიერდა. დიახ, გასული საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებში მგელი უკვე გადაშენებული იყო. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა თვალშისაცემი ის შედეგები, რაც მგლის მოსპობამ გამოიწვია. ველური ჩლიქოსნები ისე გამრავლდნენ, რომ ფაქტობრივად მთლიანად მოსპეს საკუთარი საკვები ბაზა, საძოვრები და ქვეტყე. ბატონი ლომთაძის სტატიაში ჩნდება გაუგებარი წყაროებიდან მოტანილი მასალა, რომ თურმე ევროპული ნორმებით "ტერიტორიის ფართის მიხედვით 280-ზე, ხოლო ჩლიქოსნების რიცხვის მიხედვით 80-ზე მეტი მგელი არ უნდა გვყავდეს." რიგით მკითხველს არაფრით არ მოეთხოვება იცოდეს, რომ ასეთი ევროპული ნორმები არ არსებობს. ისე კი, ჩვენი "ოპონენტის" ცნობისათვის, მგელი შესულია ევროპის ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების დაცვის კონვენციის II დანართში, რაც ამ სახეობის მკაცრ დაცვას ავალებს ყველა მხარე ქვეყანას.

## მართლა მგელმა შეამცირა ჩლიქოსნები საქართველოში?

გვინდა თუ არა, ჩვენს "ოპონენტს" უნდა დავეთანხმოთ: საქართველოში კატასტროფულად დაიკლო ველური ჩლიქოსნების რაოდენობამ და ასევე ვერსად წაუხვალ არგუმენტს, რომ ეს სავალალო მოვლენა საქართველოში მართლაც ემთხვევა ქვეყანაში მტაცებლებზე პრემიალური სისტემის გაუქმებას (1993 წლიდან). მაგრამ გავიხსენოთ ამავე პერიოდიდან ანუ 90-იანი წლებიდან რა მოვლენები ვითარდება ჩვენს ქვეყანაში. ბუნების დაცვის სისტემის მოშლა და სრული განუ-

## რამდენი მგელია საქართველოში?

ზუსტი რიცხვის დასახელება საკმაოდ ძნელია, რადგან ამას მასშტაბური გამოკვლევა სჭირდება. მაგრამ ერთი რამ უდავო ჭეშმარიტებაა: საქართველოში 10000 მგლის არსებობა ჰალუცინაციას ჰგავს და ეს არ უნდა ეშლებოდეს ნატურალისტს! ქვეყნის ტერიტორია 69 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. ამას გამოვაკლოთ სულ ცოტა 15 ათასი კვ. კილომეტრი (დაახლოებით ამდენია ტერიტორია, სადაც მგელი არ ბინადრობს, კოლხეთის დაბლობის, დასახლებული პუნქტებისა და წყალსატევების ჩათვლით). მაშინ გამოვა, რომ მგლის საშუალო სიმჭიდროვე არის ერთი მგელი ყოველ 5.5 კვ. კმ.-ზე. მგლის, და საერთოდ მსხვილი მტაცებლის, ასეთი მაღალი სიმჭიდროვე ყოვლად წარმოუდგენელია. ეს რომ მართალი იყოს, ტყეში სეირნობისას მგელს წამდაუწუმ კუდზე უნდა ვაბიჯოთ ფეხი. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი ვფიქრობთ, რომ თუნდაც გეოგრაფიული ლიმიტების გამო, საქართველოს მგლის რაოდენობა 1500-2000 ინდივიდს ვერ გადააჭარბებს. სამწუხაროა, რომ ასეთ პროფესიულ საკითხებზე სხვა დარგის სპეციალისტები მსჯელობენ თამამად. თუმცა ჩვენი "ოპონენტის" ინფორმირებულობას სხვა ვაი-ზოოლოგების მიერ საზოგადოებაში დანერგილი აზრის კვალიც ატყვია. საერთოდ კი, პროფესიონალიზმს ჩვენში პატივს არ სცემენ, უფრო მეტიც, ჩვენში პროფესიონალები არ უყვართ. უფრო სწორედ კი, ისინი მეტწილად სიკვდილის შემდეგ უყვართ.

## რატომ უყვართ საქართველოში პროფესიონალები მხოლოდ სიკვდილის შემდეგ?

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი იასონ ბადრიძე იმ ქცევათმეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის გარშემო, ახლაც, ამ წუთასაც, ათზე მეტი ახალგაზრდა მეცნიერი ტრიალებს. იასონ ბადრიძე კი სწორედ ის ადამიანია, ვისი პროფესიონალიზმი ბიოლოგიაში და ვისი სკოლაც ჩვენი "ოპონენტის", ანუ სრულიად სხვა დარგის მუშაკის გასაქილიკებელი (?!) გახდა. უფრო მეტიც, სიცრუეც კი დაგვწამეს! შეურაცხყოფაზე ახლა არ ვპასუხობთ. ეს ჩვენი ღირსების დამცირებად მიგვაჩნია. სხვა რამ გვაფიქრებს; თავის წერილში ბატონი ლომთაძე ამბობს "ამ აბდაუბდაში გარკვევა შეუძლებელია"-ო. მართალი ხართ ბატონო, ბიოლოგიის "აბდაუბდას" მხოლოდ ბიოლოგი თუ გაიგებს. პატივს ვცემთ მეტროლოგიას, მაგრამ მაინც ჩვენს აზრზე ვრჩებით: ბიოლოგს ბიოლოგი უნდა ეკამათოს, მეტროლოგს მეტროლოგი და ფიზიკოსს ფიზიკოსი, არქიტექტორს არქიტექტორი.

## რატომ ატარებენ ჟურნალისტურ გამოძიებას არაჟურნალისტები?

რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს უფლება იმ სფეროში ილვაწოს, რომელშიც უნდა. მაგრამ ჟურნალისტობა და, მით უმეტეს, ჟურნალისტური გამოძიება საქართველოსთვის ახალი ხილია და ჩვენი აზრით ამას დღეს ხარისხიანად მხოლოდ ერთი ჟურნალისტი და მისი გუნდი აკეთებს. ჩვენი "ოპონენტის" მაგივრად ჟურნალისტური გამოძიება პროფესიონალ ჟურნალისტს რომ ჩაეტარებინა ელემენტარულ ფაქტობრივ შეცდომებს არ დაუშვებდა და არც მოვლენათა ქრონოლოგია აერეოდა. იგი 2003 წლის 17 ოქტომბერს აბრალებს მეცნიერებათა დოქტორ იასონ ბადრიძეს და მეცნიერებათა კანდიდატ ზურაბ გურიელიძეს გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლობას. ბატონო "ოპონენტო", ისინი უკვე კარგა ხანია, აღარ მუშაობენ გარემოს დაცვის სამინისტროს სტრუქტურებში. სახეობათა კონსერვაციის ცენტრმა კი შვეიცარიის WWF-ის გრანტით მართლაც განახორციელა პროექტი სახელწოდებით "მგლის, როგორც საკვანძო სახეობის, მონიტორინგი აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრძალებში". აქ თურმე მინისტრის მეუღლე ყოფილა დამნაშავე. ეს პროექტი 1997 წელს დაიწყო და ძნელი წარმოსად-

ამდენი არასწორი ინფორმაციის მიწოდება საჭირო გახდა იმისათვის, რომ შელახონ სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და მისი თანამშრომლების პატივი და ღირსება. საერთოდ ამ ბოლო დროს სხადასხვა ორგანიზაციაში მეტად პოპულარული გახდა ჩვენი ცენტრის გარშემო ჭორების გავრცელება. აქამდე ჩვენ უყურადღებოდ ვტოვებდით ასეთ გამოხდომებს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ "არ ვარგა კაცი უმტერო და არც მტერგამარჯვებული". თუმცა, ჩვენი ასეთი დუმილი ზოგიერთებმა ჩვენ სისუსტედ აღიქვეს. ბატონი "ოპონენტი" იმაშიდაც მართალია, როცა ამბობს, საქართველოში ყველაფერი ფულის გამო ხდებაო. ასეა ეს! კარგად ვიცით, რა უდევს ამას საფუძვლად. სხვადასხვა პირების სურვილი იმუშაონ ჩვენთან და, როგორც თვითონ თვლიან, არაფრის კეთებაში გასამრჯელო მიიღონ. დაბალი პროფესიონალიზმის გამო ეს პირები კონსულტანტებად არ იქნენ მოწვეული. ამის გამო აგორდა ტალღა ჩვენს წინააღმდეგ და თანდათანობით "ცუნამის" ხასიათი მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ცენტრს აქვს კონსულტანტთა ქსელი, რომელშიც ჩართულია ბევრი ღირსეული ადამიანი საქართველოს და (არა მხოლოდ საქართველოს) მეცნიერებათა აკადემიიდან, აგრეთვე უცხოეთიდანაც.

მათ, ვისაც მგლის შიში ღამით ძილს უფრთხობს, ვურჩევდით ჩვენი "ოპონენტის" მსგავსად საპოლემიკოდ ნუ მოიშველიებენ ნაფტალინიდან ამოღებული ანაქრონული საბჭოთა ნადირთმცოდნეობის მამამთავრის მანტეიფელის ციტატებს. წაიკითხეთ ყველა ბავშვისათვის კარგად ცნობილი ფარლი მოუეტის ნაწარმოები "ნუ იყვირებთ: მგელი". გარწმუნებთ, უდიდეს სიამოვნებას მიიღებთ და აღარც წითელ "მეცნიერებს" გამოეტირებით.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ვიხსენებთ, რომ მავანნი (თუმცა, რამდენადაც ვიცით ბ-ნი ლომთაძე აქ არაფერ შუაშიუა) ჩვენ გვაბრალებენ რაღაც არარსებული წითელი მგლების საქართველოში ჩამოყვანას და გაშვებას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, ეს იმ აკვიატებული აზრის ვაი-ზოოლოგთა ჰალუცინაციაა, ვისაც ჰგონია, რომ ზოლებიან აფთარს ფეხზე ხუთი თითი აქვს. ცნობისათვის, აფთარს მხოლოდ ოთხი თითი აქვს და ნადირთა კვალის გასარჩევი წიგნის გამოშვებისას თუ ზოოლოგს ასეთი შეცდომა მოსდის, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ მას ვაი-ზოოლოგი ვუწოდოთ.

*სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი*
*NACRES*

## ორშაბათი 24.11

### რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა 07.10 სერიალი "ჯადოქარი" 09.40 სერიალი "ასულ ტეკილა" 10.20 დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" 11.00 [illegible] 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი "ასულ ტეკილა" [illegible] 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 18.20 სერიალი "ჯადოქარი" 18.55 სერიალი "მაშველები" 19.50 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 22.00 [illegible] 23.00 ღამის კურიერი [illegible] 00.00 მხ. ფილმი [illegible]

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 10.10 სერიალი "ფორსაიტების საგა" 11-12 ს. [illegible] 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე [illegible] 18.00 ვესტნიკი 18.25 ტელესერიალი "სოლედადი" [illegible] 21.00 [illegible] 21.35 კრიმინალური ქრონიკა 21.45 [illegible] 22.30 რა ხდება 00.00 მხ. ფილმი [illegible]

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი [illegible] 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 [illegible] 23.00 [illegible] 00.00 "ზრავო" [illegible] 01.40 "ღამურა" მხ. ფილმი. 03.00 პაუზის გარეშე

### მზე

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი "მარია ემილია" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "არგაი" 19.00 სერიალი "მარია ემილია" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი [illegible] 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი [illegible]

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 [illegible] 21.00 [illegible] 22.10 მხ. ფილმი [illegible]

### კავკასია

12.00 [illegible] 15.00 მხ. ფილმი [illegible] 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი [illegible] 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი [illegible]

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა [illegible] 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები [illegible] 23.45 [illegible]

### მესამე არხი

08.00 პროგრამა "დილა" 10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები [illegible]

### იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00 ქრონიკა 07.15, 09.10, 13.15, 16.45, 17.20, 00.55 იმედის მელოდიები 07.45 "იმედის" დილა 09.30 სერიალი [illegible] 19.30 სერიალი "კლონი" [illegible]

### არხი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფ. გამოშვება "დღეს" 09.20, 12.10, 16.10 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 09.30 ფილმი-ზღაპარი "დაბრუნება ოზის ქვეყანაში" 11.20 დოკუმენტური ფილმი 12.20 ისტორიული ფილმი "იულიუს კეისარი" 1 ს. 13.45 მუსიკა 14.00, 18.00 საინფორმაციო დაიჯესტი 14.05 კომედია "ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა" 16.20 მულტფილმი "ზემბი" 17.30 სათავგადასავლო ფილმი "ფესალიელი გოლიათი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 დოკუმენტური ფილმი 20.10 მხატვრული ფილმი "ზაიკერები" 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მელოდრამა "ამერიკის პრეზიდენტი" 02.50, 05.40 მუსიკა 03.40 დრამა "მისისიპი ცეცხლში" 25 ნოემბერი

### VII არხი

09.15 "აჩიკუდა" 09.35 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.20 მელოდია 10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.00 "ტალავერი" - განმეორებით 12.00 ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" 12.45 დისნეი და მისი მეგობრები 13.10 მობილურები 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 20.25 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 "ნა-ნა-ნა" - კარაოკე 22.00 მობილურები 22.30 "კინოკლუბი " - "ცუდი კომპანია" მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ: ჰოელ შუმახერი. როლებში: ენტონი ჰოპკინსი, კრის როკი. 00.15 მელოდია 00.20 ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" 01.00 ტექნიკა - აუდიო-ვიდეო-ტელე

### ОРТ

07.00 "Доброе утро" 09.30 Выборы-2003 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.10 **Элизабет Тейлор и Ричард Бартон в комедии "Укрощение строптивой"** 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Город женщин 14.20 **Ирина Метлицкая и Николай Еременко в мелодраме "Роман в русском стиле"** 16.20, 02.10 "Фабрика звезд-3" 16.30 "Угадай мелодию" 17.00 **Сериал "Берег мечты"** 18.00 "Большая стирка" 19.30 Выборы-2003 20.00 **Сериал "Земля любви, земля надежды"** 21.00 Жди меня 22.00 Время 22.30 **Валерий Николаев, Юрий Соломин в боевике "Родина ждет". 1с.** 23.40 Криминальная Россия. "Смертельный звонок". 2-я с. 00.10 "Театр кукол" 00.40 Искатели. "Руины великих затей" 01.10 Максим Никулин в программе "Форганг" 01.40 "Русский экстрим" 02.30 **Приключенческий фильм "Сердце дракона"** 03.50 **Детектив "Убийство в уме"** 05.20 **Сериал "Полтергейст"** 06.05 **Сериал "Убойная служба"** 06.20 "Шутка за шуткой"

### РТР

06.00 Доброе утро, Россия! 09.45 **Мария Миронова, Марат Башаров в фильме "СВАДЬБА"** 11.50 В Городке 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.30, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Короткое замыкание" 13.50 Вести недели. 14.45, 17.30, 01.25 Вести. Дежурная часть 15.30 "Что хочет женщина" 16.30 **Сериал "ЛЕДИ МЭР"** 18.10 **Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ"** 19.10 **Сериал "УНДИНА"** 20.00 Выборы-2003 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 **Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ"** 23.00 **Сериал "ОПЕРАТИВНЫЙ ПСЕВДОНИМ"** 00.00 Вести+. 00.20 "Мой серебряный шар. Симона Синьоре" 01.15 Народный артист. 01.40 Синемания. 02.15 Дорожный патруль. 02.30 **Дэвид Аркетт в остросюжетном фильме "ПАНИКЕР"**

### НТВ

07.00 Утро на НТВ 09.50 Олег Басилашвили в программе "Растительная жизнь" 10.25 "Без рецепта". Доктор Бранд 11.00 Сегодня утром 11.25 "Намедни" 13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.15 "Сегодня" 13.30 **Остросюжетный фильм "ЮККА"** 15.35 По праву 16.35 "Не стоит прогибаться под изменчивый мир". Ток-шоу "Принцип домино". 18.30 **Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"** 19.35 "Внимание: розыск!" "Убить дракона". Часть 2-я. 20.35 **Премьера. Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ"** 21.45 **Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2". 20-я с.** 23.00 "Страна и мир" 23.35 Красная стрела 23.50 **Премьера. Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ". 21-я с.** 01.05 **Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ".**

## სამშაბათი 25.11

### რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა 07.10 სერიალი "ჯადოქარი" 09.40 სერიალი "ასულ ტეკილა" 10.20 დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" 11.00 სერიალი "ჯაშუში" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი "ასულ ტეკილა" 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.20 სერიალი "ჯადოქარი" 18.50 ბუნება 19.15 პერეკრესტოკი 19.50 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 22.00 ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. "სელტიკი"-"ბაიერნი" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.40 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 10.05 მხ. ფილმი "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება" 11.45 კრიმინალური ქრონიკა 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 მხ. ფილმი "ნაწვიმარზე" 16.55 დოკ. სერიალი "კვალდაკვალ" მე-2ნ. 17.20 მულტსერიალი "ჩემი პატარა ძვირფასი პლანეტა" 17.30 საქართველო და გარე სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.25 ტელესერიალი "სოლედადი" 19.15 და არს მუსიკა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.35 კრიმინალური ქრონიკა 21.45 "სათავეებთან" 22.30 რა ხდება 00.00 მხ. ფილმი "ცოლი წავიდა"

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი "ჯუნგლებიდან ჯუნგლებში" მთ.რ-ში ტიმ ალენი, მარტინ შორტი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 00.00 "ზრავო" "ფანფან ტულპანი" მთ.რ-ში ვენსან პერესი, პენელოპა კრუსი. 01.40 "ღამურა" მხ. ფილმი. 03.00 პაუზის გარეშე

### მზე

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი "მარია ემილია" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "არგაი" 19.00 სერიალი "მარია ემილია" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "მივუკაკუნოთ სამოთხის კარს" 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი "წყალქვეშა ნავი"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 კინოსეანსი "ვიწრო ზღვარი" 21.00 ისტორიანი 21.30 ასპარეზი 22.10 მხ. ფილმი "ლამაზი მამაკაცი" მე-2 ს.

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "სასაცილო გოგონა" 15.00 მხ. ფილმი "საცდელი დღე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფილმი "ნიკო" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "შემართულად" 22.30 მხ. ფილმი "დოქტორ მოროს კუნძული"

### იბერია

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 10.00 ბურთი და მოედანი 10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30 მუსიკა 11.00 სერიალი "საჰაერო პოლიცია" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 17.30 მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" 13.30 დოკ. ფილმი 15.15 მხ. ფილმი "პირველი მილიონი" 18.00, 20.00 დოკ. ფილმი 21.00 სერიალი "საჰაერო პოლიცია" 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი "დენთის კასრი" 00.55 მუსიკა

### მესამე არხი

08.00 პროგრამა "დილა" 10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.10 ანონსი 10.15, 15.10, 16.20, 17.50, 22.10 მუსიკა 10.30 სერიალი "მოჯადოება" 11.30 მხ. ფილმი "გატაცება 60 წამში" 13.15 დოკ. ფილმი "ჰეროლ ლოიდი" 1-ლი ნ. 14.00 მულტფილმი "სიმბა მეფე ლომი" 14.50 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-2ნ. 15.10 სერიალი "პატარა აინშტაინები" 15.35 მხ. სერიალი "ქალთა სავანე" 16.35 დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" 17.00 მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" 18.00 მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" 18.30 სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ქალთა სავანე" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.15 სერიალი "მოჯადოება" 22.20 "ტელემეტრი" 22.45 მოკლ. მხ. ფილმი 23.20 "ცხელი ცხრიანი" 00.30 მხ. ფილმი "უცხოელი"

### იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 09.10, 13.15, 17.20, 00.40 იმედის მელოდიები 07.45 "იმედის" დილა 09.30 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 10.30 სპორტ. პროგრამა "გოლი" 11.05 სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" 12.10 სერიალი "კლონი" 13.30 სერიალი "უკიდურესი ზღვარი" 14.05 სერიალი "ნეშ ბრიჯისი" 15.15 მხ. ფილმი "მოქუფრული დაისი" 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.25 ქრონიკა 17.25 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 18.05 სერიალი "სიყვარული უდაბნოში" 19.30 სერიალი "კლონი" 20.30 სერიალი "ნეშ ბრიჯისი" 21.30 ლარის მახე 22.50 მძაფრსიუჟეტიანი კინო "მომკალი კიდევ ერთხელ"

### არხი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.40 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფ. გამოშვება "დღეს" 09.20, 12.10, 16.10 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 09.30 სათავგადასავლო ფილმი "მალაზიელი მეკობრეები" 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.20 მხ. ფილმი "ბაიკერები" 14.00, 18.00 საინფორმაციო დაიჯესტი 14.05 მხ. ფილმი "ბაიკერები" (გაგრძელება) 14.15 მუსიკა 14.25 კომედია "არლეტი" 16.20 მულტფილმი "კატა ლეოპოლდი" 17.30 ისტორიული ფილმი "მეფეთა მეფე" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "დღეს მსოფლიოში" 20.00 მუსიკა 20.25 კომედია "ქალაღდის ჯარისკაცები" 21.50 "გალერეა" 23.00 Пресс-папье 23.10 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.30 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.00 მელოდრამა "მინერი სურვილები" 02.40, 05.45 მუსიკა 03.40 თრილერი "სახელმწიფოს მტერი"

### VII არხი

09.10 მელოდია 09.15 "აჩიკუდა" 09.35 "ბედნიერი ერი" 09.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.00 მელოდია 10.10 მობილურები 10.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 11.15 აუდიო-ვიდეო-ტელე 12.00 ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" 12.45 დისნეი და მისი მეგობრები 13.05 მელოდია. 18.15 მოკლედ... საქართველო, ეკონომიკა 18.20 აუდიო -ვიდეო- ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 20.10 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.35 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.15 "ავტოტრეკინგი" 22.00 მობილურები 22.30 "კინოკლუბი" - "ჯაშუშთა შვილები". სათავგადასავლო . რეჟ. რობერტ როდრიგესი. როლებში: ანტონიო ბანდერასი, სილვესტერ სტალონე. 00.15 მელოდია 00.20 ტელესერიალი -"აღმოსავლეთ -დასავლეთი" 01.00 კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

07.00 "Доброе утро" 09.30 Выборы-2003 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.10 **Боевик "Родина ждет". 1-я с.** 11.20, 20.00 **Сериал "Земля любви, земля надежды"** 12.10 "Ураза-Байрам". Трансляция из Уфимской соборной мечети 13.20 Город женщин 14.10 **Иннокентий Смоктуновский в детективе "Линия смерти"** 16.20, 02.00 "Фабрика звезд-3" 16.30 "Угадай мелодию" 17.00 **Сериал "Берег мечты"** 18.00 "Большая стирка" 19.30 Выборы-2003 21.00 **Сериал "Нина"** 22.00, 00.30 Время 22.30 **Боевик "Родина ждет". 2-я с.** 23.40 Тайны века. "Эдуард Стрельцов. Зона для центра нападения" 01.00 "На футболе" 01.30 "Подводный мир Андрея Макаревича" 02.20 **Триллер Стивена Кинга "Мертвая зона"** 04.20 **Бен Кингсли в мелодраме "Черепаховый дневник"** 06.05 **Сериал "Убойная служба"** 06.20 "Шутка за шуткой"

### РТР

06.00 Доброе утро, Россия! 09.45, 21.55 **Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ"** 10.45 Праздник Ураза-Байрам. Трансляция из Московской соборной мечети. 11.45, 14.50, 17.30, 01.25 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.30, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Короткое замыкание". Ток-шоу 13.50, 23.00 **Сериал "ОПЕРАТИВНЫЙ ПСЕВДОНИМ"** 15.30 "Что хочет женщина" 16.30 16.30 **Сериал "ЛЕДИ МЭР"** 18.10 **Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ"** 19.10 **Сериал "УНДИНА"** 20.00 Выборы-2003 21.50 Спокойной ночи, малыши! 00.00 Вести+ 00.20 Премьера. "Тегеранский лабиринт: Сталин, Черчилль, Рузвельт". 1-я серия. 01.15 Народный артист 01.40 **Настасья Кински и Джефф Фейхи в фильме "ХОЛОДНОЕ СЕРДЦЕ"** 03.40 Дорожный патруль 03.55 Агентство одиноких сердец 04.20 **Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

### НТВ

07.00 Утро на НТВ. 09.45 **Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2"** 11.00 Сегодня утром. 11.25 "Их нравы" с Дмитрием Захаровым. 12.15 Ток-шоу "Страна советов". 13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.45 "Сегодня" 13.30 "Первобытный инстинкт". "Профессия - репортер". 13.55 **Нина Русланова, Леонид Куравлев и Александр Лазарев в комедии "БЕРЕГИТЕ МУЖЧИН!"** 15.35 По праву. 16.35 "Куда деваться от попсы?" Ток-шоу "Принцип домино". 18.30 **Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"** 19.35 Территория выживания. 20.25 **Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ"** 21.20 **Футбол. Лига Чемпионов. "Локомотив" (Россия) - "Динамо" (Украина).** 23.35 "Страна и мир" 00.05 Красная стрела 00.20 **Сериал "КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ". 22-я с.** 01.40 **Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ"** 03.10 Дневник Лиги чемпионов. 04.15 Кома: это правда.

## ოთხშაბათი 26.11

### რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა 07.10 სერიალი "ჯადოქარი" 09.40 სერიალი "ასულ ტეკილა" 10.20 დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" 11.00 ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.30 სერიალი "ასულ ტეკილა" 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 18.25 სერიალი "ჯადოქარი" 18.55 სერიალი "მაშველები" 19.50 სერიალი "სასტიკი ანგელოზი" 22.00 სერიალი "სოპრანოს კლანი" 22.50 ღამის კურიერი 23.45 ჩემპიონთა ლიგა. "აიაქსი"-"მილანი" 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 10.10 მხ. ფილმი "ცოლი წავიდა" 11.45 კრიმინალური ქრონიკა 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "კვალდაკვალ" მე-3ნ. 15.15 მხ. ფილმი "დაკარგულ ბავშვთა სამყარო" 17.10 50-50 17.45 მულტსერიალი "ჩემი პატარა ძვირფასი პლანეტა" 18.00 ვესტნიკი 18.20 ტელესერიალი "სოლედადი" 19.15 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.35 კრიმინალური ქრონიკა 21.45 "მათი შვილები" 22.30 რა ხდება 00.00 მხ. ფილმი "რემბო-3"

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი "მე, ისევ მე და ირენი" მთ. რ-ში ჯიმ კერი, რენე ზელვეგერი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 პროფათეული 22.35 პაპარაცი 23.00 სოლო 00.00 "ზრავო" "ხმა მიაწვდინო ზეცას". მთ.რ-ში ტილ შვაიგერი. 02.00 "ღამურა" მხ. ფილმი. 03.00 პაუზის გარეშე

### მზე

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი "მარია ემილია" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "არგაი" 19.00 სერიალი "მარია ემილია" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "მხეცი" 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი "მზის ცრემლები"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 მხ. ფილმი "სამანტა" 21.00 და არს მუსიკა 21.20 ჩვენი მისამართია 22.10 მხ. ფილმი "ყვარყვარე"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "შემართულად" 13.30 მხ. ფილმი "დოქტორ მოროს კუნძული" 15.00 მხ. ფილმი "უკიდურესი ზომები" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფილმი "უკვდავნი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "მორიელთა მეფე" 22.30 მხ. ფილმი "განგსტერული ომები"

### იბერია

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 10.00 დოკ. ფილმი 11.00 სერიალი "საჰაერო პოლიცია" 12.50, 14.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 17.30 მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" 13.30, 18.00 დოკ. ფილმი 15.15 მხ. ფილმი "დენთის კასრი" 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 დოკ. ფილმი 21.00 სერიალი "საჰაერო პოლიცია" 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი "კუბი"

